



საქართველოს სსრ-ის საგარეო ურთიერთობების საგარეო ურთიერთობების



2

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
თბილისი — 1984



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცუე და დაგვიფარე ჩვენ



ქრისტი



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით



፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱

፳፻፲፱

და შემდგომად ამაღლების უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ეოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა და ჩუენებით უჩუენა მას ძეჲ მისი, უფალი ჩუენი, და რქუა: „ჴ, დედაო ჩემო, არა უგულვებელჳო ერი იგი სახეჳურო უფროს ეოველთა ნათესაჳთა, მეოხებითა შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე ჳირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა ჳირსა შენს დიდებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკუდრობდეს მცუელად მათდა უკუენისამდე ჳამთა“.

მაშინ რქუა ეოვლადწმიდამან მოციქულსა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არაჳადაგებულ არს სახელი მისა ჩემისა. ოდეს წარჳემართე ჳადაგებად მისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხუდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა მისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა ძე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუჳერა და შეჳეწიო მათ, და არაჳინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“.

რქუა მას მოციქულმან: „ეოვლად-წმიდაო, ნება სახიერისა მისა შენისა და შენი იუაჳნ ეოველსა ჳამსა“. მაშინ ეოვლად-წმიდამან მოითხოჳა ფიცარი, დაიბანა ჳირი და დაიდუა ჳირსა ჳედა თჳსსა. და გამოისახა ხატი ესეჳითარი, რომელ წიაღთა თჳსთა ეტჳრთა განტორციელებული ჩხული, ეოვლად სახიერი სიტუჳა ღმრთისა, რომელ აწ ეოველთა მიერ სახილველ არს ხატი ეოვლადწმიდისა აწ-ეუერისა ღმრთისმშობელისა. და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და რქუა: „მადლი და შეწუენა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გუეაჳნ შენ, სადაცა ხუდოდე. და მეცა თანაშემწე ვარ ჳადაგებასა მაგას, და დიდად შეჳეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“. მაშინ დავარდა მოციქული ქუეყნად და მადლი შესწირა ცრემლითა ეოვლად-წმიდასა და გამოვიდა მიერ სინარულით, და წარემართა ჳადაგებად სახარებისა.



მოციქული ანდრია პირველწოდებული

. . . . მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ქაში მცირედი, და იხილა უგუნურება ჰირუტეუბრივი მკვდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა. რამეთუ კაცნი ჰირუტეუთა უგუნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, ეოველსა საძაგელსა და არაწმიდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადაცა უჯერო არს. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ეოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ეოველნივე მოაქცივნა და მოიუგანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ეოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოეცენა წუარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი — იგი ვიდრე დღესცა დაუწეუდელად აღმოსდის. და შემოკრბეს ეოველნივე ეოვლით კერძო მკვდრნი მის ქუეყანისანი და ნათელ-სცა ეოველთა სახელითა მამისათა, და მისათა, და სულისა წმიდისათა. და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ეოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს და არა უტეკებდეს წარსლვად, არამედ ეტეოდეს: „უკეთუ შენ წარსვალ, ხატი ეკე ეოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა აქა დაგვსვენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა. და მეუსეულად გამოისანა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწუნარეს და დაისვენეს ეკლესიასა შინა თუსსა ჰატეით, რომელი-იგი ვიდრე დღეს-აქამოდე ჰეიეს ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშუდობა და მოწლედ მოიკითხეს, ამბორს უევეს და წარმოგზავნეს.

ლეონტი მროველი. ქართლის ცხოვრება.

დეკრეტი, ეპისტოლენი

თქვენი უწმიდესობაჲ, ქრისტეს მიერ საყვარელო ძეგო!

გიძღვნით საღამს, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით, „ამისთვის შევსწირავთ მსხუერპლსა ქებისასა მარადის ღმრთისა, ესე იგი არს, ნაყოფსა ბაგეთასა და აღსარებასა სახელისა მისისასა“. (ებრაელთა მიმართ 3.15).

მაშინ, როდესაც მსოფლიო მწვავედ განიცდის და არ იცის, როგორ გადაჭრას მის წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემა, ჩვენ ძალას გვმატებს იესო ქრისტეს მრავლის აღმოქმედი დაპირებანი, თავისუფლად გადავწყვიტოთ ისინი. ჯერჯერობით, მსოფლიოს მცდელობა დამოუკიდებელი მოქმედებით დაამკვიდროს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობა, განიცდის მარცხს და ვერ აღწევს დადებით და ხანგრძლივ შედეგს. საჭიროა გავერთიანდეთ ლოცვებით. კაცობრიობა გულთბილად უნდა შეხვდეს მშვიდობის უფლისწულის შობას, მის განცხადებას. შემოვიერთოთ ძალნი ცათანი მის სადიდებლად. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ“.

დაე, ამ ბრწყინვალე სიხარულმა თქვენს უწმიდესობასა და თქვენს კელესიას მოუტანოს ნუგეში და მხნეობა მომავალ ახალ წელს.

უფლისმიერად თქვენი იბნატოუს ზაქა I ოზასი, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი. უზენაესი წინამძღვარი სირიის უნივერსალური, მართლმადიდებელი კელესიისა.

თქვენი უწმიდესობაჲ, უფლის მიერ ძვირფასო ძეგო!

კურთხეული შობისა და ეპიფანეს დღესასწაულების მოახლოების ჟამს გიძღვნით ქრისტესმიერი სიყვარულით და მშვიდობით აღსავსე საღამს.

კვლავ ვზეიმობთ რა უფლის შობას და ნათლისღებას, ვადიდებთ ღმერთს, ვუსურვებთ მშვიდობას მსოფლიოს ყველა ხალხს. ჩვენს ძალმომრეობითა და ომის საშიშროებით შეპყრობილ ქვეყანაში უფრო და უფრო მძვინვარებენ ეშმაკისეული ძალები. ძლიერი ამა ქვეყნისანი წინასწარმეტყველებენ ბირთვული ზამთრისა და ვარსკვლავეთის ომების გარდუვალობას. ჩვენ მათ ვეწინააღმდეგებით ქრისტესმიერი მოწოდებით — „მშვიდობა ყოველთა“. ღატაკნი და უძღურნი შეშფოთებულნი არიან და ეძებენ ხსნას, რომელიც მშვიდობასა და თავისუფლებას მოუტანს ერებს. დაე, ჩვენი მხსნელის შობისა და ნათლისღების მომავალი დღესასწაული გვექმნას მწედ, აღვივსოთ ამ მშვიდობისა და სამართლიანობის სულისკვეთებით. დაე, ერებმა იხარონ მისით, ვინც ერთხელ მოვიდა და კვლავაც მოვა ქვეყნად. ვლოცულობთ თანამოძმე მწყემსმთავრებთან, მღვდლებთან და ხალხთან ერთად, რათა ყოვლადწმიდა სამებაჲ მშვიდობა და კეთილდღეობა მოგანიჭოთ თქვენ და თქვენს ერს.

თქვენი უფლისმიერი ძმა
აღმოსავლეთის კათოლიკოსი.
სირიის მართლმადიდებელი კელესია

ბასილი მართლმადიდებელი

თქვენო უწმიდესობავ და უნატარესობავ

კიდევ ერთხელ ვზეიმობთ ზამთრის დიად დღესასწაულს, ჩვენი უფლის ხორცი-ელად შობასა და მის განცხადებას. ამ დღესასწაულებს, ერთად აღებულით, შეიძლება ვუწოდოთ „ზამთრის პასეკი“, რამეთუ ისინი ნათლისმცემელნი და თვით პასეკის ნი-მუშად ქმნილნი არიან. ეს „ზამთრის პასეკი“ სინათლის დღესასწაულია. ჩვენ ვიცით, რომ ეკლესიამ შეგნებულად დააკავშირა შობის დღე ზამთრის (ბნელის) კვლების და-სასრულსა და დღის (სინათლის) მატების დასაწყისთან: სიბნელე (ბნელი) ჩვენი ცხოვ-რების ერთერთი სინამდვილეა. ჩვენ ვცხოვრობთ მასში, და ის ცხოვრობს ჩვენში. როგორც დაცემული და ცოდვილი ადამიანის შვილებს, ჩვენ მოგვერია სიბნელე, ის სიბნელე, რაც ღმრთისაგან განდგომა-მოშორებამ მოგვიტანა: სიბნელე წუხილისა, ტკი-ვილისა, უსამართლობისა, მარტოობისა, თმობისა, თვით სიკვდილისა, ბოლოს სრუ-ლი სიბნელე სამარისა. სახარების ძალა სწორედ ისაა, რომ ამ სიბნელეში ღმერთი შემოდის თავისი შვილის შობით. მოვიდა ნათელი და ბნელი გაიფანტა, ბნელი განათ-და. იგი ვერ მოსპობს სინათლეს, ვერ დაძლევს ადამიანის სიცოცხლესა და იმედს, იესო ქრისტემ სძლია ზამთარი. იგი ძლევამოსილია.

ქრისტეს შობასა და განცხადებას მოაქვს ჩვენთვის საოცარი საიდუმლო და საჩუქა-რი. ჩვენ საშუალება გვქმნება ვიწამოთ და ვადილოთ ქრისტე, რომელიც არის ჭეშმარიტი სინათლე ქვეყნისა. გვაიმედებს ცოდნა და რწმენა იმისა, რომ ღმერთმა თავის თავზე აიღო ყველა ჩვენი წუხილი, ტკივილი, ეულობა, ყოველი ბნელი ჩვენი ცხოვრებისა და გაგვინათა გზა, მოგვმადლა იმედი, რწმენა, სიყვარული.

სინათლის საუფლოს გადარჩენისათვის ვიზეიმობთ „ზამთრის პასეკი“. ურთიერთს შევეუნდოთ, ვიწამოთ ნათელი, რომელიც ღმრთის ხორციელად მოვლინებით აანთებს ჩვენს გულებსა და აზრს.

ქრისტე იშვა! ვადილოთ იგი!

ქრისტესმიერ თქვენი ძმა და თანამლოცველი **თეოდოსიოსი**
მთავარეპისკოპოსი ვაშინგტონისა, მიტროპოლიტი
სრულიად ამერიკისა და კანადისა.

თქვენო უწმიდესობავ,

დიდი სიხარულით მიიღო VI საყოველთაო ქრისტიანულმა საშვიდობო ასამბლეამ თქვენი ეპისტოლე და საუკეთესო სურვილები, რომელმაც გაგვამხნევა და ძალა შეგვამატა.

ქრისტიანული საშვიდობო კონფერენცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოციქულის სიტყვებით: „და ყოველსავე, რასაცა იქმოდით სიტყვით, გინა საქმით, ყო-ველსავე სახელითა უფლისა იესოჲსითა ჰმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ“ (კოლ.3, 17).

თქვენო უწმიდესობავ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ზოგიერთი შედეგი ჩვენი VI ასამ-ბლეისა, რომელშიაც 90 ქვეყნის ქრისტიანებმა მიიღეს მონაწილეობა.

ჩვენი მიზანია რწმენიდან გამომდინარე მორალური ენერჯია მიეუძღვნათ მსოფლიო-ში შვიდობის დამკვიდრებას, მათ, ვინც გაჭირვებაშია და იმედი არ დაუკარგავთ; საერ-თოდ ყველას და ყველაფერს, უფლის მიერ შექმნილს, გაჩენილს. თქვენმა შთამბავონებელ-მა ეპისტოლემ ძალა შეჰმატა ამ იმედს. გვაქვს დიდი სურვილი განსაკუთრებული მადლო-ბა მოგახსენოთ ამ შთავონებისათვის.

მიიღეთ ასევე ჩვენი საუკეთესო სურვილები და ლოცვები საქართველოს ეკლესიისა და პირადად თქვენთვის.

პატივისცემით ეპისკოპოსი **დ. კ. ტოთი**, პრეზიდენტი;
ლ. მირჩხივსკი, გენერალური მდივანი;
ფილარეტი, კიევის მიტროპოლიტი.

თქვენო უწმიდესობას

თქვენმა დეპეშამ ძალიან გამახარა. დედაჩემი აღფრთოვანებული იყო თქვენით. ძვირფასი იყო მისთვის თქვენთან შეხვედრა და თქვენი სულიერი თანადგომა საქართველოში მისი უკანასკნელად ყოფნის ჟამს.

მან იცოდა, რომ მალე წავიდოდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მაინც მოიკრიბა ძალა, რათა უკანასკნელად ენახა თავისიანები და მშობლიური მიწა. მე ვიცი, რომ მან მიიღო თქვენი ლოცვა-კურთხევა.

იგი დამშვიდებული დაბრუნდა და გარდაიცვალა ტანჯვის გარეშე, ახლობლებით გარშემორტყმული. დაე, უფალმა მიიბაროს მისი სული — მხნე, მართალი და კეთილშობილი.

კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას თანადგომისა და სიკეთისათვის.


ღრმა პატივისცემით **ტ. აბდუშელი,**
პარიზის უნივერსიტეტის
ინტერნაციონალური საავადმყოფოს
ფსიქოთერაპიის განყოფილების შეუფი



ალექსანდრიისა და აფრიკის პაპი და პატრიარქი, უნეტარესი ნიკოლოზ VI თბილისში. სიონის საპატრიარქო ტაძარი.



უზგული. ჩაუაზი. მთავარანგელოზი მიქაელი XI ს.



ალექსანდრიისა და სწულიაღ აფრიკის კაპი და პატრიარქი
ნიკოლოზი საქართველოს საკათარქოში



ზოგილი იგი სულისგან სული არს

ჭეშმარიტ სულიერ, დიდ მეგობრობას ჩაუყარა საფუძველი 1981 წელს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის ოფიციალურმა ვიზიტმა საქართველოს საპატრიარქოში; ამ ორ ეკლესიას შორის ურთიერთობანი გააღრმავა, განამტკიცა და, თამამად შეიძლება ითქვას, ახალ, მშვენიერ და ურღვევ კავშირს შეასხა ხორცი.

ხოლო სულიერ კავშირს ამ ეკლესიათა შორის დიდი ხნის ისტორია აქვს. ქრისტესმიერი ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა არასოდეს აკლდა მათ. XVII საუკუნეში ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი პირველად ეწვია საქართველოს ეკლესიას. ამშვენებს ამ ეკლესიათა და ერთა ისტორიის ფურცლებს ეს ვიზიტი. იგი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო თავისი დროისათვის, მაგრამ ორთავე ქვეყნის ავბედობის გამო ვერ დამყარდა სიახლოვე მათ შორის, აღარ გაგრძელდა მიმოსვლა. ოფიციალურ მიწერ-მოწერას კი აკლდა რაღაც ღვიძლი, მშობლიური. და აი, დადგა ეს ბედნიერი დღეც. 1981 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და მისმა უნეტარესობამ, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI პირველივე შეხვედრაზე გულწრფელად შეიყვარეს ერთმანეთი და დაახლოვეს კიდევ ეს ორი ეკლესია და ერი. ამ ოფიციალურ ვიზიტს მალე მოჰყვა უნეტარესი ნიკოლოზის მეორე მეგობრული ვიზიტი საქართველოში (1983 წ.) 1984 წელს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია ალექსანდრიის ეკლესიას; ხოლო 1985 წელს, მაისის ბოლოს კვლავ აიღო კვერთხი პატრიარქმა ნიკოლოზმა, კვლავ დაადგა გზას საქართველოსაკენ. „...მიხმობენ საქართველოს სიწმიდენი, მიხმობს ქართული სული და მემახის. ჩვენი ვაღია, განვამტკიცოთ სულიერი კავშირი ჩვენს ეკლესიებს შორის, სიყვარული და მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის. ამიტომ ნუ გავიკვირდებით ჩემი მესამე ვიზიტი ასე მოკლე დროში. მე ადრეც აღვნიშნე და კვლავაც ვიმეორებ: ვიდრე ჯანმრთელობა ხელს შემიწეობს, კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ საქართველოში, კიდევ მრავალჯერ მივესალმები თქვენს წმიდა სამწყსოს მამობრივი საუკეთესო სურვილებითა და სიყვარულით. ხოლო, როცა ამისათ-

ვის ძალა აღარ მეყოფა, მაშინ ჩემს ეკლესიაში აღვაკლენ ლოცვებს უფლის მიმართ, პირადად თქვენთვის და თქვენი ქვეყნის საბედნიეროდ“. — თქვა უნეტარესმა ნიკოლოზმა პატრიარქ ილიასთან შეხვედრისას.

კვლავ დიდი სიხარულით შეეგება ქართული ეკლესია სასურველ სტუმარს. ხალხს ვერ იტკვდა სიონის საპატრიარქო ტაძარი. ორი პატრიარქი ერთად ლოცულობდა ქვეყნად მშვიდობისა და კაცთა შორის სათნობისათვის.

სტუმარი მიიწვიეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიების საქმეთა საბჭოში. საუბარი ეხებოდა საქართველოსა და აფრიკის ეკლესიათა წარსულსა და აწმყოს. საკითხი დაისვა ქართველ მეცნიერთა ეკვიპტეში, კერძოდ, სინის მთაზე, გაგზავნის შესახებ, ქართული ხელნაწერების შესასწავლად, რაზედაც პატრიარქი ნიკოლოზი სიამოვნებით დათანხმდა. მან სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის დადებითად გადაჭრაში, რაც ქართული კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს.

პატივისცემის ნიშნად და იმ მეგობრული დამოკიდებულებისა და სიყვარულისათვის; რასაც ის ქართული ეკლესიისა და ქართველი ხალხის მიმართ იჩენს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა ვ.სირაძემ მადლობა გადაუხადა სტუმარს. მისმა უნეტარესობამ, ნიკოლოზ VI კიდევ ერთხელ მოილოცა მისთვის ნაცნობი ადგილები, დაათვალიერა ღირსშესანიშნაობანი, დაესწრო სპექტაკლს ზ.ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ თავის მშობლიურ სოფელში — სნოშიც მიიპატიჟა იგი. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმარზე საქართველოს სამხედრო გზამ და დარიალის ხეობის თვალწარმტაცმა ადგილებმა, მთის კალთებზე შეფენილმა პაწაწინა სოფლებმა, ტაძრებმა და სამლოცველოებმა; „დალოცოს ღერთმა საქართველოს საზღვრები, საქართველოს აწმყო და მომავალი“, — თქვა სტუმარმა დარიალის კლდე-კართან, — “მე კიდევ უნდა ჩამოვიდე საქართველოში, კიდევ ბევრი სიწმიდე მაქვს აქ მოსალოცი“.

იყოს ნება ღვთისა. ამინ!

თ. მისხო



ლოცვა კათალიკოს-პატრიარქის ილია II

ლოცვა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი

ჰოი, ყოვლადწმიდაო, დედუფალო, ღვთისშობელო, უმაღლესო წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთაო და ყოველთა დაბადებულთა უპატროსნესო, შეუწვენელთა შემწეო, უსასოთა სასოო, გლახაკთა შესავედრებელო, მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო, მშვიერთა გამომზრდელო, შიშველთა სამოსელო, სნეულთა მკურნალო, ცოდვილთა ცხოვრებაო და ყოველთა ქრისტიანეთა შემწეო და შესავედრებელო!

ჰოი, ყოვლად მოწყალეო დედუფალო, ქალწულო ღვთისმშობელო, მოწყალეობითა შენითა აცხოვნე და შეიწყალე ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი.

აცხოვნე დედუფალო და შეიწყალე უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი, მცხეთა—თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე, მამაა ჩვენი ილია და ყოვლადსამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავრეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღვდელო და სამონაზნო წესნი, კეთილმორწმუნენი, მხედართმთავარნი და ქალაქმთავარნი და, ყოველნი ქრისტესმოყვარე მხედრობა და კეთილისმყოფელნი ჩვენნი და, ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი სამოსლითა შენითა პატროსნითა დაიფარენ, ვვედრე, დედუფალო, შენგან უთესლოდ განხორციელებულსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რათა შემჭურნეს ჩვენ ძალითა თვისითა უძლეველითა ხილულთა და უხილავთა მტერთან ჩვენთა ზედა.

ჰოი, ყოვლადმოწყალეო დედუფალო, ღვთისმშობელო, აღმომიყვანე ჩვენ სიღრმეთაგან ცოდვათასა, და მიხსენ ჩვენ სიყმილისაგან, სვრისა, ძვრისა ცეცხლისა, მახვილისა და ზედამოსვლისაგან უცხოთესლთასა, და ტომითისაგან ბრძოლისა, უცნაურისა სიკვდილისა, და ზედადასხმისაგან მტერთასა და, განმხრწნელისაგან ქარისა და, ყოვლისაგან სიკვდილშემოსილისა წყლულებისა და ყოვლისაგან ბოროტისა. მოგვეც დედუფალო მშვიდობა და სიმრთელე მონათა ამათ შენთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა და, განანათლენ გონებანი ჩვენნი და თვალნი გულისა ჩვენისანი, რათა ვცხოვრდეთ და, ღირსვიქმნეთ ცოდვილნი მონანი შენნი სასუფეველსა ძისა შენისა და, ქრისტეს ღვთისა ჩვენისასა, რამეთუ მეუფება მისი კურთხეულ არს და დიდებულ, თანადაუსაბამოდ მამით მისით და ყოვლადწმიდით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და, უკუნითი უკუნისამდე.

ყოვლისა ცხოვრებისა ჩუენისა შესავედრებელი შენ ხარ, სახიერო, ამისთვის სარწმუნოებით შენდა მოლტვილნი დაგვიფარენ და ხელნი წყალობითა შენითა აღგვიპყარ, რამეთუ სხვა შუამდგომელი არავინ გვივის ჩვენ ცოდვილთა, თვინიერ შენსა, ჭირთა შინა და განსაცდელთა გვიჩვენე ძალი შეწვევისა შენისა, რამეთუ შენ ხარ მარადის შემწე ჩვენი და ცოდვათაგან მხსნელი, დედაო, ღვთისა მაღლისაო, ვინაცა შენდა შევედრებულნი გვიხსენ ყოველთა განსაცდელთაგან მონანი შენნი, დედუფალო, მოხედენ ვედრებასა მონათა შენთასა და გვიხსენ ჩვენ ყოველთა განსაცდელთა და სნეულებათაგან.

ქართული ეკლესია

4-5 (17-18) აპრილს მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მეთაურებისა და წარმომადგენლების შეხვედრა, რომელიც მიემდგვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს. შეხვედრა მოეწყო ყოველთა სომეხთა უმაღლეს პატრიარქ-კათოლიკოს, ვაზგენ I ინიციატივით და ჩატარდა მოსკოვში მისი უწმიდესობის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ პიმენის მიწვევით.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების 90-მდე წარმომადგენელმა.

4 (17) აპრილს შეხვედრის მონაწილეებმა გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი და წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამამულო ომში დაღუპულ ზომართა ხსოვნას.

5(18) აპრილს მოსკოვის სასულიერო აკადემიის სააქტო დარბაზში დაიწყო საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი. სხდომა გახსნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა. მომხსენებელთა შორის იყო მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II. მან ილაპარაკა იმ დეაწლსა და დამსახურებაზე, რომელიც ქართველ ხალხს და საქართველოს ეკლესიას მიუძღვის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში.

სხდომაზე შეადგინეს ორი საანგარიშო დოკუმენტი:

1. საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მეთაურებისა და წარმომადგენლების მიმართვა მსოფლიოს რელიგიური მოღვაწეებისადმი.

2. საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების მიმართვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

ვიმედოვნებთ, ეს შეხვედრა უფრო მეტად გააღრმავებს ძმურ კავშირსა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის იმ წმიდა საქმეში, რომელსაც დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენა ჰქვია.

○

29-31 მაისს (11-13.VI) თბილისში სტუმრად იმყოფებოდა კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენელი ჟენევაში, მიტროპოლიტი დამასკინოსი, რომელსაც თან ახლდა ბატონი პეტროს პერგიტისი.

საქართველოში ყოფნისას მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, მიტროპოლიტმა დამასკინოსმა დაათვალიერა თბილისის, მცხეთისა და ყაზბეგის რაიონის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნო ქართული ეკლესიის ცხოვრებას.

30 მაისს (12.VI) საპატიო სტუმარი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

31 მაისს (13.VI) მიტროპოლიტი დამასკინოსი და პეტროს პერგიტისი ერევანს გაფრინდნენ. საპატიო სტუმრები გააცილეს: საქართველოს ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა, ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა ვახტანგმა და საგარეო განყოფილების მდივანმა ბორის გაგუამ.

○

10-17 (23-30) მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების, პენსილვანიის შტატის ქალენტაუნში, მიულენბერგის კოლეჯში გაიმართა მართლმადიდებელ-ლუთერანულ ეკლესიათა გაერთიანებული კომისიის სხდომა თემაზე: „სადმართო გადმოცემები და გამოცხადება“. ჰენრი მელქიორ მიულენბერგი, ვის სახელსაც ატარებს ეს კოლეჯი, იყო „ლუთერანული“ მიმდინარეობის პატრიარქი ამერიკაში. კოლეჯი დაარსებულია 1848 წელს. ეკუთვნის ამერიკის ლუთერანულ ეკლესიას. მასში სწავლობს 1500 სტუდენტი. ქალენტაუნში შეხვედრას საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა.

ეკლესიათა გაერთიანებული კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარმა, პროტოპრესვიტერმა გურამ შალამბერიძემ.



ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ემილიო კასტრო საქართველოს ეკლესიის სტუმარი

5-7 (18-20) სექტემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ემილიო კასტრო. საპატიო სტუმარი თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II. მიღებას ესწრებოდნენ: საქართველოს ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, სიონის ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი გურამ შალამბერიძე, ამავე ტაძრის დეკანოზი ზურაბ სირაძე, წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის წინამძღვარი ამირან შენგელია, საქართველოს ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა და საპატრიარქოს რეფერენტი კლადიმერ საბიაშვილი.

გულთბილი მისაღმებისა და მოკითხვის შემდეგ გაიმართა მეტად საინტერესო და საქმიანი საუბარი, რომელიც ძირითადად ეხებოდა ემს-ს (ეკლესიათა მსოფლიო საბჭო) მომავალ საქმიანობას.



VI სრულიად ქრისტიანული საზოგადოება

ასამბლეა

1985 წლის 2-9(15-22) ივლისი, პრაღა, ჩეხოსლოვაკია

იესომ პრქუა:... ხოლო მე მოვედ, რათა ცხოვრება აქუნდეს და უმეტესი აქუნდეს“.

(იოანე. 10.10)

ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენცია (ქსკ) 7 წელიწადში ერთხელ იწვევს სრულიად ქრისტიანულ სამშვიდობო ასამბლევას, რომლის მიზანია საერთო ეკუმენური მოძრაობის გაძლიერება და, ამავდროს, ეკლესიებისა და საზოგადოებების თანამშრომლობის განხილვა მშვიდობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის არენაზე. ეკუმენური მოძრაობის აქტიურობას საფუძვლად უდევს მშვიდობისა და სამართლიანობის თეოლოგიური გააზრება და, რაც მთავარია, რწმენა იესო ქრისტესი, რომელიც მშვიდობის უფლისწულად გვევლინება. ქსკ-ს კონტინენტური გაერთიანებები ჩამოყალიბებულია აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში. მისი მთავარი მიზანია ერთმანეთთან შეკავშირდეს სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები, რათა მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ბირთვული კატასტროფის საშიშროებას, გამაღებულ შეიარაღებას, ომსა და სიღარიბეს. ქრისტიანი მუდამ ღვთაებრივ — ქრისტიანულს ეძებს ყველგან და ყველგან. მისი მთავარი მისია კაცობრიობის ბედნიერებისათვის ზრუნვაა. „ჩვენ ღმრთისაგან ვართ, რომელმან იცოდის დემრთი, მან ისმინოს ჩვენი“; (იოანე 1,4,6).

ხალხთა შორის სოლიდარობის, რწმენის, სიყვარულის, მშვიდობისა და სამართლიანობის განმტკიცება ეყო საფუძვლად VI სრულიად ქრისტიანულ სამშვიდობო ასამბლევას, რომელიც მოწვეულ იქნა ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის (ქსკ) მიერ მიმდინარე წლის 2-9 (15-22) ივლისს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში. ასამბლეის მთავარი თემა იყო: **უფალი გვიხმობს: ამოირჩიე ცხოვრება! დრო აღარ იცდის!**

ქრისტიანები სიკვდილის წინააღმდეგ — მშვიდობისა და სამართლიანობის გზაზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან ქსკ VI ასამბლევას ესწრებოდა ორი დელეგატი: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა) და მე, როგორც საგარეო განყოფილების ინგლისური ენის თარჯიმანი.

ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 90 ქვეყნის წარმომადგენელი 800 ქრისტიანი. კონფერენციის VI გენერალური, სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო ასამბლეის მუშაობა დაემთხვა ფაშისზე გამარჯვების 40 წლისთავის იუბილეს.

პრეს-კონფერენცია დაიწყო სამშაბათს 2 (15) ივლისს, კულტურის სასახლეში. იგი გაიხსნა საზეიმო წირვით. ილუსტრირებული და ახსნილ იქნა ბიბლიური მოტივით (მოწოდება): **„იესომ პრქუა: ხოლო მე მოვედ რათა ცხოვრება აქუნდეს და უმეტესი აქუნდეს“** (იოანე 10:10).

შემდეგ სიტყვით მოგვართა ქსკ-ს პრეზიდენტმა, ეპისკოპოსმა კარლო ტომბა. იგი გულთბილად მოგვეხალა და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა პასუხსაგები იქნებოდა მომავალი ასამბლეის მუშაობა.

ასამბლეის მონაწილეებს მიესალმა ბულგარეთის პატრიარქი მიქაელ. დალოცა, აკურთხა და უსურვა მომავალი მუშაობის წარმატებით წარმართა.

დაასახელეს პრეზიდენტის წევრები. საბჭოთა კავშირიდან პრეზი-

დენტის შემადგენლობაში აირჩიეს მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი ფილარეტი (კლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე), კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი ფილარეტი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი.

ასამბლეის მთავარ თემაზე, „უფალი გვიხმობს: ამოირჩიე სიცოცხლე! დრო აღარ იცდის“, სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი პაულუს მარ გრეგორიუსი (ინდოეთი). მან კარგად დაგვიხატა დღევანდელი წინააღმდეგობებით სავსე მსოფლიოს სურათი. მისი სიტყვები დაახლოებით ასეთი იყო: დღევანდელი სამყარო დაქუცმაცებულია პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, სოციალურად. მშუფთვარე დღევანდელი ჩვენი პლანეტა. ბევრგან მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტები, მგვინვარებს შიმშილი, ტერორი, ადამიანთა უფლებების შელახვა, რასიზმის აღვირახსნილობა.

საფრთხე ელოდება კაცობრიობის სიცოცხლეს. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს დაყოფანი და წინააღმდეგობანი, უფალი გვიხმობს, რომ შევინაწინოთ მშვიდობა, ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის. სიკეთისა და კაცთმეყვარების იდეალი კი მოგვიწოდებს ერთიანობისაკენ. სამართლიანობა და მშვიდობა ერთმანეთსა და მოკიდებული. ვისაც სწევრია მშვიდობა, გადაჭრით უნდა გაემიჯნოს, ებრძოლოს უსამართლობას. პაულუს მარ გრეგორიუსმა აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში დიდი როლი აკისრია ქალს, რომ სამშვიდობო მოძრაობა განსაკუთრებულად საჭიროებს ქალის მაღალ წარმოსახვით და შემოქმედებით ენერჯიას.

ტერორის, სიცრუისა და სიძულვილის საბირსპიროდ, — დაასკვნა გრეგორიუსმა — უნდა გამოვიყენოთ თანაგრძობის, ტეშმარტებისა და სიყვარულის ქრისტიანული იარაღი.

ღვთის სასუფეველი მოვა, რამეთუ ჩვენ მოთმინებითა და იმედით ველოთ მას. „უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს მკირის მყოფელ ჩუენდა“ (რომ. 8,31).

სიკვდილი ვერ იხეიმებს. სიცოცხლე დათრგუნავს მას. ძლიერ დამაჯერებლად ჟღერდა ეს შთამაგონებელი სიტყვები. ყველა აღფრთოვანებით შეხვდა მას.

დიდ ინტერესს იწვევდა ტაძარში ჩატარებული ღვთისმსახურება. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა წირვამ ღარიბ-ღატაკთა და უსამართლობის მსხვერპლთათვის. იგი მიჰყავდა ღირს დრ. ლ. ჩარლზ გრეის (აშშ).

4(17) ივლისს გულთბილ ვითარებაში ჩაიარა ამერიკელ და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს შორის შეხვედრამ. ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ სადილზე, რამაც ხელი შეუწყო ურთიერთგაგებას, აზრთა გაზიარებას, პასუხისმგებლობის გაღრმავებასა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. ასეთივე სურათი იყო ინგლისელების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროსაც. მიტროპოლიტმა დავითმა თითქმის ყველას დაურთა ქართული სუვენირები, რამაც დიდი სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია უცხოელებში. მეც სიამოვნებით გავუხაწილე მათ ქართული კერამი-

კის ნიშნები და ხისგან გამოკვეთილი ჯვრები. ისინი შემდეგშიც გამოთქვამდნენ მაღლიერებას და ჩვენი შეგობრული ურთიერთობა უფრო და უფრო იზრდებოდა.

5(18) ივლისს ქალთა ცენტრში შესდგა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალთა შეხვედრა. სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ქალთა წარმომადგენელი, რომელმაც ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ქალთა დემოკრატიული საშვილობო ორგანიზაციის აქტიური მუშაობის შესახებ. მან ამ ორგანიზაციის სახელით სოლიდარობა გამოუცხადა მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ქალს.

სიტყვა წარმოთქვა ახალი ზელანდიის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა. მან ილაპარაკა ცოლ-ქმრის გაყრის შემდეგ წამოჭრილ პრობლემებზე, რომ ცოლ-ქმრის დაშორება დიდ გავლენას ახდენს ბავშვების, როგორც ეკონომიურ, ისე მორალურ მხარეზე. ქალთა დემოკრატიული საშვილობო ორგანიზაცია ემეხს გზებს ამ პრობლემების დადებითად გადასაწყვეტად. პოლონელ ქალთა წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ ქალს, რომელიც გათხოვდება და ბავშვი შეეძინება, აღარა აქვს მუშაობის საშუალება, რასაც, ცხადია, იგი გამოიყენებს წყობიდან, თითქმის მას საზოგადოებიდან; და რომ უნდა გამოინახოს გზა ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

აფრიკელი ქალების წარმომადგენელმა ილაპარაკა მისი მხარის ქალების საჭირობოტო, კერძოდ, ბავშვების სწორად აღზრდის საკითხზე. ხშირად, აღნიშნა მან, ბებიები იღებენ თავზე ბავშვის აღზრდას. რამდენადაც მათ გავლილი აქვთ ცხოვრების უმეტესი ნაწილი და

შემინილი აქვთ უფრო მეტი გამოცდილება, მიანაიათ, რომ უფრო კარგად შეძლებენ ბავშვის სწორად აღზრდას. აქედან ბავშვი ცალიდება ძველ ტრადიციებზე აღზრდილ პიროვნებად, რაც თავისთავად იწვევს ახალგაზრდა მშობლების უკმაყოფილებას.

ქალთა ცენტრის ყველა წარმომადგენელი ერთსულოვნად გამოხატავს ბრძოლის სურვილს, ბავშვთა ნათელი მომავლის შესაქმნელად.

ამავე დღეს, ჩეხოსლოვაკიაში არსებულ საბჭოთა კავშირის საელჩოში მოეწყო შეხვედრა. სიტყვით გამოვიდა კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი, უკრაინის მთავარეპისკოპოსი ფილარეტი. მან აღნიშნა: „ჩვენ, ქრისტეს მიმდევარნი, იმედს არ გვარგავთ, რომ დღევანდელ მსოფლიოში კეთილგონიერება დათრგუნავს უგუნურებას, დღევანდელ დღეს ადამიანებს მეტი ღრო არ გაანიათ. დაუყოვნებლივ უნდა გამოინახოს მშვიდობიანი თანარსებობის, სოლიდარობისა და ურთიერთშეთანხმების გზა. საჭიროა ვიდგეთ მშვიდობის სადარაჯოზე, მუდმივად და დაუცხრომლად ვეძებდეთ მას. „მოაქციენ ბოროტისაგან, ქმნინ კეთილი, მოიძიენ მშვიდობა და მისდევდინ მას“ (1 პეტრე 3, 11).

პრალაში, სრულიად ქრისტიანულ საშვილობო კონგრესზე მიღებული შთაბეჭდილებებმა და აზრთა ურთიერთგაცვლამ უფრო მეტი სტიმიული მოგვცა შემდგომი მუშაობისათვის და განგვიმტკიცა რწმენა, რომ „მშვიდობა ყოველთა“ არის ის ერთადერთი გზა, რომლითაც ღვთიური მიზნისაკენ წავა მთელი კაცობრიობა.

დ. კვლიაშვილი



საბჭოთა კავშირის დელეგაციის წარმომადგენლები VI სრულიად ქრისტიანული ასამბლეის პლენარულ სხდომაზე.



ასამბლეის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. დელეგატები ნიკერიდან და საქართველოდან.

ბათუმ-შემოქმედის ეკარქიაში



ბათუმი. წმიდა ნინოს ქანდაკებრივი გამოსახულება ქართული კათოლიკური ტაძრის გარეთა კედელზე.

ღმერთო ძლიერო, შენნი ვართ, შეგვეწიენ და გვაცხოვნენ ჩვენ. ღმერთმა დალოცოს ღვთივკურთხეული აჭარა, სადაც პირველ საუკუნეში დაენტო ქრისტეს ლამპარი და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოსი.

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
27.VI.1985 წ.

ბათუმ-შემოქმედის ეკარქიაში ყოფნის პერიოდში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიიღო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ღ. ღ. ღიასამიძემ. მიღებას ესწრებოდნენ — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ტაპიძე და რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული აჭარის ასსრ-ში ბ. თ. მებრეღიძე.

26 მაისს (8.6) ეკლესიის ზარების რეკვამ მორწმუნე მრევლს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ბათუმში ჩაბრძანება ამცნო. ტაძარიც, ეზოც სავსე იყო ხალხით. ანთებული კელაპტრებით, ლოცვით, სასოებით შეეგება ყველა ძვირფას სტუმარს, ისმოდა გალობა:

„მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის მცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, ... მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის...“


მზიანი იყო 27 მაისის (9.6) დილა. წირვაზე მაცხოვრის უწმიდეს სისხლსა და ხორცს ბევრი ეზიარა. წირვის შემდგომაც უამრავი ხალხი უსმენდა მისი უწმიდესობის ქადაგებას:

...ესაა ქართული მიწის ის ძვირფასი ნაწილი, კუთხე, სადაც პირველად დაირწა ქრისტიანობის აკვანიო, — თქვა მან. ისაუბრა ანდრია პირველწოდებულსა და სიმონ კანანელზე, აქ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში არსებობდა ეპარქიები... „სწორედ აქ, სულ ახლოს პეტრა-ქაჯეთის ციხის ტერიტორიაზე (ახლანდელ ციხის-ძირზე) აგებული იყო ტაძარი, სადაც იჯდა ეპისკოპოსი თავისი სამღვდელეობითო.

კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ ქრისტეს გზა რთულია, ეკლიანია და ვიწროა; მრავალი საუნჯე არსებობს ქვეყნად — მატერიალურიც, სულიერიც, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნია, არის უგვდავი სული. მთელი ქვეყნის მატერიალური საუნჯე რომ შეიკრიბოს ერთად, იგი არ ღირს თუნდაც ერთი ადამიანის სულად, მაგრამ სულს სჭირდება გადარჩენა. მის გადასარჩენად საჭიროა რწმენა, დედაენის, მამულის სიყვარული. აი, ეს იყო ის მთავარი, რასაც მუდამ ინახავდა და უფრთხილდებოდა ჩვენი ერი; და გაიხსენა დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან — მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას.“

და ეს რომ ასეა, საქართველოს ამ მრავალტანჯულმა კუთხემაც დაგვიდასტურა. რამდენი რამ გამოიარა აჭარამ, მთელმა სამხრეთმა საქართველომ... რამდენი რამ დაკარგა, მაგრამ მშობლიური დედაენა ისევ ცოცხლობს აქ. იგი ვერ მოსპო სამასი წლის მონობამ; სიყვარულით კი მუდამ უხვად დაჯილდოებული იყო ჩვენი ერი. სიყვარული თავად ღმერთია. ჩვენ, ქართველებს გვაქვს სულიერი თუ ნათესაური კავშირი ღმერთთან. ღმერთმა ჩვენ დაგვაბერტყა თავისი კალთა. სწორედ სიყვარულია, რაც ყველაზე მეტად მოგვმადლა უფალმა. ეს ჩვენი სულის მოთხოვნილებააო, — ბრძანა და გაიხსენა ის მძიმე წარსული, როცა ამ მიწა-წყლის ხალხი უმძიმესი განსაცდელის უამს წარბეზებულად ეწირებოდა რწმენას, მამულს... „ქრისტიანთა სისხლით მორწყულია ეს მიწა. იმდენმა გასწირა თავი, იმდენმა მიიღო მოწამის



გვირგვინი, რომ მდინარეებიც სისხლით იღებებოდა. ერთი მდინარისთვის კი იმ დიდი რწმენისა და დიდმოწამისა მოსაგონარად წითელ-წყაროც უწოდებიათ“.

ხალხი სულგანაბული უსმენდა... საოცარი იყო ის დღე... მოპყავდათ ბავშვები და პატრიარქი თვითონ ნათლავდა მათ. ინათლებოდნენ დიდებიც... და ყველა ერთად გრძნობდა ამაღლებულ, ჭეშმარიტ სიხარულს. ყველას უყვარდა ერთმანეთი, ყველას უხაროდა, ყველა გრძნობდა იმ დიდ, კეთილ ძალასა და მადლს, რომელიც აერთიანებდა, აშვილებდა, სიცოცხლის ენერჯით ავსებდა მათ სულებს. ეს დღე დაუვიწყარი იყო.

იგივე განმეორდა ორშაბათსაც... 28 მაისს (10.6), შალამოს ერის პარაკლისის და ბავშვების დალოცვის უამს. ძნელად იგრძნობს კაცი ისეთ სიხარულს და მიახლებას დიდ ნათელთან, როგორც ეს ხდებოდა იმ დღეს... საერთოდ, იმ დღეებში.

„ღმერთო მოწყალეო, მამაო და ძეო, და სულო წმიდაო, შენ შეიტკე და აკურთხე და კეთილად აღზარდე ბავშვები ჩვენი. მოანიჭე მათ სარწმუნოება მტკიცე. დაპნერგე გულთა შინა მათსა სიყვარული შენი, სიყვარული მამულისა, სიყვარული მშობელთა, სიყვარული მოყვასისა. ალაგსე ჩვენი ერის მომავალი სულიერი და ფიზიკური ძალითა.

...ღმერთო ძლიერო, შენ აცხოვნე ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ამინ!“

...მე განსაკუთრებით მიყვარს ეს კუთხე, ბათუმი და მთელი აჭარა. 25 წლის წინათ, სწორედ აქ, ამ ტაძარში დავიწყე მე ჩემი მოღვაწეობა. მაშინ იმდენი ხალხი არ იყრიდა თავს აქ... ბევრ ნაცნობ სახეს ვხედავ... მახარებს მათი დანახვა... ეს დიდებული ტაძარი წმიდა ნიკოლოზის სახელს ატარებს. წმიდა ნიკოლოზი განსაკუთრებული მფარველია საქართველოს ეკლესიისა. იგი საქართველოს ეკლესიის მესაჯუა. მე კვლავ ვიქვეყნებ ერთად, მისი მორჩილი მახსოვს, როგორი მღვრვალე ცრემლებით აღვაულებდი ამ ტაძარში ლოცვებს ამ კუთხისათვის, საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის.

მახსოვს პარაკლისები წმიდა ნიკოლოზის სასწაულმოქმედ ხატთან. მაშინ ვერავის ვერ წარმოგვედგინა, რომ მე პატრიარქის ხარისხში ავმადლდებოდი. ეს დიდი ჯილდო და დიდი ჯვარია, რომელიც ბოლომდე უნდა ვატარო. თუმცა, რასაკვირველია, ამ ჯვრისტვირთვაში დიდ დახმარებას მიწვევენ ეკლესიის მამანი და მორწმუნე პრეველი. ღმერთმა შევინარჩუნოთ მშვიდობა“.

მისი უწმიდესობა ეწვია წმიდა სამების სახელობის ახლალაშენებულ ტაძარს, რომელიც სასაფლაოს ტერიტორიაზეა... სამღვდლოებასთან ერთად მუხლმოყრით ილოცა ქვეყნად მშვიდობისა და ჩვენი ერის სიცოცხლისათვის... მოიხსენია ამ მიწაზე განსვენებულთა სულები, აკურთხა საფლავები.

დაათვალიერა ბათუმი, ციხისძირი. მოიხილა პეტრას ციხის ნანგრევებში შემორჩენილი უძველესი საეპისკოპოსო ტაძრის ნაშთი... მოვლო გურიის ტერიტორიაზე გადარჩენილი ეკლესია-მონასტრები, ეწვია შემოქმედის საკათედრო ტაძარს, აჭის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას, ჯიხეთის მონასტერს. ყველგან, სადაც ბრძანდებოდა, მორწმუნენი ხვდებოდნენ კრძალვით, ესაუბრებოდნენ მის თანმხლებ სამღვდლოებას — ეპისკოპოსებს, მღვდლებს, ეკლესიის მსახურთ.

ღრმად შთაბეჭდავი და დაუვიწყარი იყო ეს დღეები. ასევე დაუვიწყარი იყო მთიან, დიდაჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებიც. გზა ხმაურიანი მდინარის ღრმა, ამწვანებულ მთებში ჩაკარგულ ხეობას მიჰყვებოდა სხალთის ტაძრამდე.

უეცრად გამოჩნდა, მზის სხივებში უეცრად აენთო სხალთა... თეთრი, თლილი ქვით მყარად ნაგები, თუმცა მრავალჯერ ჩამონგრეული, მაგრამ ისევ სიცოცხლისაკენ მობრუნებული, ისევ მშვენიერი და ძალით მოსილი დგას იგი მთა-კლდეთა შორის პატარა მინდორზე. დგას სასწაულად! თუმც თითქმის გადაშლილი, დამწვარი, მაგრამ აქა-იქ მაინც თავისი საოცარი გამონათებით გადარჩენილი ფრესკებით...

ანთებული ეკლაპტრებით, მუხლმოყრით, ლოცვით სცეს თავყვანი კათოლიკოს-პატრიარქმა და მისმა თანმხლებმა სამღვდლოებამ: მიტროპოლიტმა კონსტანტინემ, მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა, ეპისკოპოსებმა: ქრისტეფორემ, ვახტანგმა, მთავარხუცესმა ელგუჯა ლოსაბერიძემ და ყველამ, ვინც ამ მღვდლვარე წუთების მო-

მე იყო, ჩვენთა დიდთა წინაპართა შემოქმედი გენიის გამოსხივებას, მათ მაღალ სულს, ღვაწლთა და შრომათა მათთა...

კრძალვით მიეახლნენ პატრიარქს მოხუცები. ბავშვებით სავსე იყო ეზო. სოფლის მცხოვრებლები მშვენიერი ქართულით გვიამბობდნენ სხალთისა და საერთოდ, ამ კუთხის სიწმიდეთა შესახებ არსებულ გადმოცემებზე... მოწამეთა ცხოვრებაზე, ეკლესიებზე. გვიამბობდნენ, რომ უკვე დამკვიდრდა და აქ ყოველ წელიწადს ზეიმობენ ტბელობას, დიდი მწერლის — აბუსერისძე — ტბელის სახელის სადიდებლად... სადიდებლად იმ დიდ წინაპართა, ვისი მაღლითაც ოდესღაც ტბეთის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა) მიწაზე შემოქმედების ჩაუქმრალი კერა ენთო. გვიამბობდნენ დავითზე, თამარზე, რუსთაველზე...

და ყოველივე ამას, გადმოცემას თუ სინამდვილეს, ინახავს სხალთის დიდებული ტაძარი. მისგან ცოტათი მოშორებით, ახლანდელი გზის პირას ძველი მარანია, უხარმაზარი ქვევრებით. დიდად შთაბეჭდავი იყო იქ სანთლებით ლოცვა და დიდებულ ანრილთა გასახლება.

გარეთ მზე ანათებდა, მიწა ჰყვავდა. კათოლიკოს-პატრიარქი და ქართველნი სამღვდლონი გულმხურვალედ ლოცულობდნენ ტაძარში. ევედრებოდნენ ქვეყნის შემოქმედს ამ მრავალნატანჯი ქვეყნის მიწაზე მცხოვრები ხალხის სიკეთითა და რწმენით აღვსებას.

შემდეგ გზა გოდერძის უღელტეხილისაკენ წავიდა. აღარ გვხვდებოდნენ გზაში ტაძრები... შემატინეთა ცნობით, აქ ოდესღაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეკლესიები ყოფილა. ახლა ნანგრევებსაც ძლივს ნახავთ. გავიარეთ ხულო და მის ირგვლივ მთაზე შეფენილი უღამაზესი სოფლები. ავედით გოდერძის უღელტეხილზე. ზემოდან გადავხედეთ მშვენიერი წალკოტის ქვეყანას, სადაც ოდესღაც ანდრია პირველწოდებულმა დედა-ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ჩამოაბრძანა, სადაც დაირწა ქრისტიანობის პირველი აკვანი...

დაუვიწყარი დარჩა ეს დღეები მათთვისაც, ვინც მასპინძლობდა საქართველოს პატრიარქს და მათთვისაც, ვინც მას თან ახლდნენ. დაუვიწყარი დარჩა ეს დღეები თვით მისი უწმიდესობისათვისაც. ამას ხელავე და, გრძნობდა, განიცდიდა ყველა.



უჩვეულო დღეა. მთელი საქართველო გარს ეხვევა შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებიანო... მეც ამით რიცხვში ვურევივარ, მოხუცებული, უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგზავნილი სამხრეთის მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამომგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგივრადაც თავიანთი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს — და თუ მოვახერხე, ორიოდე სიტყვა გითხრა. საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში გაატარა თავისი სიცოცხლე. თუ სპარსი, თუ ოსმალი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მის სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა სადიდებელ ნაშთებს და ამგვარად, საქართველოს ისტორია ქართველი ერის წამების ისტორიაც არის. ბოლოს კი ოსმალეთის (ომის) დროს მოხდა განგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად...

გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, ადვადგინოთ ჩვენი დედაენა, გვიხსნან ამ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით.

გულო-ალა კაიკაციშვილი.

აკაკის კუბოსთან წარმოთქმული სიტყვიდან.

ჩვენ გულწრფელად ვადიარებთ: ჩვენ ვართ გურჯები-ქართველები. ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში. მას შორს ოსმალეთისა და ზოგიერთ მოღალატის ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალს — მთლიან საქართველოს.

კაილარ აბაშიძე



პეტრას საეპისკოპოსო კათედრა და ციხისძირის

გათხრების შედეგები

პეტრას საეპისკოპოსო კათედრის საკითხს პეტრა-ციხისძირის ციხეკალაქის ისტორიის შესწავლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ქართული ისტორიოგრაფია დიდი ხანია ეძიებს პეტრას საეპისკოპოსო კათედრის ადგილ-სამყოფელს. მკვლევართა უმეტესობა იმ აზრისაა, რომ პეტრას კათედრა ციხისძირში უნდა არსებებდეს. დღემდე ეს მოსაზრებები ემყარებოდა ბიზანტიური წყაროების ინტერპრეტაციებს და მოკლედ იყო არქეოლოგიური კვლევა-ძიების მონაცემებს. 1962-1966 წწ. არქეოლოგიურმა გათხრებმა პეტრა-ციხისძირში ამ მხრივ შეტად საინტერესო მასალები მოგვცა.

პეტრას საეპისკოპოსოს საკითხს არა ერთი ქართველი მეცნიერი შეხებია. ყაუხჩიშვილმა ქალაქი პეტრა მართებულად დაუკავშირა ლაზიკის ეპარქიის, ფაზისის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსოდან ერთ-ერთს — პეტრას. «ჩვენი პეტრას ძიება — წერდა ს. ყაუხჩიშვილი — უნდა დაუკავშირდეს იმ «პეტრას» საკითხს, სადაც ლაზიკის ერთ-ერთი საეპისკოპოსო კათედრა იყო». (გეორგიკა, 2, თბ. 1965, გვ. 34) ამ მოსაზრებას შემდეგ პეტრათი დაინტერესებულ მკვლევართა შორის კამათი აღარ გამოუწვევია. (უფრო ადრე, ქუთაისისა და ბათუმის შორის, დაახლოებით პეტრას მიდამოებში, საეპისკოპოსო საჯდომის არსებობაზე მიუთითებდა კალფოტლუ, (ი.კალფოტლუ — Город Петра. Цихис-Дзири. ИКОИ). ხოლო ვეიდენბაუმი წერდა ციხისძირის ნანგრევების ტერიტორიაზე არსებულ, მხოლოდ მცირე კვლავის ნაშთზე და აზრადაც არ მოსდიოდა აქ საეპისკოპოსოს არსებობა).

ს.ჯანაშიამ პეტრას აკროპოლისის შიგა ნაგებობათა შორის 1934 წლის გათხრების დროს შენიშნა ტაძრის თუ სხვა ნაგებობის ნაშთი, რომელიც საერაოდ საეპისკოპოსო საჯდომადაც მიიჩნია. ს. ჯანაშია წერდა, რომ აკროპოლისში დაცული ნაგებობებიდან „...მეორე, შესაძლოა ტაძარი იყოს, — საეპისკოპოსო საჯდომი, — ან სხვა დანიშნულების შენობა (იქნებ სტრატეგოსის სახლი). სხვა ადგილას ს. ჯანაშია მიუთითებს, რომ „ლაზიკაში არსებულ ოთხ ბერძნულ საეპისკოპოსო კათედრიდან, ერთი პეტრაში იყო“ (იქვე). პ. ინგოროყვას ეჭვიც არ ეპარება, რომ პეტრელი ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი ციხისძირშია. (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 230). ი. სიხარულიძე ეთანხმება ს. ჯანაშიას და აღნიშნავს, რომ პეტრას ნაგებობათა შორის მხოლოდ ვარაუდით შეიძლება პეტრელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარიც გამოვარჩიოთ. (ი. სიხარულიძე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962, გვ.26).

პეტრას საეპისკოპოსოს შესახებ ისტორიულ წყაროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ცნობილი საეკლესიო ნუსხები — „ეკთესიები“ წარმოადგენს. „ეკთესიები“, როგორც ცნობილია, მრავალვარიანტს შეიცავს და სხვადასხვა დროსაა შედგენილი. ამ ნუსხების ერთ ჯგუფში — I და VII ნოტიციებში, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით ადრეული ხანის ძეგლებადია ცნობილი, პეტრას საეპისკოპოსო კათედრა პირველად მოხსენებულია VII საუკუნეში. VII საუკუნით ათარიღებენ ს. ყაუხჩიშვილი და ნ. ლომოური VII ნოტიციას (გეორგიკა, IV, 2, გვ.124, ნ. ლომოური, ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის. „მაცნე“, № 5, 1964, გვ.83), ხოლო პინგოროყვა — I ნოტიციას. (პინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ.234).

ეკთესიებში (ნოტიცია VII) ამ პერიოდის პირველწოდებულ პატრიარქთა და მიტროპოლიტთა სიაში ოცდამეშვიდედ დასახელებულია მიტროპოლიტი ლაზიკის ეპარქიისა — ფაზისის მიტროპოლიტი.

(გეორგიკა, IV, 2, გვ. 140) ამ ეკთესიაში (ნოტიცია VII) ნათქვამია, რომ ლაზიკის ეპარქიას, ანუ ფაზისის სამიტროპოლიტოს «...ექვემდებარება ოთხი ქალაქი, ე.ი. ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის ეპისკოპოსი, საისინთა ეპისკოპოსი, პეტრას ეპისკოპოსი, ზიგანგვთა ეპისკოპოსი (იქვე). ეს წყარო, თუკი მას მეშვიდე საუკუნის ნაწარმოებად მივიღებთ, როგორც ს.ყაუხჩიშვილი მიუთითებს, ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა.

ლაზთა ეპისკოპოსი — იონე პეტრელი ლაზთა მეორე ეპისკოპოს თეოდორე ფაზისელთან ერთად იხსენიება VII საუკუნის მიწურულში; ისინი 692 წელს დასწრებიან საეკლესიო კრებას და ამ კრების დადგენილებაზე ხელი მოუწერიათ. (Ю.Кулаковский. История Византии. III, 271) მაშასადამე, ამ ორი წყაროს მიხედვით VII საუკუნის მეორე ნახევარში სხვა კათედრებს შორის იხსენიება პეტრას კათედრაც, როგორც საეპისკოპოსო საჯდომი. მაშასადამე, VII საუკუნეში ლაზიკის ეპარქია, სამიტროპოლიტო ცენტრით ფაზისში (ფოთში), კონსტანტინოპოლს ემორჩილებოდა და გაყოფილი იყო ოთხ საეპისკოპოსოდ. ლაზიკის საეპისკოპოსოთა სხვა განლაგება არ ჩანს უფრო ადრეულ ხანაში, კერძოდ, VI საუკუნეში.

ლაზიკის ეპარქიაში — ფაზისის სამიტროპოლიტოში საეპისკოპოსოთა სამწყობების ტერიტორიალური განვრცობის შესწავლა, ჩვენი აზრით, უადრესად მნიშვნელოვან მასალას იძლევა საკუთრივ ლაზიკის სამეფოს სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის ასახსნელად. თუკი ქართლში VI საუკუნეში საეპისკოპოსო კათედრები, როგორც ს.ჯანაშია მიუთითებს, „...სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული“ და მათი ადგილსამყოფელი ფეოდალურ ცენტრებს ემთხვეოდა, ჩვენი აზრით, დაახლოებით ასეთივე ვითარება უნდა არსებებდეს VI საუკუნის ფაზისშიაც.

ბასილი სოფენელის სახელთან დაკავშირებულ ეკთესიების პირველ წყებაში ლაზიკის ეპარქიის გვერდით, რომელშიც ყოველთვის ოთხი ზემოთ მოხსენებული საეპისკოპოსოა მითითებული, დასახელებულია ეპარქია-აბასგიისა, სებასტოპოლის კათედრა (ნოტიციები, I, VI, VII, VIII) და პოლემონის პონტოს ეპარქია — ტრაპეზუნტის კათედრა (ნოტიციები II, VI, VIII, IX). ამასთან, როცა ლაპარაკია აბაზია-სებასტოპოლის საეკლესიო ცენტრზე, იგი ყველაზე უფრო ძველ ეკთესიაში (VII ნოტიციაში) მოხსენებულია, როგორც ეპისკოპოსის კათედრა. ასევე მეორდება VI, VIII და IX ეკთესიებშიც. მხოლოდ I ეკთესიაში, რომელიც ს. ყაუხჩიშვილს VII საუკუნეზე მოევიანოდ შედგენილად მიაჩნია (გეორგიკა, IV, 2, გვ.184), ხოლო პინგოროყვა VII საუკუნეში შედგენილად თვლის (პინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ.234), აბაზიის ეპარქია-სებასტოპოლის ავტოკეფალიადაა მოხსენებული. პოლემონის პონტოს ეპარქიის ტრაპეზუნტის კათედრა IX ეკთესიაში საეპისკოპოსოა, VI-სა და VIII-ში საარქიეპისკოპოსო, ხოლო II-ში მოხსენებულია, როგორც სამიტროპოლიტო ქალაქი (გეორგიკა, IV, 2, გვ.131).

როგორც ჩანს, VI-VIII საუკუნეებში ადრეფეოდალური დასავლეთ საქართველოს (გერისის) საეკლესიო ხელისუფლება (ერთი ცენტრით ფაზისში) ხსენებულ ოთხ საეპისკოპოსოდაა გაყოფილი და არც ერთხელ, არც ერთ ეკთესიაში, მათ შორის არც მოგვიანო პერიოდისაში, არც ტრაპეზუნტის კათედრა, როცა იქ მხოლოდ საეპისკოპოსო იყო, არც სებასტოპოლისა (აბასგიისა) არ არის მოხსენებული ლაზიკის ეპარქიის — ფაზისის სამიტროპოლიტოს შემადგენლობაში. ეს გარე-

მოება, ვფიქრობთ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აღრეფოდალურ ხანაში, VI საუკუნესა და ერთხანს მის მომდევნო საუკუნეებშიაც კი, საკუთრივ ლაზიკის სამეფო სწორედ ფაზისის ეპარქიის ეს თიხი საეპისკოპოსო საშუალებით. მაშასადამე, ამ საეპისკოპოსოთა ადგილისა და მათი გავლენის სფეროს გაგება არაპირდაპირ მოგვცემდა ლაზიკის სამეფოს საზღვრების დადგენის საშუალებას და პირიქით. პროკოპის ცნობებიდან ვგებულობთ, რომ აბაზგია რამდენადმე უკვე VI საუკუნეში გამოყოფილია, ან უფრო სწორად, მისივე ერთი რომ ვთქვათ, «განდგომილია» ლაზიკისაგან. (გეორგიკა, 2, გვ.156). თუმცა, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ აბაზგია ამ დროს ლაზიკის სახელმწიფოებრივი გაერთიანებისადმი კვლავ ვასალურ დამოკიდებულებაში არ რჩებოდა. (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ.194; გ. მელიქიშვილი, К истории древней Грузии стр.184,3.В.Анчабадзе. История и культура древней Абхазии. 1964.стр. 207).

ნიშანდობლივია, რომ VI საუკუნეში აბაზგიის განდგომა მოხდა რომაელებისა და ლაზებისაგან; სხვათა შორის, არა ლაზიკის სამეფო ხელისუფლების მიზებით, არამედ რომაელთა აუტანელი რეჟიმით (გეორგიკა, 2, გვ. 156). როგორც ჩანს, თავიდანვე, რომაელები იმ პოლიტიკური მოსახრებით, რომ ხელი შეუწოდებდნენ ლაზიკის სახელმწიფოებრივი გაერთიანების დასუსტებას, აბაზგების ქვეყნისათვის ცალკე საეკლესიო ცენტრს აწესებდნენ. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1960, გვ. 246-247). ეს გაერთიანება საეკლესიო ურთიერთობაში შემდგომში იმითაა განმტკიცებული, რომ არც ერთ შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა სებასტოპოლისის მხოლოდ საეპისკოპოსო კათედრა არსებობს, რომელიც თავისთავად რომელიმე სამიტროპოლიტოში უნდა შედიოდეს, იგი არ შედის ლაზიკის — ფაზისის სამიტროპოლიტოში, მიუხედავად ტერიტორიულად ფაზისთან სებასტოპოლისის შედარებით სიახლოვისა.

ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის — VI საუკუნისათვის, როდესაც პეტრას ირველი უდრესად დიდ პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებს ჰქონდა ადგილი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, პეტრა არ წარმოადგენდა მხოლოდ უდრესად სტრატეგიულ სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის ციხეკალას, არამედ იგი ლაზიკაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მომდევნო ხანის ერთ-ერთი საეკლესიო ცენტრიცაა. პეტრას კათედრის საგამგეოში ფრიალ მოხრილი ტერიტორია ჩანს, რომელსაც ლაზიკის სახელმწიფოებრივ ერთეულში დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. პეტრას საშუალო ხომ VI საუკუნეში ეკვროდა ბიზანტიელთა მიერ ახლად დაპყრობილ (VI ს. პირველი მესამედი) ჰანთა მიწა-წყალს, ე.ი. იგი უშუალოდ ემუხობებოდა ბიზანტიის მიტროპოლიტს; მისი ცენტრი ბიზანტიის სტრატეგოსების (პეტრე, იოანე) ადგილსამყოფელი იყო. პეტრას, როგორც ცნობილია, VI საუკუნის ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობაში დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური როლი ჰქონდა მინიჭებული. პ.ინგოროყვას აზრით, პეტრას კათედრას ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია. კერძოდ, ამ საეპისკოპოსოში შედიოდა: „...თანამედროვე ციხისძირი, ბათუმის ზონაში; ამ საეპისკოპოსოს ფარგლებში შედიოდა, გარდა ბათუმის მხარისა — გური-აჭარისა, აგრეთვე, ჰანეთი-ლაზია, რიზეს მხარე, რომელზედაც ვრცელდებოდა იურისდიქცია ლაზიკის მიტროპოლისისა“. (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ.230) პ. ინგოროყვას რიზე და მისი მიდამოები, VI-VIII საუკუნეებში კვლავიურად ლაზეთის ეპარქიის — ფაზისის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში მიიჩნია და იგი პეტრას საშუალო ტერიტორიაში აქვს მითვლილი. მაგრამ VI საუკუნის პირველ ნახევარში, პროკოპი კესარიელის ცნობებს თუ დავუყრდნობით, ვნახავთ, რომ „თვითთავად“ მხარე, რომელიც ტრაპეზუნტსა და ლაზიკის სამეფოს შორის არსებობდა (გეორგიკა, 2, გვ.31,36) ლაზიკის შემადგენლობაში არ შედიოდა. ჰანებზე იუსტინიანე თავის ნოველაში პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაზიკის „...შემდეგ მოდის ჰანთა ქვეყანა, მხოლოდ ახლა ჩვენი მეფობის დროს რომაელთა მიერ დაპყრობილი, მასაც აქვს უკვე ქალაქად ქცეული ადგილები, მომავალშიც ექნება სხვები“ (იქვე). ხოლო იუსტინიანე თავის X ნოველაში, რომელიც გაცემულია 535 წლის იანვარში, სახეობდა აცხადებს: „...ჰანები კი, რომელნიც მხოლოდ ახლა მოექცნენ რომაელთა ძალაუფლების ქვეშ, ქვეშევრდომთა რიცხ-

ვში გვეყვანდნენ...“ (იქვე) პროკოპი კესარიელი რიზეს აქეთა (ჩრდილოეთი) ზღვისპირის მხარის ვიდრე აფსაროსამდე „თვითთავადობაზე“ წარსულში არაერთგზის აღნიშნავს და თან დასძენს, რომ ამ მხარის დაპყრობა ჩვენს დროში მოხდა. შემდეგ პროკოპი ჰანებზე წერს: „ცოტა ხნის წინათ მოხდა, რომ მათ (ე.ი. რომაელებმა) დამორჩილეს ჰანების ტომი, რომელნიც, თვითთავადნი, ძველთაგანვე დამკვიდრებულნი რომაელთა მიწა-წყალზე“ (იქვე). გამოთქმა — „რომაელთა მიწა-წყალზე“ პროკოპის ენაზე იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჰანების ანექსია მოხდა და არა ლაზიკის ან აბაზგიის მსგავსად ვასალად გახლბოდა. ამავე დროს, რომაელები გარკვეული პოლიტიკური მოსახრებით, ეტყობა, თავდაპირველად ამ მხარის მხოლოდ პოლიტიკური ანექსიით კმაყოფილებიან და არ მიმართავენ მის დახარკვას. ადრე ხომ პირიქით, რომის ხელისუფლება ჰანებს ყოველწლიურად ფულს აძლევდა, რათა ამ უკანასკნელთა რომაელთა მიწა-წყალი არ ემარცხათ.

პროკოპი კესარიელი ჰანების (სანების) შესახებ თხრობისას ვკვლევს ხაზს უსვამს, რომ ძველთაგან ისინი (ჰანები) არავისი ქვეშევრდომნი, (ბუნებრივია, არც ლაზების) არ იყვნენ. ხოლო დასავლეთ საქართველოში მოსახლე აბაზგების, აფსილების, „სკეიმინის“ (ლენხუმი) და „სვანისა“ (სვანების) შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი ლაზთა ქვეშევრდომები არიანო“. ამ ტომებიდან ზოგიერთს საკუთარი მთავრებიც ჰყოლიათ „თვისტომთაგან“, მაგალითად, აბაზგებს, „სკეიმინისა“ და „სვანისა“. რომელთაც, თურმე, მთავრებდნენ ლაზთა მეფეები ამტკიცებდნენ.

წყაროებით მწელი ხდება ამის გაგება — აფსილები, სკეიმინია (ლენხუმი) და სვანია (სვანეთი) ლაზიკის ამ მხარეში კვლავიურად ფაზისის სამიტროპოლიტოს რომელიმე კათედრას ექვემდებარებოდნენ, თუ აბაზგიის სებასტოპოლის კათედრას. მაგრამ ლაზეთის სამხრეთ საზღვარზე თვით რომაელთა საზღვრებში მოქცეულ ქართველურ ტომთა (აფსაროსის, ათინას მიდამოებში) და, როგორც ჩანს, ჰანთა კვლავიურად (პ.ინგოროყვა, დასახ. ნაშრ. გვ.206) ლაზთა ეპისკოპოსები აწესებდნენ მღვდელმსახურებს. „ამჟამად კი იქაური მცხოვრებლები, — წერს პროკოპი აფსაროსისა და ათინას მიდამოების მოსახლეობაზე, — არც რომაელთა და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელთმსახურებს“ (გეორგიკა, 2, გვ.213). პროკოპის მონათხრობიდან საკუთრივ ჰანებზე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი რომაელთა მიერ დაპყრობის შემდეგ ჩანან ქრისტიანობაზე მოქცეულნი. კიდევ მეტი, იგი მათ წარმართობაზედაც ლაპარაკობს, მსგავსად აბაზგებისა წარსულში. ჰანები — წერდა პროკოპი, — „დმურთებდა ჭალებს, ფრინველებსა და სხვა რა-დაც ცხოველებს ისახავდნენ და თავიანთ სცემდნენ...“ პროკოპი წერს, რომ მას შემდეგ, რაც რომაელთა სარდალმა სიტრამ დაამარცხა ჰანები და გადმოიბირა ისინი, მათ „სარწმუნოებაც უფრო სანდომიერზე გამოიცივლეს, ყველანი ქრისტიანები გახდნენ“. ამასვე იმეორებს პროკოპი ჰანებზე სხვა ადგილასაც: „თავისი სარწმუნოებაც გადაცვალეს მათინევე სათნო სარწმუნოებაზე და ყველანი ქრისტიანები გახდნენ...“ ნათქვამს თუ დავეუბნებთ, რომ იუსტინიანე მეფე განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს ჰანების დამორჩილებას და აგრეთვე იმას, რომ პროკოპის მიერ აღწერილი ქართველი ტომებიდან იუსტინიანეს მხრივ მხოლოდ ჰანების გაქრისტიანებისადმი აქტიურ დახმარებაზე ლაპარაკი, ცხადი გახდება, რომ VI საუკუნის დასაწყისში ხდება ზოგიერთი დასავლურ-ქართული ტომის ქრისტიანობაზე საბოლოო მოქცევა. იუსტინიანე მეფემ, ჰანები რომ მტკიცედ სჭერდა ხელში, არა მარტო გზები გაიყვანა მათ სოფლებში და ამით ისინი დანარჩენ ხალხებს დაუკავშირა, არა მარტო ციხე-სიმაგრეები ააშენა და შიგ რომაული გარნიზონები ჩააყენა, არამედ „...აუშენა მათ ვრეთწოდებულ სქამალინიზონში ეკლესია და ბრძანება გასცა ეკურთხათ იგი, მიუყვით ხელი მღვდელმსახურებისათვის, ედილებინათ ღმერთი ღოცებებით და სხვა ყოველგვარი საღმრთო ვალი გადაეხადათ. ერთი სიტყვით, ეცხოვრათ, როგორც გონიერ დაამიანებს“ (იქვე). როგორც ჩანს, რომაელებს ე.წ. სქამალინიზონში, როგორც ჰანთა ცენტრალურ პუნქტში, ციხესთან სპეციალურად მთავარი ეკლესიები აუშენებიათ. თუ ბიზანტიის მთავრობა მიუხედავად ჰანეთის მიმართ ასეთი ღონისძიებებისა, თანხმდება, რომ მათი ეკლესი-

ები ლაზიკის ეპარქიას ექვემდებარებოდეს, აქაც რომელთა ფრთხილი პოლიტიკა უნდა დაეინახათ ახლად შემოერთებულ, წარსულში „თეთითავე“ და დაუმორჩილებელ, თავისუფლების მოყვარულ ჯანების მიმართ. ეკლესიურად ბიზანტიელები ჯანებს „თავისიანებს“, ლაზიკის ეპარქიას უქვემდებარებენ. ამას კიდევ ის მნიშვნელობაც აქვს საკუთრივ მაშინდელი ლაზიკის ვითარების დახასიათებისათვის, რომ მისი ეკლესია და მასხადაძე, ქრისტიანობაც თვით ლაზიკაში უკვე საკმაოდ განმტკიცებულია და შეუძლია ითავოს ახლად გაქრისტიანებული ჯანებში ამ რჯულის განმტკიცება.

ფაზისის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსო ჯანების მდებარეობის მიხედვით, ბუნებრივად, ტერიტორიულად მხოლოდ პეტრას საეპისკოპოსოს უნდა დაექვემდებარებოდნენ. დღეს დანარჩენი სამი საეპისკოპოსოს ადგილსამყოფელი ასე თუ ისე გარკვეულია. როდოპოლისი-ვარდციხე თანამედროვე ვარციხეა იმერეთში (გეორგია, IV, ნაკვ. 188. პინგ. დასახ. ნაშრ. გვ. 231). მასხადაძე, პეტრას გარდა სამი საეპისკოპოსოს — როდოპოლისის, საისენთა და ძიდანების სამწყვსო ტერიტორიები მოიცავდნენ თანამედროვე სამეგრელოსა და იმერეთის მხარეს, ხოლო მათ აქეთ — სამხრეთში გურია — იმერეთის საზღვრინად (გვიანდელი დავითი) ვიდრე ტრაპეზუნტის საეპისკოპოსოდ (პოლემონის სამიტროპოლიტომდე) აფხაზიის, ათინასა და ჯანეთის ქვეყნების ჩათვლით ვრცელი ტერიტორია პეტრელი ეპისკოპოსის სამწყვსო უნდა ყოფილიყო. ამ სამწყვსოში ლაზიკის სამხრეთით მოსახლე ქართველური ტომების დაბა-ქალაქებიდან შედიოდა ისეთი ცნობილი პუნქტები, როგორც იყო რიზე, ათინა, არქაბი და აფსარი.* აგრეთვე, მათ გარშემო მდებარე ტერიტორიები.

როგორც ირკვევა, პეტრას საეპისკოპოსო VI საუკუნეში მნიშვნელოვანი ყოფილა არა მარტო ქალაქ პეტრასა და მისი შემდგომი ქვეყნისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ უბანზე, არამედ ბიზანტიის იდეოლოგიური პოლიტიკისათვის ტრაპეზუნტსა და ლაზიკის საზღვრებს შორის მცხოვრებ ქართველური ტომების მიმართ,

* ამ ქალაქებიდან ჩვენთვის საინტერესოა ამ შემთხვევაში რიზე. პინგოროვს მიუთითებს, რომ რიზეს მხარე VI საუკ. ბოლო მესამედში იბერიის ერის მთავრობის ადგილსამყოფელი ერთად შედის იბერიის შემადგენლობაში, როგორც მესხეთის ვასალური სამფლობელო იგი. ცნობილი იყო „ზღვისპირა კლარჯეთის“ სახელწოდებით. მას მართავდა ვინმე პამპი. VII საუკ. პირველ მესამედში რიზეს მხარე ბიზანტიას მიუსაუთურებია და იგი ლაზეთთან შეუერთებია აღმინისტრაციულად, რადგან ლაზეთი ამ დროს ბიზანტიის შემადგენლობაში იყო მოქცეული. შემდგომში, როდესაც დასავლეთ საქართველო თავი გაითავისუფლა ბიზანტიის ბატონობისაგან და შექმნა აფხაზთა სამეფო ცენტრი ქუთაისში, რიზეს მხარე ბიზანტიის შემადგენლობაში დარჩენილა; სწორედ ამ დროიდან, როცა დასავლეთქართული-ლაზიკის, აბაზგიის და ნიკოფსიის ეპარქიები გამოეყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას — მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა, რიზეში უნდა შექმნილიყო საეპისკოპოსო, შემდგომში საარქიეპისკოპოსო და ბოლოს სამიტროპოლიტო კათედრა. ლაზიკის რიზე, როგორც ცალკე კათედრა, ჩანს გვიანდელ წყაროებში, კერძოდ №15 ეკთესისში (ნოტიციაში), რომელსაც პინგოროვსა XIII საუკუნეში 60-იან წლებს მიაკუთვნებს და №20 ნოტიციაში, რომელსაც იგივე ავტორი თურქეთის პერიოდით ათარიღებს. უნდა ვიფიქროთ, რომ VIII საუკუნის ბოლო მესამედისათვის, როცა ტრაპეზუნტის კათედრა პოლემონის პონტოს მეტროპოლიას ჩამოშორდა და ლაზიკის — ფაზისის მეტროპოლიაში შევიდა, რიზეს მხარის ეკლესიები შედის ტრაპეზუნტის საეპისკოპოსოში, ხოლო ფაზისის სამიტროპოლიტოს ქართლის საკათალიკოსოში შესვლის შემდეგ, ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტომ, დაიმკვიდრა რა ლაზეთის სამიტროპოლიტოს სახელი, რიზე როგორც საეპისკოპოსო და შემდგომში სამთავრეპისკოპოსო, თავის შემადგენლობაში მიიღო (პინგოროვსა, დასახ. ნაშრ., გვ. 206. 236-237).

მათ შორის, განსაკუთრებით ახლად დაკვირვებული ჯანების მიმართ. პროკოპი კესარიელთან დაცულია ერთი საინტერესო ცნობა, სახელად რომ იუსტინიანე მეფემ ჯანეთისა და ლაზეთის სხვადასხვა პუნქტებში გარკვეული საღვთისმეტყველო სამუშაოები ჩაატარა. მათ შორის მოხსენებულია, რომ: „გარდა ამისა, ქრისტიანთა ეკლესიაც განაახლა ლაზიკაში, — ძველც იყო და ნაკვებობაც დაზიანებული“ (გეორგია, 2, გვ. 220) იუსტინიანემ ტაძრები სხვა ქალაქებშიც განაახლა, ხოლო აბაზგიების ქვეყანაში „...იუსტინიანე მეფემ... დეიოსმობლის ტაძრის ააშენა და მათ მდებარეობისა დაზიანებული და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები“ (იქვე, გვ. 135). აბაზგიის ტაძრის ადგილსამყოფელად უგაროვა (Max. IV. 36) და კონდაკოვი (P.D.P. IV) ბიჭვინთის მიუთითებენ, ხოლო კულაოვსკის გამოკვლევით ეს ტაძარი 548 წლის მახლობლად უნდა აშენებულიყო სებასტოპოლისში. (Ю. Кулаковский. Где был построен имп. Юстинианом храм для Абазгов? Арх. изсл. и заметки. V. 1897. გვ. 33) პროკოპი კესარიელი მიუთითებს, რომ იუსტინიანემ ტრაპეზუნტსა და ამასიაშიც განაახლა „...მეტი წელი საკუთხვევლია, რომელიც კარგა ხანია, რაც დაზიანებულია“ (გეორგია, 2, გვ. 219). იუსტინიანემ ჯანებს მათ ერთ-ერთ მთავარ დაბასა თუ ქალაქში, სქამალინიხონშიაც, როგორც ზემოთ ითქვა, ააშენა ეკლესია.

იუსტინიანეს მიერ ლაზიკაში ქრისტიანული ეკლესიის განახლებაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. დიუბუას აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს არქეოპოლის-ნოქალაქებში დღემდე დაცული „ორმოცი მოწამის“ ეკლესია (იქვე, გვ. 220. ს. ვაუხნიშვილის შენიშვნა (2). გ. წუბინაშვილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ მას ნოქალაქების ეკლესია არქიტექტურული ნიშნებით V საუკუნეში აგებულად მიიჩნია. გარდა ამისა, პროკოპის მოთხრობის მიხედვით, აქ შავი ზღვისპირას აშენებული ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს და, ამდენად, ეთანხმება რა ძირითადად იულ. კულაოვსკის აზრს (Ю. Кулаковский. დასახ. ნაშრ., გვ. 33-37), შესაძლებელი იქნება, რომ ეს უნდა იყოს იუსტინიანეს მიერ აფხაზეთში აგებული დეიოსმობლის ტაძარი. (Чубинашвили. К вопросу о Нюкалаки. თმ. XI, გვ. 118) ს. ვაუხნიშვილი არ ეთანხმება გ. წუბინაშვილის მოსაზრებას და იხიარებს დიუბუას აზრს ამ ტაძრის ნოქალაქებში აშენების შესახებ. იგი ეყარება გ. წუბინაშვილისავე შეხედულებას, რომ ეკლესია არქიტექტურული გაფორმებით V საუკუნის ძველი უნდა იყოს და მიუთითებს, რომ სწორედ პროკოპის მიხედვით, აქ ნოქალაქეთან წარმოებული ბრძოლების შედეგად, V საუკუნეში აგებული ეკლესიის განახლებასთან უნდა გეკონდეს საქმე; მიუთითებს, რომ პროკოპი ამას წერს 560 წელს, როცა ნოქალაქებში ბრძოლები დიდი ხანია დამთავრებულიყო (გეორგია, 2, გვ. 220).

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა გვაქცევდეთ შემდეგ გარემოებაზე: პროკოპი კესარიელთან დაცული ცნობების მიხედვით იუსტინიანეს მიერ განახლებული ტაძრები უმთავრესად საეპისკოპოსო ან სამიტროპოლიტო ცენტრებში იმყოფებოდნენ. ასე, მაგალითად, ტრაპეზუნტი და ამასია, შემდგომში სამიტროპოლიტო ქალაქები არიან (გეორგია, IV, 2, გვ. 131. იხ. ნოტიცია III). იუსტინიანეს დროს, ყოველ შემთხვევაში, ამ ქალაქებში საეპისკოპოსო კათედრებია მოთავსებული. ასეთივე ვითარებაა აბაზგიის დეიოსმობლის ტაძრის აგებასთან დაკავშირებით, იქნება იგი ბიჭვინთაში თუ სებასტოპოლისში. სებასტოპოლისის აბაზგიის ავტოკეფალური ეპარქიის ცენტრია, ხოლო ბიჭვინთა საეპისკოპოსო კათედრის ადგილსამყოფელი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, ჯანეთის სქამალინიხონის შესახებ, ჩვენ არ ვიცით, რა დანიშნულების ტაძარი ააშენა ბიზანტიის კეისარმა, მაგრამ თუ ბიზანტიისათვის ჯანეთის შემოერთების მნიშვნელობას გაითვალისწინებთ და იმ აუცილებლობას, რომ ჯანები ქრისტიანობაზე მტკიცედ დამდგარიყვნენ, (შეონი, აქაც კეისრის საეკლესიო შეხედულების პოლიტიკა გარკვეულ მიზანს ისახავდა), გვრჩება მხოლოდ იუსტინიანეს დროს აგებულ ტაძართან ლაზიკაში აშენებული ტაძრის ადგილსამყოფლის დაზუსტება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ლაზიკის რომელიმე საეპისკოპოსო ცენტრის ტაძრის განახლებასთან უნდა გეკონდეს საქმე. თუ პროკოპის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს დავჯერდებით, იუსტინიანემ: „...ქრისტიანთა ეკლესიაც განაახლა ლაზიკაში — ძველც იყო და ნაკვებობაც დაზიანებულიყო“, ცხადი გახდება, რომ აქ ძალით, ბრძოლის შედეგად დანატრული ეკლესიის აღდგენას კი არ ეხება საქმე, როგორც ს. ვაუხნიშ-

ვილი ფიქრობს; (გეორგია, 2, გვ.221) არამედ სიძველის შედგად დაზიანებულის აღდგენას. აქ გასათვალისწინებელია, რომ გ.ჩუბინაშვილი, რომელმაც შეისწავლა ნოქალაქევის კვლევისა და მას V საუკუნეში აგებულად მიიჩნევს, არაფერს ამბობს მისი რესტავრაციისა და აღდგენის შესახებ უფრო მოგვიანოდ — VI საუკუნეში.

ნოქალაქევი ძლიერი ციხე-ქალაქი იყო და საეჭვოა, რომ VI საუკუნის ლაზიკის ასეთ ცენტრში ძველი და დაზიანებული კვლევისა მოთმენილიყო. გარდა ამისა, ნოქალაქევი ხომ საეკლესიო ცენტრი არ ყოფილა, რომ შვენებლობის იმ გეგმით, რაც იუსტინიანეს დროს ასეთ ცენტრებში განხორციელებულა, მსგავსი სამუშაო შესრულებულიყო არქეოპოლის-ნოქალაქევიც.

ჩვენი აზრით არ არის გამორიცხული, რომ ლაზიკაში კვლევის განახლება ვეპოთ საეკლესიო ცენტრებში: სამიტროპოლიტო ფაზისში; საეპისკოპოსოებში: როდოპოლის-ვარდციხეში, საისინ-ცაისში, ზიგანივე-გულაგაში ან პეტრა-ციხისძირში.

რამდენადაც ამჟამად პეტრაში, კერძოდ მისი ციტადელის საკულტო ნაგებობების — ბაზილიკების უბნის გათხრების 1962-1964 წ.წ. მონაცემები გვიჩვენებს, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ იუსტინიანეს სწორედ პეტრაში ძველი ადგილობრივი ციხის გაფართოება — გამშენიერებასთან ერთად მისი საეკლესიო ტიპარიც გაეახლებინოს და გაეფართოებინოს. თუ პროკოპისთან ამის ცნობას უშუალოდ პეტრას ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით არ ვხვდებით, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობა გამოვრიცხოთ. პროკოპის შრომაში ციხე-ქალაქის აშენებასთან დაკავშირებით მხოლოდ ზუსტი ცნობებია დაცული კვლევებისა და კომპიუტერული მონაცემებისა, რომელსაც სამხედრო ისტორიკოსის თხრობისათვის ჰქონდა მნიშვნელობა. პროკოპი კესარიელთან, სხვათა შორის, პეტრას შესახებ თხრობისას საეკლესიო ნაგებობის მშენებლობაზე ლაპარაკი არ არის (მათ შორის, თუნდაც პეტრას VI საუკუნის ისეთი ძველი შესახებ, როგორცაა აბანოს მშენებლობა, რომელიც ამჟამად გათხრულია და მეცნიერული შესწავლის პროცესშია. კიდევ მეტი, პროკოპი კომპიუტერული და კვლევის შესახებ ლაპარაკობს მაშინ, როცა ამ ნაგებობებთან დაკავშირებით სამხედრო ოპერაციებზე მოგვითხრობს. ხოლო სპარსელთა მიერ წყალსადენის მშენებლობის ტექნიკას მაშინ განმარტავს, როცა ციხის აგების შემდეგ ციტადელში მიღებით მიყვანილი წყალი შეაჩინოს იმათ, ვინც ციხეს ალყა შემოარტყა). თვით პეტრას ბაზილიკების შესწავლის წინასწარი მონაცემები

არ გამორიცხავენ, რომ მეექვსე საუკუნის ბაზილიკის იმ განსაზღვრულ და შვენიერ ნაგებობას, რომლის გათხრაც უკვე დაიწყო (ციხისძირის ბაზილიკების ნაშთები აზომა არქ. რ.გვერდწითელმა.), წინ შეიძლება უძლიერეს შედარებით აღრეული, მეხუთე საუკუნის კვლევის ნაშთები. ამის სასარგებლოდ ჯერ-ჯერობით მეტყველებენ აღრეული პერიოდის შემცველი ფენები.

ნათქვამს უნდა დაემატოთ, რომ ციხისძირის გათხრების შედეგად შიდაციხის კედლების გაწმენდისას სწორედ საკულტო ნაგებობის უბანზე — ბაზილიკების ახლოს — გაიხსნა ადმოსავლეთის კარები. იგი თავისი აგებულებით (შედარებით მცირე ზომისა) განსხვავდება შიდაციხის და სამხრეთი კოშკის დამაკავშირებელი პარალელური კედლების უბანზე, დაბლობში გამოჩენილი კარიბჭისაგან, რომელიც თავისი ზომებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით პროკოპის მიერ აღწერილი ციხისა და ქალაქის დამაკავშირებელი მთავარი შესასვლელი უნდა იყოს. (გეორგია, 2, გვ.85). ადმოსავლეთის კარების განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ შესავლის მარჯვენა კედლის ქვის წყობაში კრამიტით გამოფენილია ჯვარი, რომელიც, როგორც ჩანს, ბოლნური ტიპისა უნდა იყოს. ადმოსავლეთი კარები უშუალოდ უკავშირდებოდა ბაზილიკას და უთუოდ უმოაგვრსად ემსახურებოდა საკულტო დაწესებულებების ქალაქთან ურთიერთობას, ხოლო კედელზე ჯვრის გამოსახულებას საეპისკოპოსო საფლომის ადგილსამყოფელის აღსანიშნავად ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მინიჭებული.

მაგრამ ყოველივე ამას ნათელს მოჰყენს მომავალი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს პეტრა-ციხისძირის ციხე-ქალაქის შემდგომ არქეოლოგიურ შესწავლას, მათ შორის, ბაზილიკური ნაგებობის მშენებლობის დროისა და დანიშნულების გაგებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1962-1964 წ.წ. ციხისძირში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამწავიანი ბაზილიკის აღმოჩენით, რომელიც V-VI საუკუნის სამშენებლო ტექნიკის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია, უკვე შეიძლება დავასაბუთოთ. რომ პეტრას საეპისკოპოსო კათედრა ნამდვილად პეტრა-ციხისძირში მდებარეობდა და ამით კი უკვე ნივთიერი (არქეოლოგიური) მასალების საფუძველზე განვამტკიცოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე ადრე გამოთქმული სავარაუდო მოსაზრებანი.

ასლან იმამიშვილი

თანამემამულეთა ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, ნდობა და გულახდილობა დედაბოძია საშობლოს ბედნიერებისა. სამშობლოს სახელით შეერთებულნი სხვადასხვა კუთხისა და სარწმუნოების შვილები ჩვენს ეროვნულ საღაროს მრავალ სიმდიდრეს შევამატებენ. დეე, გამოვიყენოთ ეს ერთობა ჩვენდა სანუგეშოდ. მამულის სადიდებლად.

გეგამ აბაშიძე



ტბელ აბუსერისძე. მხატვარი ზ. ახობაძე

ტბელ აბუსერისძე

აჭარის დიდ შვილთა შორის, რომელთა სახელები მარადის კრძალვითა და პატივით იხსენიება, ერთი უპირველესი XII საუკუნის დიდად ნიჭიერი მწერალი და მოაზროვნე იოვანე აბუსერისძე — ტბელია¹. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ძალზე მუნწად შემონახულა. ვიცით, რომ იგი იყო აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახლის შთამომავალი. როგორც ისტორიული ცნობებით დასტურდება, საკუთარი სახელი „აბუსერი“ უკვე XI საუკუნიდან დიდად ყოფილა მიღებული აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახლში და თითქმის ყოველ მეორე თაობაში ახალ სიცოცხლეს იძენდა. „მატიანე ქართლისაჲ“ გვამცნობს: „ციხე არტანუჯისა“ ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I 1955. გვ. 293) აჭარის ერისთავნი ერთგულად მსახურებდნენ საქართველოს სამეფოს და მეფეც ღირსეულად აფასებდა მათ. ხოლო იოვანეს,

აჭარის ერისთავთაგან პირველს, წილად ხვდა გამხდარიყო არტანუჯის („იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღები“ — კ. პორფიროვენტი) ერისთავი და საკუთარი სახლიც ფართო პოლიტიკურ სარბიელზე გაეყვანა. რომელი აჭარული საფეოდალო საგვარეულოს წარმომადგენელი იყო იოვანე აბუსერი, არ ჩანს. მაგრამ ვიცით, რომ მის წინაპრებს სიმამაცის გამო „ხიხათა“ ერისთავთა მოუპოვებიათ. თავისი ეპითეტი (აბუსერი) იოვანე ერისთავმა საკუთარ სახელად მისცა მემკვიდრეს. მამისავე კვალზე კარგა ხანს იღვწოდა აბუსერი პირველი. იგი არტანუჯისა და ხიხათა ერისთავობის გარდა ციხისჯვრისა და აწყურის ციხის პატრონიც იყო. XI საუკუნეში აჭარის ერისთავებს ხელი მიუწვდებოდათ ყველის ციხეზეც. მაგრამ მალე ქვეყნის შიგნით ატეხილი შოთის შედეგად აბუსერისძენი თანდათან სუსტდებიან.

ტრადიციულად თან დაჰყოლია მწერალსაც საქართველოს მეფისადმი ერთგულება და სიყვარული. მისი ნაშრომებიდან, იქნება ეს ლიტერატურული თუ კალენდარულ-ასტრონომიული, ავტორის დიდ ნი-

ჭიერებასთან ერთად, ისეთი ღრმა განსწავლულობა და იღეურ თვალსაზრისთა სრულყოფილებაც ჩანს, რომ ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, რა საფუძვლიანი განათლება ჰქონია მას მიღებული. მისი ლიტერატურული სტილი უაღრესად დახვეწილი და მაღალმხატვრულია. ტბელ აბუსერისძის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის არსენი ბერის ეპისტოლე, რომელშიაც დიდი გულათელი მოღვაწე შეპნატრის ისეთ ადამიანს, რომელსაც ზენა „მომადლებს გონიერებას“. ასეთ ბედნიერ შემთხვევაში აზრი „მაუკვდავებელ“ წყაროსავით მოედინება „ვეპნახთა მისგან წდელთა“ შუა, ხოლო მე „წუეთიცა ერთიც“ რომ მიმელო მისგან, იქნებ ასე არ „აღმელაგმა ენაჲ ქებად შენთუის, რომელმან მინათლა საცნაურითა ხედვითა გონებაჲ მარადი ზემჭიურობი ესე ვითარცა ქების მეტყუელებისათუის მბრძნობი და მონები“-ო მიმართავს ის ერისთავთ-ერისთავ აბუსერს.

არსენ ბულმაისიმისძეს შეუსრულებია აჭარის განმგებლის დაკვეთა და „გალობა აგვისტოსი“, რომლისთვისაც ასე იღვწოდა აბუსერი, გულათიდან გაუგზავნია ხიხანში

¹ „აბუსერი“ არაბული „აბუსარ“-ის ოდნავ სახენაცვალი ფორმაა. ამ კომპოზიციის პირველი ნაწილი (აბუ) არსებითი სახელია და „მამას“ ნიშნავს, ხოლო მეორე (სარ) ზედსართავ სახელ „სარუნის“ (დიდსულოვანი მამაცი...) ფუძეა.

და თან თავისი ეპისტოლეც მიუყოლებია. აგვისტოს გალობათა გარდა, აბუსერის დაკვეთით რამდენიმე თხზულებაც დაუწერიათ. ეს თხზულებები იმავე კრებულშია შეტანილი, რომელშიც ტბელ აბუსერისძის ნაწარმოებია. (ი. სიხარულიძე).

მოდწეულია ტბელ აბუსერისძის რამდენიმე თხზულება. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „ცხოვრება ქვითხურომას ბასილისა“ რომელიც წმიდა გიორგის სასწაულების აღწერით იწყება და მთავრდება მწერლის „ანდერძით“. ეს თხზულება შესულია საგალობელთა ვრცელ კრებულში, რომელიც აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახლის კარის ეკლესიისათვის (ხიხანის წმ. გიორგის სახელობისა) იყო განწესებული. ამჟამად იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კავკასიის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება.

ტბელ აბუსერისძის შემკვიდრების მეცნიერულ შესწავლასა და პუბლიკაციას სათავე ფრანგმა ქართველოლოგმა, აკადემიკოსმა მარი ბროსემ დაუდო. 1897 წელს კი იგი წიგნად გამოსცა თეოდორ დანიამ. ხოლო 1941 წელს სათანადო აღწერილობითა და კომენტარით კვლავ გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ლევან მუსხელიშვილმა. ტბელის ამ თხზულების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოქვეყნებული აქვს ხ. ახვლედიანს, კ. კეკელიძეს, ი. ჯავახიშვილს. განსაკუთრებით ბევრი ღვაწლი გასწია ამ ნაშრომის შესწავლისა და სწორად ამოკითხვისათვის ი. სიხარულიძემ, რომელმაც ორჯერ გამოსცა იგი. ნაწარმოები პავიოვ-რაფიულ ჟანრს ეკუთვნის. იგი უხვად შეიცავს თავისი დროისათვის დამახასიათებელ, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობებსაც, რის გამოც არ შეუძლება მისდამი ინტერესი.

თხზულების მთავარი გმირი წმიდა გიორგია. ამის შესახებ თვით მწერალი დასაწესისწივე მიუთითებს: „...ესენი არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა“. რამდენიმე დაწერილად წმიდა გიორგის სასწაულების შესახებ... ქართული ხალხური პოეზიაც საკმაოდ მისდამი მიძღვნილი ლექსებით, არსებობს გადმოცემებიც, მაგრამ ტბელის


თხზულება ყველაზე განსხვავებული და თავისებურია. იგი განსაკუთრებული თავისი მხატვრული ღირსებითაც. მკითხველი შეუნელებელი ინტერესით ეცნობა წმიდა მთავარმოწამის სასწაულებს, რომელთა სიმრავლე და მიზიდველობა ძალზე ნათელია. ნაწარმოებში აღწერილი ამბები საქართველოში ხდება. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: ღარიბი გლეხი, ქვითხურო ბასილი სამუშაოდ აჭარის სოფლიდან მიდის „ქუეკანასა სომხითისასა“, მაგრამ მას „გამოეცხა და დი იგი ახოვანი და პრქუა: „ნუ გაქუნს მოცალება მოსარწმუნოსთს სივლახასა შენისა და აღმიშენ ტაძარი ჳელითა მიეროდენ შენთა, და ნუშეცავი კადნიერ იქმნების მუშაკობად და შუელად შენ თანა. და უკეთუ ესე ესრეთ არა აჩუნო გულისმოდგინება, ადგაოგრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ“. ბოლო-ბასილი შეაერთო ამ განცხადებას და პრქუა, შ, წმიდაო გიორგი! რამე ვყო საწაულობელმან და ყოვლად უბადრუკმან, პირველად ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა ოდენ ჳელთა მიერ აღშენება ტაძრისა შენისა, რომელი სოფლის დასაბამითგან არაოდეს ვისგან ქმნილ არს? და მე ესრეთ გლახასა ნუგეშინისსაცემლად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობა, რათა მოვიერწო დასარჩენელი სახლეული ჩემთა, და მომიტყევე, მე, წმიდაო მოწამო, რათა აღვასრულო ჳელით მუშაკობა ამის უცხოთა ეკლესიისა და ვცოცხლებდე ჳელთა მიერ ჩემთა, საფარველითავე შენითა“. მაგრამ თავისი ნება კვლავ განუმეორა მას წმიდა გიორგიმ და შიშით შეპყრობილი ბასილიც წავიდა „უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა პრქვან ოპიზა“. ოპიზის მონასტერში მთავარმოწამის კარნახით მოსმენა სწულეებით შეპყრობილი წმიდა ბერი სტეფანე, რომელიც მისი მისვლისთანავე განიკურნა. გამოართვა მას „კარაული (რომელ არს ჯორი) და რკინა შესაქმნელი ქვისსათლელთა ჳურჭელთა“, რომლისგანაც თავისი ხელით უნდა გამოეჭედა „ჭურჭელნი ქვისსათლელნი“. ამასთანავე უნდა გამოეყენებინა თავისი „უღლეულინი („ქურდი“ და „პირქუშა“) და დაეწყო ტაძრის აშენება.

თავდაპირველად ბოლო-ბასილი ერთგულად იცავდა ყველა იმ წესს, რაც მთავარმოწამემ დაუდგინა, მაგრამ შემდეგ შვილი (იოვანე) მოიშველია. მაგრამ დაისაჯა, „მეყსეულად ეცა ქვა“ და კვლავ მარტოდ-მარტომ განაგრძო თავისი საქმე. „მარტომან... აღაშენა ტაძარი ესე“. ბოლო-ბასილის წმიდა გიორგის სხვა ტაძარიც აუგია, მაგრამ უკვე არა ამ უჩვეულო წესით, არამედ „შენდობითა კაცთა თანაშეწვევისათა, ვითარცა არს ჩუეულებამ და წესი სოფლის დასაბამითანი“. ასეთია თხზულების მოკლე შინაარსი, რომელიც ხორცშესხმული და გაცოცხლებულია უაღრესად საგულისხმო სასწაულებით... ხშირად იუმორითაც, რაც ასევე ძალზე საინტერესოა. შინაარსი ძირითადად ამ სასწაულებზეა აგებული. სასწაულები სხვადასხვა სახისაა, მაგრამ ყველა ღრმად გააზრებული და მთავარი მიზნისადმი მკაცრად დაქვემდებარებული. მათში ჩანს გამოცდილი მწერლის დიდი ნიჭიერება და ნაწარმოების კომპოზიციური აგებულების სრულყოფილება.

ნაწარმოებში დიდ ყურადღებას იქცევს იმ პერიოდის საქართველოსათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პოლიტიკური და ყოფითი დეტალების აღწერილობა. გეოგრაფიული დასახელებანი, ნაწარმოების მოქმედების არე, როგორც აღინიშნა, ვრცელია, მაგრამ ძირითადად მინც იგი სამცხესა და აჭარაში მიმდინარეობს. კერძოდ, ფოცხოვსა და სხალთაში.

რაც შეეხება ნაწარმოების მეორე ნაწილს, რომელსაც ჰქვია „ანდერძი... მქუმელისა“, იგი თან ერთვის ტექსტს. ავტორი ამის შესახებ გვამცნობს: „...ესენი არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძი მისისა სასოებით მვედრებელისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებლად ღირსებისაგერ მქუმელისა“. ეს თხზულება შესულია საგალობელთა ვრცელ კრებულში, რომელიც თავის დროზე აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახლის-კარის ეკლესიისათვის იყო განწესებული. ნიმუშისათვის მოგვეყვან ერთი ნაწყვეტი ტბელ აბუსერისძის თხზულებიდან.

პარი ნიკოლოზი (ლლონტი)



მთასა მას, რომელსა ზედა არს ჯუარი სახელსა ზე-
და წმიდისა ზაქარიაჲსსა, და ამას მთასა სახელიცა
იგივე ზაქარწმიდაჲ ეწოდების. მუნ შეჰკაზმა ქვაჲ დიდი
და მძიმე ფრიად, და დადგა მარტომან მარჯილსა ზედა
მათვე უღლეულთა თუსთასა შეწვენითა წმიდისაჲთა,
ჩუეულებსაებრ და რა გელის მიყოფით წინასწარმოდ-
ლომილმან ვერშედლებისათჳს მწუხარეყო თავი თუსი
მეესეულად მოეგნნეს მარჯილნი უღლეულსა მას კარ-
თასა და უღელი ქელსავე ზედა დაშთა მათსა, და არცა
ბ ა ს ი ლ ი ს ეკუეთა, უგნებელობასვე თანა კართასა.
და მსწრაფლ შთამოვლო საზარელი იგი და მყაფარი ჩა-
მოდმართი. და არცა სიმრავლესა ქვათასა ეკუეთა და
არცა წინა-კერძო დახულომილსა ხეგნარსა მის ქუეშე
მყოფისა მადნარისსა, რომლისა დასასრულსა სივა-
კესა შინა, წარვლო კარი ეკლესიისაჲ, რომელი არს სა-
ხელსა ზედა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემ-
ლისსა, და მას ქუეშეთცა განვლო წყალი და ყოვლადვე
უგნებელმან ქვითურთ შევლო შედმართიცა დიდი. ხო-
ლო ნეტარი ბასილი მოვიდა მას ადგილსა უღლეული-
თურთ, და წარვიდა უმეტეს ოთხისა უტეგნისა და მია-
წია ქვაჲ იგი უღლეულითა მით სამუშაკოსა მას ტაძ-
რისსა საკრველსა. და დადგა ბალაჰვარად კარსა დასა-
ვალისასა, რომელ არს მცირედლა უნაკლულეგანეს
ათერთმეტისა მტკავლისა.

და ამით ესევეთართა საკრველებითა არს ყოველი-
ვე ესე ნამუშაკვე ამის საკრველისა ტაძრისაჲ დიდად
შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა
და მრავალთა მიერ სატვირთავადცა ძნიად შესაძლე-
ბელთა.

და ამისსა დასუქასა შინა შვილი მისი ი ო ვ ა ნ ე
შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარ-
ცა მამაჲ მისი ბ ო ლ ო კ - ბ ა ს ი ლ ი. და ამან სახლი
აღაშენა საყოფელად სახლელთა თუსთა, გამოცხადე-
ბითავე წმიდისაჲთა, დაღაცათუ კაცთა შეწვენად შეუ-
ნდო წმიდამან. და რაჟამს მამისა მისისა მიერ იძულებუ-
ლი, მივიდა შუელად, მეესეულად ეცა ქვაჲ ბ ა ს ი ლ ი ს
და იქმნა ვითარცა მკუდარი მყუარ ჟამ. და შემდგომად,
გამოცხადებთავე წმიდისაჲთა, არღარა იკადრა შეწვეად
კაცთად და ესრეთ მარტომან მით უღლეულითა და კარა-
ულითა სტეფანე ნეტარისაჲთა აღაშენა ტაძარი ესე სა-
კრველი.

ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიემილი და სიძვრე პუ-
რისაჲ, და მოუძღურებულს ენა ბრგუნვილად ჰრქვს,
რაიცა ენების წმიდასა მოწამესა, რეცა ჩუქვების სახედ,
ვითარცა ყრმამან ჩჩვლმან, და ესრეთ გმა უყვის, ვი-
თარმედ: „ბაჩილო!“ რამეთუ ბ ა ს ი ლ ი ც ა ნეტარი
მცირედ ენა-ბრგუნვილი იყო. და ხილი მოართუს წმიდა-

მან, ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ, რო-
მელსა ეწოდების ჟოლი, და ამით ესევეთართა საკრვე-
ლებითა ნუგეშინისციის სიემილსა ამის სანატრელისა.

და ესრეთ მარტომან სრულ ქმნა მით კარაულითა
და უღლეულითა ტაძარი ესე საკრველი.

და ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა სახელსავე ზედა
წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა, გამოცხადებთავე
მისითა და შენდობითა კაცთა თანაშეწვევისაჲთა, ვითარ-
ცა არს ჩუეულებაჲ და წესი სოფლის დასაბამითგანი.

და მოკლებასა შინა კორცისასა ირემიცა წარმოუდ-
გინა წმიდამან ბ ო ლ ო კ - ბ ა ს ი ლ ი ს და მას თანავე
მუშაკთა. და მუნ ქმნილთა საკრველებათა მის ტაძრი-
სა აღშენებისათა თანაწარგვე, რომელი არს მთასა ორ-
ღართასა.

ხოლო კაცი ვინმე მკედართაგანი წარვიდა სპარსეთს
და ყრმაჲ მისი პყრობილ იყო. და გამოეცხადა მას წმი-
დაჲ და დიდებული მოწამე გიორგი და ჰრქუა: „უკეთუ
აღმიშენო სასანთლე ქვისსაჲ ქარის მოსაფარებელი,
გელთა მიერ შენთა, უეჭუელად გამოგიგნაო“. და მან
აღუთქვა ბრძანებული და რაჟამს მოიწია, ყო ვერეთ. და
არიან სასანთლენი ესე აწცა წინაშე მის ტაძრისა საკ-
რველისა. და ესევეთართავე საკრველებითა მრავალ-
ნი გამოიგნნა ამან წმიდამან გელისაგან წარმართთაჲ-
სა, რომელსა აღწერასა თანაწარგვედ სიმრავლისათჳს
საკრველებათაჲსა, ღმრთის მოყუარენო.

და უკუეთუ ენების რაიმე ბასილის, მომთხოველსა
მახლობელთა მიმართ-ჭმისთა, გინა სხუათა მიერ არა
მომცემელთა, მეესეულად შერისხვით ამხილის და იძუ-
ლებით წინაშე მისსა მოაწიან (და) არავის მიუტევის
ესევეთარი წმიდამან. და ი ო ვ ა ნ ე ს, შვილსა მისსა,
ვალისა მისისა წილ, ერთი ძველი წარულო უნებლიეთ
ვინმე კაცმან, სიცოცხლისავე შინა მამისა მისისა ბ ა -
ს ი ლ ი ს ს ა. ხოლო წმიდაჲ ესე მივიდა უ დ ე ს ჩუენე-
ბით, მწუხრსა, სახლსა შინა მის კაცისსა, რაჟამს ღამე
იქმნა დღე იგი, რომელი განთენდებოდა კვრიაკედ, და
ჰრქუა მას წმიდამან: „მოიყიდე სხუაჲ უმძიმესი ძელი
და აღიტვრთე ზურგითა შენითა, რათა მოაწიო წინაშე
ტაძრისა ჩემისა. და ამისა არა მყოფელი მოგწვდო უეჭ-
უელად ყოვლითურთ, რაიცა არს შენი“. და მოაწია უდი-
თ ზურგითა თუსითა მრავალთაგან ძნიად სატვრთავი ძე-
ლი წინაშე ამის ტაძრისა, შეწვენითავე წმიდისაჲთა.

ხოლო ესე მფრინველი შემდგომად აღშენებისა მრავალთა წელთა მახლობელად მის ეკლესიისა იხილვებო-
დეს სახლელთა მისთაგან.

მოგიოხრა თქუენ საკრველი ესე და ესრეთვე შეუძ-
ლებელი მარტოჲსა მიერ. რამეთუ წმიდამან მოწამემან
თვთ აუწყა ადგილსა ზედა მწუჟრნებსა და მიწასა ზედა
ლბილსა გელყოფაჲ ამის საკრველისა აღშენებისაჲ,
ხოლო ბ ა ს ი ლ ი, მწუხარებითა შეპყრობილმან და
ზარგანვდილმან, თხარა ეგოლენი სიღრმე ქუეშე მიწასა,

ტბელ აბუსერისმე. ცხოვრება ქვიზბურობისა ბასილისა. გამომც. „საბჭოთა
აკარა“. 1981 წ. ი. ხიხარულიძის რედაქციით.

ვითარცა ჩანს ზედათ ტაძარი ესე. და მათ სიღრმეთა-
ათგან იწყო შენებად და ესრეთ განასრულა ტაძარი ესე
საკურველი წმიდისა და ღიდებულისა მოწამისა გიორ-
გისი მარტოებით.

და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუენა, მას
ზედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად.

ამისავე მუშაკობასა შინა ქვაჲ განაპო. ხოლო წმი-
დამან მოწამემან ჰრქუა: „შთადგე, ბ ა ს ი ლ ი , და გან-
ზომე ვეგე, რაოდენი არსო“. და შთადგა მას შინა და შე-
მოაჭირა წმიდამან იმერ და ამიერ მით განაპებითა ქვა-
თაჲთა. ბ ა ს ი ლ ი ჯმაყო: „ვაიმე, რად მომკაღ საწყა-
ლობელი და საბრალოჲ, წმიდაო მოწამეო!“ ხოლო წმი-


დამან რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა
მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: „აღმოგედ და ნუ ხარ
მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ ქმენ ტიხარი
ჩემიო“.

ხოლო ბ ა ს ი ლ ი სადაცა წარიყვანის ჯორი იგი და
სთხოის საჯმარი რაიმე სამუშაკოჲ, მათ აჰკიდიან და
მარტოებით მიართვს კერძოკარაულმან ნეტარსა ბ ა ს -
ი ლ ი ს , და არავინ იკადრის წინასწარზიდვად, ვითარ-
ცა არს ჩუელებისაჲ ცხენთა და კარაულთათვს.

და ვიდრე მუშაკობდა ამით საკურველებითა, მწე ექმ-
ნებოდა წმიდაჲ ესე ა ხ ო ვ ა ნ ი დ ი დ ი მო წ ა მ ე
გ ი ო რ გ ი .



სხალთაში



ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული

ანდრია... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ — აჭარა ეწოდების — გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“. იგი ინახავს იმ შორეულ დღეთა მოგონებას, როცა ჩვენს მიწაზე პირველად განივრცო ნათელი ჭეშმარიტი, ნათელი დაუვალი... როცა უფლის ჯვარცმის შემდეგ წილი იყარეს მოციქულთა და განიყუეს ქვეყნები ქრისტეს სჯულის საქადაგებლად. იმ დროს ჯერ კიდევ მათთან იყო დედა უფლისა, რომელსაც საქართველო ერგო წილხვედრად... მან ამცნო ანდრიას: მოსული არს ჟამი ჩემი და, უფლის ნებით შენ უნდა იქადაგო ქრისტეს მცნება ჩემს წილხვედრ ქვეყანაშიო.

და მოციქულნი — ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, ჩამოვიდნენ საქართველოში... თან მოიტანეს ტილოზე აღბეჭდილი ხატი დედა ღვთისმშობლისა, შემდეგ აწყურის სასწაულმოქმედი ხატის სახელით ცნობილი...

ეს არ იყო შემთხვევით... იმ დროს მცხეთის მიწა უკვე ინახავდა ძვირფას სიწმიდეს — კვართს უფლისას, ღვთისმშობლისავე ხელით მოქსოვილს.

და აინთო რწმენის პირველი ნათელი... ამ მიწიდან და ამ კუთხიდან მოეფინა შემდეგ მთელ საქართველოს ქრისტეს სარწმუნოება. აქ ოდესღაც (ცოტათი უფრო გვიან) პირველი ქრისტიანული ტაძრები აღუმართავთ, აღუდგინათ პირველი ლოცვა, შეუმოსავთ სარწმუნოება, უდიდებიათ შემოქმედი... მათ შესახებ ახლა მხოლოდ აქა-იქ გაფანტული ძუნწი ცნობები და თითქმის ყოველ ნაბიჯზე, ზოგჯერ თვალისათვის აღვილად ხილული, ზოგჯერ არქეოლოგთა დვაწლით მიწიდან ამოტანილი ნანგრევები და ამ ნანგრევებში ისევ მჟუთქავი ჯვრები და ჩუქურთმები გვიამბობენ... არსებობს კიდევ ხალხის ხსოვნაში ლეგენდად, ზღაპრად, თქმულებად, ლექსად დარჩენილი გადმოცემები, ასევე სოფლების სახელები, რომლებიც კვლავ მიგვანიშნებს იმ არც ისე შორეულ წარსულზე (სულ 300 წელი გვაშორებს მისგან), როცა ამ მიწაზე ეკლესიის ხარების რეკვა ხალხს ლოცვის ჟამის დადგომას აუწყებდა... როცა აქ ჰყვარდა მაღალი, დიდი კულტურა, როცა აბუსერისძენი, თავდგირიძენი, შარა-

შიძენი, აბაშიძენი და მრავალნი სხვანი მუხლმოყრილნი იდგნენ მაცხოვრის ხატის წინაშე და მთელ საქართველოსთან ერთად ერთი გულითა და რწმენით ქვეყნის შემოქმედს აღიღებდნენ... შესთხოვდნენ შვეილობას.

მაშინ ამ მიწაზე აგებდნენ ტაძრებს. აგებდნენ ისე ბევრს, ისე ხშირად, რომ ზოგჯერ ერთ სოფელში რამდენიმე საგვარეულო სალოცავი იდგა. აქ მოღვაწეობდნენ დიდნი მამანი, საქართველოს მნათობნი, დიდნი მოწამენი. იწერებოდა წიგნები, საგალობლები, იკითხებოდა სახარება და ბრწყინავდა ქართული ტაძრიონი თავისი სიმრავლით, სიმშვენიერით, ჰარმონიით. პირველივე საუკუნეებში აქ არსებობდა ეპარქიები, ჰყავდათ ეპისკოპოსი, სამღვდელეობა...

ამ კუთხის ნეტარი დედანი, რომელთაც უამრავ მიწისძვრათა და ზეცისქცევათა საუკუნეებში მაინც წმიდად შეუნახეს შთამომავლობას მშობლიური დედაენა, ხელოვნების დიდი მიმდევარნიც ყოფილან. გადმოცემებით, ოსმალთა დაპყრობამდე, მთელი დასავლეთ საქართველოს სამღვდლო სამოსელი აქ იკერებოდა. აქედანვე იგზავნებოდა იგი აღმოსავლეთ საქართველოში. საუკეთესოდ ითვლებოდა აქაური ნაქსოვ-ნაკერი საეკლესიო სამკაული — ოქრომკედის დაფარნები, აღსავლის კარების ფარდები, ოლარები, ხატების ფარდები და მღვდელმთავართა შესამოსლები. ამის ნიშნები დღემდე შემორჩა ამ კუთხეს. განსაკუთრებული მოკრძალებით ძველ საეკლესიო ნივთებს, ბოლო დრომდეც კი, ქალები ინახავდნენ. ასეთი რამ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის პირველ პერიოდში (და ცოტათი ადრეც) უნახავთ გიორგი ყაზბეგს, გრაფინია უვაროვას, ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას და სხვებს, რომელთაც ფეხით მოიარეს აჭარა და აღწერეს, რაზედაც კი ხელი მიუწვდათ.

ოდესღაც აქ გაშლილი საეკლესიო მწიგნობრული მოღვაწეობა უზარმაზარ ნათელს ჰყენდა მაშინდელ ქართულ აზროვნებასა და რწმენას... გაეიხსენოთ თუნდაც, დიდად სახელოვანი მწერალი აბუსერისძე ტბელი, მისი „ცხოვრება ქვითხურომასა ბასილისა“, იოანე, საბა მტბევერები და სხვანი.

შემდეგ კი... ყოველივე ჩათავდა... ჩაქრა... იავარიქმ-

ნა. საშინელ რისხვად გადაუარა მომხდურმა მტერმა ამ მიწის დიდ კულტურას და მოსრა; ისეთ რისხვად და ისეთი სიმძლავრით, რომ ძველი დიდებიდან თითქმის აღარაფერი აღარ დატოვა... ვერ მოსპო მხოლოდ დედა-ენა და მამულის სიყვარული... ამ ორ წმიდათა-წმიდა ცნებაშია მისი კვლავ გამოდგომების დიდი ძალა. ქრისტეს რწმენისათვის ჯვარცმული ქვეყნის სისხლად დაცლილი სხეულის მარად მტკიცეული და მოუშუშარი ჭრილობაა მთელი სამხრეთი საქართველო და კერძოდ,

აჭარის ტრაგიკული წარსული, რომელიც სამასი წლის მონობის შემდეგ თუმც ნაწილობრივ, მაგრამ მაინც დაუბრუნდა თავის დედა ქვეყანას. დაუბრუნდა აოხრებული, გადამწვარი, გადაბუკული მწიგნობრული კერებით, მაგრამ მაინც საიმედოდ ცოცხალი, მაინც საერთო ქართულ დედაენაზე მოლაპარაკე. ამ იმედს კიდევ უფრო ამოღიანებს ხალხის სულში შენახული ხსოვნა-გადმოცემები თავისი წინაპრის წარსულისა...

ამონაწერები წიგნებიდან და გაზეთებიდან:

ზაპარია ჭიჭინაძე

„მუსლუმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“.

როგორც ცნობილია, ზაპარიამ იმოგზაურა აჭარაში, აჭარის სოფლებში. საკუთარი სახსრებით, დარბიული საგზლით, დედაენის წიგნებით. მის ჩანაწერებში ზოგი რამ იქნებ სადაო იყოს, მაგრამ საერთოდ, ძალზე საგულისხმო ფაქტებია აღნუსხული. მას ყოველ სოფელში უნახავს და შეძლებისდაგვარად აღუწერია ეკლესიები, ან ეკლესიათა ნანგრევები, წმიდა ქვები, წმიდა ადგილები. ზოგი ეკლესია ჯამეებად ყოფილა გადაკეთებული, სავალალო მდგომარეობაში. ჩაუწერია მრავალი გადმოცემა, ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ლოცვები, ქართული მეტყველების ნიმუშები, ადამიანებთან საუბრები.

მოგვყავს რამდენიმე:

„...ქობულეთის რაიონში ვნახე ეკლესიის ნანგრევები. ამ ეკლესიას წმიდა გიორგი შუშანეთისას უწოდებენ. ამას ხალხი დღესაც სცემს პატივს. მე მაჩვენეს ეს ადგილი ერთი ქვის გვერდით ორი კოშტი წმიდა სანთლის ნაჭერი ვიპოვე. ერთზე 3 კაპიკი იყო მიკრული, ხოლო მეორეზე 2 კაპიკი. ერთი კვირის წინეთ შეეწირათ ეს ფული ერთი ოჯახიდან, საიდგანაც მათ ერთი ბავშვი გახდომოდათ ავად. აქვე სხვადასხვა ეკლესიის ნაშთებს სწირავენ ფულს, წმიდა სანთელს, ბამბას, თაფლს, საჭმელს და მამლებს, რომლებსაც ნაშთების გვერდით სტოვებენ და მას არც ერთი ქართველი მაჰმადიანი ხელს არ ახლებს.

ლაპარაკობენ, ოსმალებს როგორ გაუთათრებიათ ამათი მამანი. ქალებს ზოგთ ახსოვთ ქართული ლოცვები და ბევრს ალაგს ქართული ქრისტიანული შელოცვებიც იციან. ზოგს სოფლებში ადღომისათვის წითელ კვერცხებსაც პღებავენ. ეკლესიის ნანგრევები, ნასოფლარები და ნასაყდრალეები მრავალია. ნასოფლარ ადგილებთან, ნამეტურ ეკლესიების ნანგრევებთან მრავლად არის ქვევრები. ღვინის დასაწურ დიდრონ ქვევრსაც ხშირად ჰნახავთ. (გვ. 171).

...შვენიერს ციხისძირის და სხალთის ხეობაში, სოფელ ბახმაროს წინ დღევანდლამდის სდგას ობლად ერთი დიდი ტაძარი, რომელიც მთლად თლილის ქვით არის ნაშენი. იმ ეკლესიას ეწოდება სხალთის ეკლესია. ეს ეკლესია შემოკლებით აღწერა განსვენებულმა დიმიტრი ბაქრაძემ თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში. აღწერა კიდევ გიორგი ყაზბეგმა 1889წ. უვაროვის მეუღლე მოვიდა აქ და ამ ტაძრის სურათები გადაადებინა, როგორც გარეგან შენობის, ისე შინაგან ხელოვნურის მხატვრობისა, რომელიც ძლიერ წამხდარია.



სხალთის ეკლესიას გარედან სიგრძე ექნება 10 და სიგანე 6 საყენი. აშენებულია უგუმბათოდ. იმ ეკლესიით, როგორც პარხალის ეკლესია არის (პარხალი ოსმალებითა დარჩენილი) და დღეს ამ ეკლესიის ნახევარი ქართველ მაჰმადიანებს ჯამედ აქვთ გადაკეთებული. სხალთის ეკლესია ცოტად თბილისის ანჩისხატის ეკლესიასაც ჩამოავს. კედლებზე სანათურებთან ლამაზი ჩუქურთმებია გამოყვანილი. უმეტესი ნაწილი ჩუქურთმისა დაქვეულია. ეკლესია მთლად სდგას. მხოლოდ გარედან აქა-იქ თლილი ქვები ჩამოსცვივნია და ეს თლილი ქვებიც იქვე ჩამონაქცევ კედლების წინ ჰყრია.

ქვებში შესაძლებელია, რომ ჩუქურთმები და ზედწარწერაც აღმოჩნდეს. ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ეკლესიის გარედან არსად წარწერა არ ჩანს და ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ჩვენში ძველად ასეთი ეკლესია გაეკეთებინათ და მასზედ არავითარი ცნობა არ დაეწერათ. აქაური მოხუცებულებიც ამბობენ და თვით ერთ აქაურ ცნობილ ბეგმაც დამარწმუნა, რომ ამ ორმოცის წლის წინათ ერთ ქვაზე ქართული წარწერაც იყო. ხოლო რა იქნა ის ქვა, ეს ჩვენ აღარ ვიცით.

ეკლესიას სამი შესავალი კარი ჰქონია და სამივე კარების წინ მიდგმულები აქვს მცხეთის ტაძრის მსგავსად პატარ-პატარა შესავალი. ყოველ შესავალს თავის

შესაფერი გუმბათი ადგია ზვეიღან. უმეტეს ნაწილ და-
ზიანებულ ეკლესიას შიგ სვეტები არა აქვს. კანკელის
ადგილსაც აღარაფერი ეტყობა. კანკელის ნაპირას, ორ-
სავე მხარეს კედლებში პატარა საჯდომი ოთახები ჰქო-
ნია გაკეთებული, სადაც ორი კაცი ჩამოჯდებოდა. იქ-
ნება ლოცვის დროს აქ ისვენებდნენ ამ ეკლესიის მამა-
ნი.

მამა-პაპის ხელოვნურის მხატვრობისა დღესაც კი ცხა-
დად მოწმობს და ნათლად ამტკიცებს ქართველთა ჩინე-
ბულს და დიდებულს წარსულს. მაგრამ რა ჰქმნას ქართ-
ველმა ერმა და მისმა უბედო მდგომარეობამ, რომ ყველა
მისი გამდიდებელი ძველი ფურფლად იქცა. სხალთის
შესანიშნავი მხატვრობა მთლად დაძველებულა და და-
ზიანებულია. რაც დრო და ჟამთა ბრუნვას დაუკლია, ის



სხალთის ეკლესია

ეკლესია მთლად დაზარალებულია შესანიშნავის ხელოვნურის მხატვრობით. უმეტესი ნაწილი მხატვრობისა დაზარალებულია ოქროსფერად. მხატვრობის ხელოვნებას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი. ისეთი მშვენიერი მხატვრობა ბევრი არ მინახავს. ტფილისის სიონის მხატვრობის შედარება ამასთან არ შეიძლება. ეს ძვირფასი განძი ჩვენის წარსულისა, ძვირფასი საკუთრება ჩვენის

მტერს შეუსრულებია. მაღლა, მეტად ხელოვნურად დაზარალებულს მაცხოვარს თვალები აქვს დახვრეტილი ტყვიით. ასევე აქვს ყველა შესანიშნავს ღირდონ ხატებს. გაფუჭებულია მთელი საკურთხევის ზედა მხრის მხატვრობა. მაგრამ რაც არის დარჩენილი, ხელოვნურად ნახატი არსებები და სურათები თავიანთის წარწერებით, ესეც ძვირფასი ნაშთია. ზეითა პირის ყოველს

ნახატს შერჩენია თავისი სახელი ხუცურის ასოებით. მთელი ზეითა ნაწილი ეკლესიისა სავსეა ხუცურის, ასო-მთავრულის ასოებით. ალაგალაგ მკაფიოდ, ნათლად სჩანს როგორც ნახატი, ისე ხუცური ასოები. ნამეტურ წამხდარია — ეკლესიის ძირის კედლების ნახატები.

ერთხელ, როგორც ამბობენ 1830 წელს, როცა ხოჯა „ელაუქებერს“ ლოცულობდა, ეკლესიის ჭერიდან ერთი ქვა ჩამოვარდნილა, ხოჯას თავში დასცემია და თავი გაუხეთქია. ქვის ალაგი გამოუგლესიათ და ზოგიერთ ხოჯებს უთქვამთ, რომ მაჰმადი არა ჰყაბულობს, რომ მანდ ჯამე არის და ჯამეში კიდევ სხვადასხვა სურათები მოიპოვებო. მაშინათვე დაუცარიელებიათ ეკლესია. შეუტანიათ ფინჯი და მიუციათ ცეცხლი. ძირის კედლების ნახატობა გაფუჭებულია, ხოლო ზეითა კედლების სურათებს ალი ვერ ასწვდენია და კედლები ბოლოსაკენ კი შებურულა. გადაწვის შემდეგ ჯამე განუახლებიათ. ერთის წლის შემდეგ კიდევ ჩამოვარდნილა ერთი ქვა და ხოჯას დასცემია თავში ლოცვის დროს. ამ შემთხვევის შემდეგ კი აქ ჯამე მოუშლიათ და ეკლესიის დაქცევაც სდომიათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო საქმე შეწყვეტილია.

ეკლესიის იატაკიდან და ჭერიდან აუყრიათ თლილი ქვა და ამ ქვებით ეკლესიის გალავანში ეკლესიის აღმოსავლის კარის წინ გვარიანი ჯამე გაუკეთებიათ. ეკლესია კი პირუტყვისათვის თავშესაფრად გადაუქცევიათ, მაგრამ აქაც ერთი შემთხვევა მომხდარა. ერთ მეცხვარეს ერთ დღეს ცხვარი მთლად გაუწვდა ეკლესიაში და თვით მეცხვარეც ავად გახდა. ამის მეოხებით ის ახალი ჯამეც მოშალეს იქ და სხვაგან გადაიტანეს. ეკლესიის შესახებ წყველად დასდეს: დღეის შემდეგ ამ ეკლესიას არავინ მიეკაროსო. ზოგი ამბობდა, შიგ შიითა-ნიათ და ზოგი — ანგელოზიაო. ეკლესიას ხალხი დიდხანს არ ეკარებოდა თურმე. დღეს კი თითო-ოროლა კაცი შედის. ადრე ამ ეკლესიის ქვებს სოფლის ხალხი იპარავდა, მაგრამ ვინც რამე წაიღო, იმან თავის ოჯახში სიკეთე ვერ ნახა და ბოლოს ის ქვებიც უკან მოიტანაო.

ამ ეკლესიის შესახებ აი, რა ძველ ამბავს ლაპარაკობენ: ჩვენ ქრისტიანები ვყოფილვართ. მაშინ ჩვენ გვყოლია ერთი მეფე, რომელსაც სახელად თამარ-მეფე ერქვა. ეს მეფე ამ ხეობაში ხშირად სცხოვრობდა, რადგანაც ეს ადგილები ძრიელ უყვარდა. ერთხელ, როცა იქ მობრძანდა, ერთი დიდი მსხლის ხე ნახა. სწორედ იმ ალაგას, სადაც დღეს ეკლესია დგას. ის მსხლის ხე ისეთი დიდი და ტოტგაშლილი იყო, რომ მთელს იმ ხეობას ჰფარავდა. ერთ დამეს თამარ დედოფალმა ისურვა იმ ხის ქვეშ დამის გათევა და გაათია კიდევ. სიზმარში ის ხე ნახა და მისი სიძლიერე. მეორე დღეს თამარ მეფემ იმ მსხლის ალაგას ეკლესიის აშენება ბრძანა. მაშინვე დაიწყო იმ დიდი მსხლის მოჭრა და ვერ მოჭრეს. მეშვიდე დღეს, როგორც იქნა, გადააწვინეს. მეორე დღეს რომ მოვიდნენ, ნახეს, რომ მოჭრილი ხე ისევ გამოთლებულიყო. შეწუხდნენ ძრიელ, დაუწყეს ხელახლაგ ჭრა, რო-

გორც იქნა, მოჭრეს. დაღალულები საღამოზე შინ წავიდნენ. მეორე დღეს მოვიდნენ და ხე კიდევ ხელახლაგ გამოთლებული დახვდათ. დიდად დაღონდნენ ამაზე და ეს ამბავი თამარ მეფეს აცნობეს. დედოფალმა ილოცა და უბრძანა: დღეს რომ ხე მოსჭრათ, ცულები შიგ ჩაურჭეთ და ამაღამ ისე დასტოვეთ. ხვალ მოხვალთ და იქვე დაგხვდებით. მართლაც ასე მოიქცნენ... მეორე დღეს ხე ვეღარ გამრთებელიყო. მაშინათვე ეკლესიის კეთება დაიწყო და ხე აღმოსავლეთის კარებში მიაყოლეს. დღეს რომ ბოძებია დარჩენილი ეკლესიის კარებში, ეს ბოძები სწორედ იმ ხის ბოძებიაო. (გვ.159)

...დევ სქელის ხეობაში მდგარა პატარა ეკლესია თლილის ქვით ნაშენი. სოფელ მამაწმიდის წინ ერთს შშენიერს ალაგას, საცა საყანური ადგილებია. ეკლესიას გარშემო მეტად ბებური ვაზის დაკლავილი ხეები ახვევია და მთელს ამ ხეობას ობლად გადმოშურის... ამ რამდენიმე წლის წინ ეს ეკლესია მარადიდის უფროსს უნახავს, ახმედ-ეფენდი ხალაშს, რომელსაც იგი ცოტათი შეუკეთებია. გლეხებისათვის დაუგალებია და უთხოვია, უპატრონეთო. შიგ პირუტყვს ნუ შეუშვებთო. ეს ეკლესია ჩვენის მამა-პაპის გაკეთებულია და ცოდვა არის, რომ დაიქც-დაინგრესო. გლეხებს ეკლესიისათვის რამდენიმე მიწაც მოუზომათ ირგვლივ და ამ მოზომილს ალაგას არავინ ეკარებოდა. ერთხელ, იქაურ მოხუცებს განგებ ვუთხარი:

— ეს ეკლესია შშენიერს საყანურ ადგილზე დგას, კარგი ფართო ადგილიც უჭირავს; ეს ადგილი თქვენ კარგად გამოგადგებოდათ, რომ ეს ძველი ეკლესია დაგქციათ და მის ალაგას პური ან სიმინდი დაგეთესათ მეთქი. მიკვირს, რომ ამ მხარეებზე სხვა ეკლესიები სულ დაგიქცევიათ და ეს კი ასე დაგიტოვებიათ. რატომ არ აქცევთ, ან ჯამედ რატომ არ გადააკეთებთ?

ერთმა მოხუცმა თქვა:

— ვერა ეფენდუმ, ეგ საქმე არც ჩვენს ძველებს უქნიათ და ვერც ჩვენ ვიზამთ. რომ დასაქცევი ყოფილიყო, მავას ადრე დააქცევდნენ. ჩვენში ამბათ არის დაშთენილი, რომ ვინც მაგ ეკლესიის დაქცევას გაჰბედავს, ის ავად გახდება და მოკვდება, ვეღარ მორჩებაო. ასეთი საქმე ძველად მომხდარა კიდევცაო. ჩვენის ძველებსაგან გავიგეთ, რომ ეს ეკლესია ერთხელ ბათუმის ფაშის ბრძანებით უნდა დაექციათ, რადგანაც ერთს ხოჯას ეჩივლა, რომ დევ სქელის ხეობის გურჯები ჯერაც კიდევ დადიან „ქელისაში“ (ეკლესია) და ჩუმად ლოცულობნო. სანთლებს ანთებენ და ფულს სწირავენო. დაქცევისათვის სოფლის ხალხი გამოურეკიათ. დაქცევა კი ვერავის გაუბედნია. მაშინ ჯაშუკი (ჯაშუში) ხოჯა ასულა მადლა, თან წერაქვი აუტანია და, როგორც დაურტყამს წერაქვი გუმბათისათვის, ხოჯა მაშინვე გადმოვარდნილა ძირს და ისე დამტვრეულა, რომ მალე მომკვდარა.

ამას შემდეგ დაქცევისათვის თავი დაუნებებიათ და მას აღარავინ ეკარებოდაო, არც ხოჯა, არც მოლა და არც მეძლეკეთიო (სოფელენი). ერთს ჩვენს კაცს ამ

ეკლესიიდან ერთი ნაჭერი რკინა და მძივები წამოედო-
ვო, ისიც იმ დღევე ავად გამხდარა, დამე სიზმარი ენა-
ხა და ასე ეთქვა მისთვის: თქვენი ძველების აშენებული
ვარ, თქვენ რად მაქცევთ, ან რად მქუცავთ (მძარცვავთ),
ჩემი რამეები ისევ ჩემთან მოიტანეთო. მეორე დღეს
ავადმყოფმა ყველაფერი ეკლესიაშივე მიატანინა, სადაც
ეწყო, იქ დააწყობინა და მას შემდეგ თვითონაც მალე
კარგად გახდაო. ამის შემდეგ ჩვენს ძველებს უთქვამთ,
რომ ვინც ამ ეკლესიას ხელს ახლებს და დააქცევს, იმას
კაი დღე არ დაადგებაო. ის ან ავად გახდება და ან მოკვ-
დებაო. აი, ჩვენც ამიტომ არ ვეკარებთ ამას და არ ვაქ-
ცევთო.

ტბეთი მონასტრისა და სოფელსაც მრავალ ტბათა
გამო დარქმევიაო, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი. (ამჟამ-
მად ოსმალეთშია) აქ მოღვაწეობდნენ დიდად წიგნიერი
ეპისკოპოსნი, დიდად განათლებულნი, ნამეტურ იოანე
მტბევერი და საბა... აქვე არსებობდა დიდი სკოლა-სას-

წავლებელი. აქაურები ამბობდნენ, ჩვენი ძველებისგან
ვიციტ რომ აქ უსწავლია შოთა რუსთაველს, იოანე
შავთელსა და სხვათა. აქ შემუშავდა პირველად ქართული
გალობა, შეიქმნა ნოტებიო. ტბეთის ეკლესია საქართვე-
ლოში ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მცხეთა,
გელათი, ზარზმა, ბოლნისი... მონასტრებში იყო დიდ
სწავლა-განათლება. საბერძნეთიდან ჩამოსულნი ქართ-
ველნი და სხვანი პირველად შავშეთში მოდიოდნენ და
ტბეთის ტაძარში ისადგურებდნენ. ტბეთის ეპისკოპო-
სები მამულეებადაც იწოდებოდნენ. მტბევერს მეფეებ-
ის და მირონის კურთხევაში მეშვიდე ადგილი ეკავა.
თვითონ კი პატარა ტაძარიო.

აქაურები იმასაც ამბობენ, ამ ეკლესიის შიგნით,
დიდი შავი ქვის ქვემოთ თამარ მეფე ასაფლავიაო (ამ
ქვაზე ჩუქურთმით გამოჭრილი ყოფილა მაშენებელი ამ
ეკლესიისა აშოტ ბაგრატიონი, საგმირო ტანსაცმელით
და ხმლით). აქაური მამადიანების თქმით, ორმოცმა
კაცმა სწია ეს ქვა და ვერ მოაცილეს საფლავსო.

თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა — „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ნ ი“ — ა ჭ ა რ ა“

მარიამობისთვის ორი იყო, ჩვენ რომ ღორჯომში შე-
ვედით. ...ქრისტიანობის ნაშთი ღორჯომში არა არის-
რა. მხოლოდ მახვენეს კი პირდაპირ, სოფ. აგარის ზე-
მით, მთაზე ძველი „ქილისა“ (ეკლესია). ამ ათის წლის
წინათ ერთი „მოსქოფის“ ხანუმა იყო აქ, ფაციებიც (ვა-
სათხოვარი ქალები) დაყვებოდა და ძველ ქილისებს
ეძებდა და ხატავდაო. ეს „მოსქოფის ხანუმა“ გახლდათ
გრაფ უვაროვის მუღლეს, რომელიც აჭარაში 1886 წელს
მოგზაურობდა არქეოლოგიური აზრით. უვაროვისა,
სხვათა შორის, ღორჯომის მახლობლად მდებარე სოფ.
აგარაშიც ყოფილა და აუწერია ამ ციცაბო ადგილას
დარჩენილი ძველი ნასაყდრალი. ამ ადგილამდე საცალ-
ფუხო ბილიკი ადის. ზევით ყანაა და ნასაყდრალიც ამ
ყანაშია. გარეთა პირი, როგორც აგვიწერს უვაროვისა,
— ეკლესიას არ შერჩენია. დარჩენილა მხოლოდ კედელი
მჭადა ქვისა, მაგარი დუღაბით შეერთებული. აქაურ
მკვიდრთ არა ახსოვთ-რა ამ ეკლესიის შესახებ: წირვა
როდის იყო შიგ, ან როდის დაინგრა და სხვა. ეს კია,
რომ აქ მოსვლისა და ეკლესიასთან მიახლოებებისა ეში-
ნიათ. მათ უფრო ეშინოდათ ეკლესიის ქვებისათვის ხე-
ლი ეხლო ვისმე... ერთხელ ღორჯომელ გლეხს რამდენ-
იმე თლილი ქვა წაუღია ამ ადგილიდან თავის სახლში.
მეორე დღეს შეშინებულს თავის მეზობლისათვის უთქ-
ვამს: მთელი დამე ვიდაც ჩემის სახლის კარებს აბრა-
გუნებდა, შემომტერვას აპირობდა და მანამდე არ მო-
მასვენა, სანამ არ მოვისაზრე, ცხენისთვის მომეკიდები-
ნა ქილისიდან წამოღებული ქვები და უკანვე მიმეტა-
ნაო. მეორე გლეხს ამ ეკლესიასთან მიწა ამოუთხრია და

ერთი ოქროთი სავსე ქილა უპოვნია. ძლიერ გახარებო-
და და შინ წამოედო ნაპოვნი ქილა. შინ რომ მოსულა და
ქილა გაუსინჯავს, ელდა სცემია: ქილაში ოქროს მაგი-
ერ გველები ფუსფუსებდნენ თურმე. აქედან ჩანს, რა ში-
ში ჰქონია აქაურებს ამ „ქილისისა“. ადრე ეკლესიის
გარშემო წარწერიანი ქვებიც ყოფილა, ალბათ საფლავე-
ბისა, მაგრამ ახლა აქ ხნულებია და ქვები არსადა ჩანს.
უვაროვისას ამოუთხრეინებია, მაგრამ ვერაფერი უპო-
ვიათ.

ეკლესია ოთხკუთხედიანია, აღმოსავლეთისაკენ დამრგ-
ვალეულია. კედლები ერთი მხარის სიმაღლეზე შენა-
ხულა სიგრძეზე. საკურთხევლის ერთი ნაწილიც და-
ცულია. ეკლესიაში შიგნიდან ამოუთხრეინებიათ და
სხვა ნივთებთან ერთად უპოვნიათ: ღვთისმშობლის ხატი
თხელი ბრინჯაოსი, სულ პატარა და ტლანქად ნაჭედი
ჯვარი რკინისა, ნატეხი მინის ფიალისა, ნახატინი
და ნატეხი ქვის ხატისა, ხელოვნურად ნაჩუქურთმევი,
ქართულ-მხედრულ წარწერიანი. ამ ქვის ხატზე გამოსახ-
ულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და სხვა წმიდანები...

უვაროვის ექსპედიციამ, როგორც აჭარიდან, ისე
ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდანაც, არქეოლოგიური
მხრით, რაც რამ დირსშესანიშნავი ნახა, ყველაფერი გა-
ზიდა, ძველი ხატები და ხელნაწერებიცა. ...მართალია,
ხსენებული ექსპედიცია ყველაფერს ეხიდებოდა აქედან,
გვეუბნებოდა, ამ ძვირფასი განძის ფასი თქვენ არ იცი-
თო; მაგრამ მეორეს მხრივ, ამაგიც დავკვლო: ყველაფერი
დაწვრილებით აღწერილ და დახატულ იქნა. გვ. 175-7.

ყურნები. ...ყურადღებას იპყრობს ჩუქურთმიანი ქვე-



გვიხროგენ ეკლესიის ზარები



ბანძარტლებულსარ

ბანბანილსარ

ნათელღებულსარ



ბანათლებულსარ

მირმცხებულსარ

ბანაბდილსარ

სახელთა მამისათა

და ძისათა და

სულისა წმიდისათა



ბათუმში, წმ. ნიკოლოზის ეკლესია.

ნათლობა



ბათუმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია.
ერის პარაკლისი





ს ხ ა ლ თ ა . ს რ უ ლ ი ა დ ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა თ ო ლ ი კ ო ს - ვ ა ბ რ ი ა რ ჰ ი
ი ლ ი ა II დ ა ჰ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა მ ჯ ო დ ე ლ ო ნ ი ტ ა ძ რ ის ე ზ ო ზ ი .

ბი, რომლებიც აქაურ საბძლებს, სახლებს, ყორეებს და კალოებს აქვთ დატანებული. თქმა არ უნდა, მახლობლად ქვის ეკლესია უნდა ყოფილიყო. მართლაც, საკმარისია, გზიდან რამდენიმე ნაბიჯი გადადგათ, რომ თავს წაადგეთ დანგრეულ ეკლესიის საძირკვლებს, მიწასთან გასწორებულებს, რომელთა შორის კაკლის ხეა ამოსული. ამ დროს ვერაგინა ვნახეთ აქ, რომ რამე ეამბნა ამ ეკლესიის შესახებ, ხოლო ერთ კუთხეში წავაწყდით ერთ ჩუქურთმიან წარწერიან თლილ ქვას, რომელმაც ჩვენი ცნობისმოყვარეობა ასე თუ ისე დააკმაყოფილა. ამ ქვას განი 10 მტკაველი აქვს, სიმაღლე 4 და სისქე 1 მტკაველი. ზედ გამოყვანილ ჩუქურთმების თანახმად, ეს ქვა ეკლესიის შესავალ კარს ზემოთ უნდა ყოფილიყო ჩატანებული. მისი ხუცური წარწერა მეტად ძველადღობაა, უმეტესად წაშლილია და ძნელად იკითხება. რამდენად შეგვეძლო, ფრთხილად და გულმოდგინედ გადამოვიდეთ. მაგრამ მარტო ჩვენს თავს არ ვენდეთ და მისი წაითხება ვსთხოვეთ ჩვენს ისტორიკოსს, თ.ჟორდანიას, რომელმაც მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ამ წარწერის გადმოღების დროს, რომელიმე ხაზს ან ნაწილს ასოსას უნებურად გამოვუშვებდით ან უნებურადვე ოდნავ შევცვლიდით, ასე აღმოვიტოვა: ქე(ქრისტე) აღნ (ადიდენ) ვენი(ერისთავთ ერისთავნი) გრიგოლ (გრიგოლ) და აბს რი (და აბუსერი) და გი (გიორგი) და (ბე) შექენი (და ბეშქენი)... (აქ ერთი სიტყვის გარჩევა ყოველად **შუქლებელი** შეიქნა) ზქრ (ზაქარია)“ *

ეს წარწერა სოფ. ვერნების ნაეკლესიარის ქვისა, ბ-ნ თ.ჟორდანიას აზრით, მეტად საყურადღებოა, რადგან მოიხსენიებს ცნობილ აბუსერისძეთა გრიგოლს და სხვ. აბუსერისძეთა შტო აღნუსხულია ბ-ნ თ.ჟორდანიას „ქრონიკებში“. და აქიდან ჩანს, ვინ როდის ცხოვრობდა. გვ. 295

...გამოჩნდა მცოვანი და უტყუარი მოწმე წარსული-სა — სხალთის ტაძარი. ტაძრამდე ასიოდე ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითკირისა, ანუ სხალთის ტაძრის თაბუნის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია, ამდენ აოხრებას და მუსრვას როგორღა გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა. ეტყობა, სხალთის არე-მარეში ძველად დიდძალი ღვინო მოდიოდა, რომ მის შესანახად ასეთი ქვევრები ჭირდებოდათ. ახლა ათასში ერთხელ თუ შეხვდებით სადმე გამეჩხერებულ და საცოდავად დაკნინებულ ვაზს. ამ

მარნის მახლობლად კლდეში მრავალი ნაშთია ბერების სენაკებისა.

...ხოვადად უნდა ითქვას, რომ ხუროთმოძღვრების მხრივ სხალთის ტაძრისთანა ძვირფასი ამ მხარეზე ერთიც არ ყოფილა. ჩვენი ცხოვრების აყვავებული ხანის დიდება ამ ტაძარში სრულად ისახება. და მართალია, სასწაულად უნდა ჩაითვალოს, რომ მეტრთა ხელს გადაურჩა და ჩვენამდე ამ ნახევრად შებლაღული სახით მანინც მთაღწია. სხვა ეკლესიები კი, მაგალითად ხულოსი გამძვინვარებულ მტრებს სულ ნაღმებით დაუქცევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ.

სხალთის ტაძრის გადარჩენის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაითვალოს, როგორც აქაურებმა გვიამბეს, ის შიში, რომელიც მის დაქცევა-დანგრევის მოწადინებულთათვის ჩაუნერგავს ორ გარემოებას.* ერთ აქაურ გლეხს სახლის ბუხრისათვის აქედან ერთი ციგა თლილი ქვები წაეღო. ხარებს ციგა დაუძრავთ თუ არა, გლეხს ბნედა დამართნია. ხარებს ციგა უმატრონოდ შინ აუტანიათ. მოუკითხავთ პატრონი. ბევრი ძეხნის შემდეგ ეკლესიის გალავნის ახლო დახვედრით სიკვდილის პირას მისული. უთქვამთ, გურჯების დემრთი გაგვირისხდა ქვის წადებისთვისო და უკანვე დაუბრუნებიათ. მომაკვდავი გლეხი მაშინვე მობრუნებულა.

მეორე ამბავი: შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მწყემსს ამ ტაძარში ავდრის დროს ცხვრები შეურეკია. რაღაც მიზეზით ერთი დღის განმავლობაში მთელი ფარა გაწყვეტილა და თვით მწყემსი ლოცინად ჩაყარდნია. სხვა მწყემსებსაც იგივე დღე დასდგომიათ. უთქვამთ, ალბათ აქ შაითანები (ემშაკები) ბუღობენო. მთელი ეკლესია ბურღოთი და ნეშოთი აუესიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ.

თვით ხოჯებსაც მოუნდომებიათ ეს ტაძარი მენეთად გადაეკეთებინათ, მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა, ყველანი ჭკუაზე შემცდარან და ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ.

ამათს გარდა, შერიფ-ბეგის მამასაც უცდია მოესპო ამ ტაძრის ხსენება. განუზრახავს აქაურობა დაენგრია და მის ნანგრევებზე სახლი აეშენებია, მაგრამ პირველ დამეგებში სიზმრებს საშინლად შეუჭამია და იძულებულქმნილა სახლი სხვაგან აეშენებინა.

ამ ხმებს დიდი გავლენა ჰქონია მცხოვრებლებზე, და ამ ტაძრისადმი შიში და კრძალვა ჩაუნერგავს.

ივრობა, № 172-1895 წ.

„ამბობდნენ ძველად: სხალთის ზარები და ბევრი რამ მიწაშია ჩაფლული, რადგან გათათრების დროს ესენი საქართველოში ვერ წაუღიათ და აქაურ ჩუმ ქრისტი-

* ი. სიხარულიძის წიგნში „სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“, გვ. 163. ამ წარწერის შესახებ ვკითხულობთ: მიუხედავად იმისა, რომ თ.სახოკიას სიფრთხილედ და გულმოდგინება არ მოუკლია წარწერის გადაღებისათვის, მან მაინც ვერ შესძლო მისი ზუსტად გადმოღება. განსაკუთრებით ეს ითქმის წარწერის უკანასკნელ სტრიქონზე, რამაც განსაზღვრა თ. ჟორდანიასეული წაითხვის უზუსტობანი. როგორც ვ. ჩიტაიამ დაზუსტა, ქვის წარწერა იკითხება ასე: „ქრისტე, ადიდენ (ერისთავთ-ერისთავნი, გრიგოლ და (აბუსერი და გიორგი და) შვილნი — მირიან, გრიგოლ, ქავთარ“. წაკითხვა გამოქვეყნებული აქვს აბუსერისძეთა საგვარეულო ისტორიის მკვლევარს ლ. მუსხელიაშვილს აბუსერისძე ტბელის მის მიერ 1941 წელს გამოცემული თხზულების შესავალ წერილში. ლ. მუსხელიაშვილის სიტყვით წარწერის „უკანასკნელი სამი სახელი მაინცდამაინც სათუაო.“

* ეს გადმოცემები როგორც ზ. ჭიჭინაძის, ისე თ.სახოკიას წიგნებში თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ რამდენადმე განსხვავდებიან კიდევ. ამიტომ ვბეჭდავთ ორივეს.

ანებს მიწაში ჩაუმარხავთ, რომ თათრებმა არ მოიტაცონ. ძველად ხიმშიაშვილებმა იცოდნენ ეს ადგილი, სადაც მარხია ვველაფერი სხალთის კვლევისისაო. ზოგნი ამბობდნენ, რომ ვითომც ხიმშიაშვილებმა იგინი ერთ დროს ამოიღესო.

ტბეთის კვლევისის ხაზინაც იქვე, მის ახლო-მახლო უნდა იყოსო. ძველად ეს ადგილები ჩვენში ბევრს ბერიკაცებს და დედაკაცებს სცოდნიათ, მაგრამ იგინი არავის ეუბნებოდნენ ამას, რადგანაც, რომ შეიტყოს ვინმემ, ის ამოიღებს და წაიღებსო. ოსმალნი მოიტაცე-

ბენ და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ოდესმე ქრისტიანები მოვლენო. ესენი თათრებისათვის რა საჭიროაო. შემდეგ დროში რომ მოხუცებულთ იმედი გადაუწვდათ და ქრისტიანი ქართველები აქ არ ჩნდებოდნენ და ნამდვილი თათრობა განწესდა, ესენიც აღარავის რას ეუბნებოდნენ და მაღავენენ, დედ-მამას თავიანთი ღვიძლი შვილების შიშიც კი ჰქონდათ. ბერიკაცები და დედაკაცები დაიხოცნენ და იმ ადგილების ცნობებიც მათ თან გაიყოლეს, სადაც კი მიწაში რაიმე იყო დამარხულ-დაფლული.

* * *

ეს გადმოცემები ხალხის ხსოვნაში შენახული წარსულის ამბებია. საინტერესო და მტკივნეულია მათი მოსმენა. ბევრი რამ, რაც ზაქარია ჭიჭინაძეს და თედო სახოკიას თავიანთ წიგნებში აღუწერიათ, ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა; ბევრი რამ ამ წიგნებში მეცნიერული თვალსაზრისითაც ცხადია, მოძველებულია, მაგრამ საერთოდ, უსათუოდ საინტერესოა. დიდია მათი ამაგი საქართველოს ამ მრავალნაბიჯი კუთხის წინაშე.

დღეს კი აჭარის წარსულს იკვლევენ და სწავლობენ მეცნიერები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები... მიწიდან ამოაქვთ, უვლიან, ამთლიანებენ... და ყოველივე აჭარის

სახელმწიფო მუზეუმშია თავმოყრილი — ხატები, ჯვრები, ქვაჯვრები, ძველქართულწერიანი ქვები, ჩუქურთმები, სხალთიდან, ციხისძირიდან, ტბეთიდან, თხილვანიდან, ვერნებიდან, დანდალოდან... ყოველივე, რაც გადარჩა, რაც ცოცხალია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აჭარის ეპარქიაში სტუმრობის ჟამს ეწვია მუზეუმს. მის უწმიდესობას მეგზურობას უწვევდა მუზეუმის დირექტორი, დიდად დეაწმოსილი მეცნიერი, აჭარის ისტორიის შესანიშნავი მცოდნე, ხარტონ ახვლედიანი. მადლიერების ნიშნად კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავისი ჩანაწერი შთაბეჭდილებათა წიგნში დასტოვა:

„მუზეუმში შესანიშნავადაა წარმოსახული აჭარის წარსული და აწყო. დმერთა დალოცოს ეს კურთხეული მიწა, სადაც წმიდა მოციქულების: ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგების შედეგად საქართველოში პირველად აენთო ქრისტიანული ლამპარი. გასახარია, რომ მუზეუმის დირექტორი და თანამშრომლები ეწვეიან დიდ მეცნიერულ შრომას.“

ი ლ ი ა II

სრულიად სამართავლო კათოლიკოს-პატრიარქი
21.VI.1985 წ.

ჩვენ ვალში დავრჩით სპერის ზღვის პირას მცხოვრებ, სამასწლოვან ძვრასა და სეტყვას, სამასწლოვან ბურუსს თავდაღწეულ ძმათა მიმართ.

და ეს ფიქრი საქართველოს მიწა-წყლის ყოველ მხარეში თავს გვახრევენებს. ღვთის დიდი მადლია, რომ იგი კვლავ გვაერთიანებს.

თ. კობალაძე

იქცის სულის

ალექსანდრე ნეოსტომისა

სულიერი ცხოვრება ქრისტიანისა იწყება ნათლობით — წყლით განბანვითა და ხელახალი დაბადებით. ნათლისღების წყალობით ადამიანი ხდება ქრისტეს მიმდევართა საზოგადოების, ანუ ქრისტიანული ეკლესიის წევრი, ე.ი. ქრისტიანი. მაგრამ ვიდრე გახდებოდეს კაცი იესო ქრისტეს მიერ დაფუძნებული ეკლესიის წევრი, წინასწარ დგინდება მასა და ქრისტე მაცხოვარს შორის გარკვეული პირობები: მოსანათლი აღუთქვამს უფალს ღვთის ნების გატარებას ცხოვრებაში, თავის მხრივ კი უფალი ნათელდებულს ჰპირდება აურაცხელ სიკეთეს ორთავ სოფელში.* ვისაც ჰქონია ბედნიერება ერთხელ მაინც დასწრებოდა ნათლობას ეკლესიაში, მისთვის ადვილი გასახსენებელი იქნება ზემოაღნიშნული მოთხოვნა-დაპირებანი ღმერთსა და კაცს შორის. შევეცდებით თანამიმდევრობით ჩამოვაყალიბოთ ისინი.

პირველი ალექსანდრე, რომელსაც ჩვენ ნათლისღების ემბაზის წინ წარმოვთქვამთ, ეს არის ალექსანდრე ბოროტი-სა და მის საქმეთაგან განშორებისა: „განვეშორები ეშმაკისაგან, და ყოველთა საქმეთა მისთაგან, და ყოველთა მსახურთა მისთაგან, და ყოველთა ანგელოზთა მისთაგან, და ყოველთა სიბილწეთა მისთაგან“ (კურთხევანი). სამჯერ იმეორებს ხმამაღლა აღნიშნულ სიტყვებს მოსანათლი-კათაქმეველი. როგორ უნდა გაუიგოთ ისინი? ეშმაკი არის სული ბოროტი, მტერი და მოწინააღმდეგე ღვთისა. რაც არ უნდა გააკეთოს მან, ყოველთვის არის წინააღმდეგი ღვთის კეთილი ნებისა. თავად ეურჩება ღმერთს და ცდილობს ადამიანსაც მოახვიოს თავს ბოროტება. ამაზე ბრძანებს წმ. იოანე ღვთისმეტყველი: „რომელმან ჰქმნეს ცოდუაჲ, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითაგან ეშმაკი სცოდავს“ (1 ინ. 3,8). ამიტომაც არის, რომ ნათლისღებამდე უპირველესად ეშმაკისა და მის საქმეთაგან განდგომა მოეთხოვება ადამიანს. კაცი დებს პირობას, რომ ბოროტს განეშორება და აღარ შეეწინააღმდეგება უფლის ნებას. ნათლობისას ჩვენ კი ვდებთ ამ ალექსანდრეებს, მაგრამ, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ მონათვლის შემდეგ უთვალავჯერ ირღვევა ჩვენს მიერ დადებული პირობა. ვიდრე გავარკვევდეთ იმას, თუ სად არის გამოსავალი ამ მიმემდგომარეობისა, განვიხილავთ სხვა ალექსანდრეებსაც.

* თუ მოსანათლი ჩვილი ბავშვია, მაშინ ალექსანდრეებს მისი მიმრქმელი.

მას შემდეგ, რაც მოსანათლი აღიარებს ეშმაკისა და მის საქმეთაგან განშორებას, იგი იღებს მეორე ალექსანდრეებს: რწმენას ქრისტე მაცხოვრისას და მისდამი შედგომას: „შეუდგებია ქრისტესა? — ეკითხება მოსანათლს მღვდელი. „შეუდგებია“ — პასუხობს მოსანათლი. „გრწამს იგი?“ — ჰკითხავს მღვდელი. „მრწამს იგი, ვითარცა მეუფე და ღმერთი“, — მიუგებს მოსანათლი. და აქ მოსანათლის, ან მისი მიმრქმელის (ნათლის) მიერ ხმამაღლა იკითხება ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო „მრწამსი“, რომელშიც გარკვევითაა ჩამოყალიბებული არსი ქრისტიანული რწმენისა იმ სახით, როგორც ამას ასწავლის ქრისტიანული ეკლესია — „სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3,15).

ასე რომ, ნათლობისას ჩვენ ვდებთ ორ უმთავრეს ალექსანდრეებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის ჩვენი პირველი ალექსანდრე ღმერთთან. ამით იწყება ჩვენი ქრისტიანობა და, რაც მთავარია, ამ ალექსანდრეში გამოხატულია ყველაზე არსებითი პირობანი ჩვენი ხსნისა და გადარჩენისა: პირველი და უმთავრესი, რასაც ჩვენ აღვუთქვამთ უფალს, ეს არის კეთება მხოლოდ კეთილი საქმეებისა და რწმენა ქრისტე მაცხოვრისა. დიახ, კეთილი საქმე და რწმენა არის აუცილებელი პირობა ჩვენი ცხოვნებისა.

ჩვენ უკვე გავარკვევით, ის, თუ რას აღვუთქვამს ნათლობისას კაცი უფალს. ეხლა ვნახოთ, თუ რას ჰპირდება უფალი სანაცვლოდ ნათელდებულ ადამიანს.

„განმართლებულ ხარ, განბანილ ხარ, ნათელდებულ ხარ, განათლებულ ხარ, მირონცხებულ ხარ, განწმედილ ხარ, სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა“ — ახარებს მღვდელი მონათლულ ადამიანს. ამ სიტყვებში გარკვევითაა გამოთქმული ყველა ის სიკეთე, ნათლობით რომ მიეცემა ღვთისაგან კაცს.

პირველი, რასაც უფალი ჰპირდება ნათლობისას ადამიანს, ეს არის ღვთის მადლით გამართლება. მაინც რომელ გამართლებაზეა ლაპარაკი აქ? ცხადია იმაზე, რომელიც ცოდვილი ცხოვრების გამო სჭირდება კაცს ღმერთთან და მოყვასთან, ე.ი. გამართლება-გათავისუფლება საკუთარი ცოდვებისაგან.

თუ ასეა, მაშინ რა უნდა ვთქვათ ჩვილ ბავშვებზე, რომელთათვისაც ჯერ უცხოა ყოველგვარი ცოდვა? იმათაც ხომ ვნათლავთ და ამას ვაკეთებთ მათს განსაწმენად და ხელახლა დასაბადებლად? საქმე ის გახლავთ,

რომ ადამიანს, გარდა პირადი ცოდვებისა, ტვირთად აწევს წინაპართა ცოდვაც, პირველჩენილ ცოდვას რომ უწოდებს წმ. ეკლესია. იგი ადამის შემდგომ მთელ კაცობრიობაზე გავრცელდა. პირველმა ადამიანმა ბოროტის ცდუნებით დაარღვია ღვთის მცნება და მით შეურაცხყო უზენაესი მართლმსაჯულება. ადამიანი გამტყუნდა ღმერთთან და დაშორდა კიდეც მას. საჭირო გახდა ღმერთთან გამართლება, საკაცობრიო სასჯელისაგან თავის გათავისუფლება. ამ სასჯელის ქვეშ გმინავდა კაცთა მოდგმა, ამ დანაშაულის გამო ყოველი ადამიანი დაბადებიდან დამნაშავეა ღმერთთან.

წმიდა ნათლობისას სულიწმიდის მადლით ხდება განახლება ცოდვით შებღალული კაცის ბუნებისა, განწმენდა და დაბადება ახალი, პირველჩენილი ცოდვისაგან თავისუფალი ადამიანისა. ასე რომ, წმიდა ემბაზიდან ჩვენ გამოვიდვართ გამართლებულნი და თავისუფალნი, როგორც პირველჩენილი, ისე საკუთარი ცოდვებისაგან.

ღმერთთან უხილავი გამართლების შემდგომ წარსულის წყლულებათა მოსაცილებლად ადამიანს ესაჭიროება წყლით განბანვა, რაც სრულდება ნათლისღებისას. მართლაც სამჯერ ხდება მორწმუნე სხეულის წყალში შთაფლვა და სამჯერ წყლიდან განწმენილი და განბანული ამოსვლა. თქვენ იყავით ცოდვილნი, — წერდა მოციქული პავლე კორინთელ ქრისტიანებს, „არამედ განიბანეთ, არამედ განიწმინდეთ, არამედ განმართლდით სახელითა უფლისა იესოჲსითა და სულითა ღმრთისა ჩუენისათა“ (1-კორ. 6,11)

ნათლობისას ხდება ადამიანის განათლება — ნათლით შემოსვა. მაგრამ ნათელი იგი არ ჰგავს ქვეყნიურ ნათებას. ეს არის რაღაც განსაკუთრებული, ზემოწიერი გაბრწყინება ადამიანისა. მაინც როგორ ხდება კაცის განათლება? წარმოვიდგინოთ სიბნელე, რომელშიც უხდება ყოფნა კაცს. ირგვლივ თითქოს არაფერი ჩანს. კაცი შეჰკუებია კიდეც თავის მდგომარეობას და აი, უცებ თვალი ეხილება და მოშორებით ამჩნევს რაღაც მშვენიერ, იდუმალ ნათებას. ადამიანი დაინახავს ნათელს და ამ ნათლის ფონზე ცხადად ხედავს საკუთარ თავსაც. სიბნელე, აქამდე რომ ბურავდა მას, სადღაც გამქრალდა და შორიდან მოღწეული ნათელი დასდგომია თავს. ნათელთან ერთად ჯერ განუცდელი სიხარული მოიცავს კაცს. ეს სულიწმიდის მადლია, ქრისტე მაცხოვრის წყალობით რომ აკითხავს ადამიანს. მაგრამ აღნიშნული სიხარულიც და ნათებაც მოკლებულია სრულყოფილებას. იგი მხოლოდ დასაწყისია ღვთის მადლით ადამი-


ნის სრული, საბოლოო გაბრწყინებისა, დაუსრულებელი ბედნიერებისა და ნეტარებისა.

ჩვენ თითქმის ჩამოვთვალეთ ყველა ის სიკეთე, ნათლისღებისას რომ მიეცემა კაცს. მაგრამ ცხოვრებაში ხდება ისე, რომ ადამიანი საკუთარი ნებით თუ უნებლიეთ, დალატობს ღვთის გზას, არღვევს ნათლობისას დაღებულ აღთქმა-დაპირებას. ისმის კითხვა: ღვთის მცნების დარღვევასთან ერთად ხომ არ კარგავს კაცი ნათლობისას შეძენილ სულიწმიდის მადლს? სულიერი ცხოვრებისათვის ერთხელ მიცემული მადლი ღვთისა აღარ ტოვებს ადამიანს. ის იმისათვის ეძლევა კაცს, რომ მთელი ცხოვრება სიკეთის გზაზე ეწეოდეს მას. მაშინაც კი, როცა ადამიანი სცოდავს, როცა კაცი ძლიერ შორდება უფალს, მადლი სულიწმიდისა მასში შეფარვით ავრძელებს არსებობას. იცვლის მხოლოდ ფორმასა და მდგომარეობას. შედარებისათვის გამოგვადგება წყლის ყინულად ქცევა. სითბოს მოკლებული წყალი ცივდება და ყინულად გარდაიქმნება. ყინული იგივე წყალია, ოღონდ სხვა მდგომარეობისა. საკმარისია ცოტადენი სითბო, რომ ყინული იწყებს ღვებობას და იბრუნებს თავის თავდაპირველ თხევად მდგომარეობას. ასევეა ადამიანშიც ნათლობისას შეძენილი მადლი ღვთისა. სიკეთისაგან ადამიანის დაშორებისას, გამოუყენებელი ხდება ადამიანში არსებული ნიჭი ღვთისა. ამიტომ იგი ინიღბება, სადღაც, სულის რომელიღაც კუნჭულში იმალება და ელის შესაფერის დროს თავის გამოვლენისას. როგორც კი ადამიანი ბოროტს განემორება, მაშინვე ნათლისღების მადლი ახსენებს თავს და ეხმარება მას, რათა დაუბრუნდეს სულიერ ცხოვრებას და აღასრულოს ნება ღვთისა. ამიტომაც არის, რომ კაცის მეორედ მონათვლა არ შეიძლება. ხორციელი დაბადება კაცისა ერთხელ ხდება, ამიტომ ასევე ერთხელ უნდა მოხდეს მისი სულიერი დაბადებაც.

მაგრამ თუ მაინც ბოროტისადმი მიიდრია კაცი შემდგომ ნათლობისა, როგორღა უნდა გამართლდეს იგი ღმერთთან? ყოვლად სახიერმა უფალმა იცოდა სისუსტე კაცისა და ამიტომაც დაუდგინა მას სინანული. მხოლოდ გულწრფელი სინანულით უნდა მოხდეს ჩვენი ხელახალი დაბადება და გადარჩენა. ჩვენი სულიერი დაბადება ერთხელ უკვე მოხდა ნათლობის წყლით. მეორედ დაბადება კი კაცისა უნდა მოხდეს სინანულის ცრემლებით. ამიტომაც უწოდებენ წმიდა მამანი სინანულს მეორე ნათლისღებას.

ეპისკოპოსი **ზ ო ს ი მ მ** (შოიშვილი)





ხატის უჩვეულო გამოსახულების გამო შემთხვევით გამოთქმულ აზრებს, შენიშვნებს თუ შეკითხვებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მხილველთა გაცეხებას იწვევს ხატისა და სურათის საფუძველთა არცოდნა. ერთმანეთში ურეკენ ხელოვნების ორ სხვადასხვა სახეს, რომელთა წინაშეც სხვადასხვა მიზანი დგას. აუცილებელია დაინახოთ ის ხელოვანი, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ფერწერასა და ხატის მხატვრობას, სურათის ხელოვნებასა და ხატის მოხატვის ხელოვნებას.

პორტრეტი და, რომელიც გნებავთ, სურათი აღსავსეა მისწრაფებით — გადმოგვცეს ადამიანის შინაგანი სამყარო, ხატი კი — სულიერ არსს გადმოგვცემს.

სული ღვთაებრივი საწვისია, იგი ღვთის სახეს აძლევს ადამიანს, რაც მის გონიერებაში, თავისუფლებასა და უკვდავებაში ვლინდება.

ღვთის სახე განუყოფელი კუთვნილებაა ყოველი ადამიანისა; ასე რომ, როდესაც ჩვენ ღვთისმსახურთ შევყურებთ, როდესაც ისინი ხატებსა და მლოცველებს უკმევს საკმელს, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ჩვენს გარეგნობას ან სახეს (პიროვნებას) კი არა, ღვთის ხატს უკმევს ჩვენს არსებაში.

ღვთის სახესთან ერთად ადამიანმა, შექმნისას, ღმერთთან მსგავსებაც შეიძინა, შეიძინა ნიჭი — ღმერთს დაემსგავსოს. როდესაც ადამიანი თავისი ნებით ღმერთის დამსგავსებას გადაწყვეტს და თავისი ცხოვრების დეაწლით დაადგება ყოველგვარი ცოდვისაგან განწმედის გზას, ღვთის სახე თანდათან გამოანათებს მის არსებაში. მისი შინაგანი სინათლე სხეულის საფარს გააღწევს და მის პიროვნებასაც გარდაქმნის. მის ყოველ საქციელში, სიტყვებსა და მოქმედებაში შინაგანი ღვთაებრივი სინათლე ისე გამოანათებს, რომ მის გარშემო მყოფი ადამიანებიც კი დაინახავენ ამას, რადგან ეს ნათელი ჭეშმარიტების მარადიული შხის სხივია. და ეს ხდება არა სიკვდილის შემდეგ, არამედ ამქვეყნიურ ცხოვრებაში. „და მიჰხედეს მას ყოველთა, რომელნი სხდეს კრებულსა შინა, და იხილეს პირი მისი ვითარცა პირი ანგელოზისაჲ“ (საქმე 6,15), — ვკითხულობთ წმიდა მოციქულთა საქმეში წმიდა პირველმოწამე სტეფანეს შესახებ.

სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ ადამიანი კიდევ დიდხანს მუშაობს, რომ მხატვარი გახდეს. დიდი შრომა მოეთხოვება ხატის მხატვარსაც, მაგრამ სურათების მხატვარი ცხოვრობს იმ სამყაროში, რომელსაც იგი შეისწავლის და ასახავს, ცხოვრობს ამ სამყაროს ცხოვრებით, მისი სული ცდილობს ჩასწვდეს მისი დროის

სულს და შეიცნოს თავისი ეპოქის შინაარსი, მისი ინტერესები და მისწრაფებები. თავისი შემოქმედებით (სურათებით) იგი საზოგადოებას მიმართავს, რომელიც ამავე ცხოვრებით ცხოვრობს და მისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობს. მიწიერი ადამიანებისათვის მიწიერ სახეებს ქმნის.

ხატის მხატვარი კი სულიერ სამყაროს უნდა ჩასწვდეს და მასზე სულის ენით უნდა ილაპარაკოს თავის შემოქმედებაში. იგი სულიერ სამყაროში უნდა ცოცხლობდეს. სულიერი სამყარო ადამიანმა შეიძლება შეიცნოს ფილოსოფიურად, მეტაფიზიკურად, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანი სულიერ სამყაროში ცხოვრობს.

ყოველგვარი სიცოცხლის ნიშანი, უწინარეს ყოვლისა, სუნთქვაა. ყოველი სულდგმული სუნთქავს. თავისებური სუნთქვა არსებობს სულიერ სამყაროშიც. წმიდა მამების გამოცდილება გვასწავლის, რომ სულის სუნთქვა ლოცვაა.

და ამავე დროს, სულიერად გაცოცხლებულ ადამიანს შიში იპყრობს, უხეინესის წინაშე რომ ხედავს თავის თავს, უხეინესისა, რომელიც მუდამ ფხიზლობს და არაფერი არ ავიწყდება. ამიტომაც, რომ ღვთის წინაშე მყოფი ყოველთვის ჩაფიქრებული, ყურადღებიანი და ფრთხილია. ყოველი თავისი საქციელის, სიტყვისა თუ ფიქრის დროს იგი „წინაშე უფლისა არს“: „ხოლო ნოე პოვა მადლი წინაშე უფლისა ღვთისა“ (დაბადება, 6,8), „და გამოუჩნდა უფალი აბრაამს და რქუა მას: მე ვარ ღმერთი შენი. სათნო იყავ წინაშე ჩემსა და იქმენ უბრალოჲ“ (დაბადება, 17,1). უფლის წინაშე ყოფნა — ლოცვაა. ლოცვა ადამიანში სუფევს მაშინაც, როდესაც მლოცველი ხატს მოშორდება და რაიმე საქმეს შეუდგება. ცხოველ არს ღმერთი, რომლის წინაშეც მე ვდგავარ, — ამბობს ელია წინასწარმეტყველი, როდესაც მევე აქავს ამხილებს. (მეფეთა, 17,1).

ღვთის წინაშე ამ დგომას, ამ ლოცვას, რომელიც სულიერი ცხოვრების სუნთქვას წარმოადგენს, ხატი გა-

ნასახიერებს. იგი თავად ლოცვაა, ხაზებითა და ფერებით გადმოცემული. ლოცვად დგომა — აი ერთადერთი მარადიული შინაგანი სამყარო ხატისა.

სურათი ჩვეულებრივი დამთვალეიერებისათვის არის განკუთვნილი, ხატი კი ლოცვაში ეხმარება მლოცველს.

თუ ლოცვისას ადამიანს მიღმური სამყაროს სურათები — ანგელოზები, წმიდანთა კრებული ან დრუბლებზე მღვარი უფლის საყდარი ეხატება თვალწინ, ეს ლოცვა არ არის, ეს — ოცნებაა. თუ მიწიერი სახეები სულის სამყოფლოში გადაგვაქვს, მცდარ და სახიფათო გზას ვადგავართ.

თუ, ხატთან მღვარნი, ვაკვირდებით ჩვენი გარემოცველი სამყაროსაგან მის განსხვავებას (რატომ არის ხატზე გამოსახული სახეები და ხელები მუქი ფერისა, რატომ აქვთ ფიგურებს არასწორი პროპორცია და ა.შ.), ლოცვად კი არ ვდგავართ, არამედ ხელოვნების შემფასებლები ვართ ხატის წინაშე, მიწიერი თვალსაზრისით განვიხილავთ მას და ისე ვაფასებთ, როგორც ჩვეულებრივ სურათს.

როდესაც ჩვენს წინაშეა სახე, რომელიც ძლიერად იმეორებს მიწიერ სინამდვილეს, ჩვენ, ჩვენებურად, გვიტაცებს მისი სილამაზე და ბუნებრიობა, ვტკბებით მისი მშვენიერებით. გვაოცებს მხატვრის ოსტატობა და თავგანს ვცემთ მას. და, თუ ამასთანავე ხატზე პეიზაჟიც არის ასახული, ჩვენი ყურადღება უფრო იფანტება. ამ დროს ლოცვისთვის აღარ გვცალია, შეუძლებელია არ დატკბე სურათით და არ შეაქო მხატვარი, ანდა, იქნებ, ზოგი რამ გაუკრიტიკო კიდევ. ერთი სიტყვით, ასეთი ხატის წინ ლოცვის დროს ადამიანს ისეთივე გრძნობები ეუფლება, როგორც საერთო შინაარსის, რომელიც გნებავთ, სურათის შემყურეს.

ჭეშმარიტად ლოცვას კი გულისყური სჭირდება, მლოცველმა ლოცვის სიტყვებს უნდა მიაპყროს აზრი. ამ საქმეში ძველი ხატი უპირველესი და უადრესად სანდო თანაშემწეა: იგი სწრაფად სძლევს გონების ჩვეულ დაფანტულობას თავისი სიბრტყისეული გამოსახულებით და თანაბარი, ოქროსფერი ან ფერადი ფონით.

წმიდანების გამოსახულება ხატზე თითქმის სილუეტურია, ლოცვად მყოფი ადამიანის განწყობილებით აღსავსე, აუღელვებელი, სისადავისა და მორჩილების სიღაღით მოსილი, თავშეკავებული.

ხატზე შეიძლება ბუნებაც იყოს ასახული: მიწა, თავისებური, სტილიზებული საფეხურების მაგვარი გორაკებით, წყალი და მცენარეები, მაგრამ ეს გამოსახულებები ყოველთვის მოკლებულია სიდრმისეულ სივრცეს და პეიზაჟი ხატზე არასოდეს არ იძენს დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

ხატზე ასახული ბუნება მხოლოდ თანამონაწილეა

უხეანესი განგებისა, რომელმაც ქმნილებათა გვირგვინი — ადამიანი უნდა გადაარჩინოს. ლოცვად მიპყრობილი გულისყური და ზეციური შეწყნარებით მოგვრილი სიჩუმი იმდენად ძლიერია ხატში, რომ იგი აუცილებლად ამშვიდებს ადამიანის გრძნობებს და აკავებს დაუოკებელი აზრების დინებას.

ხატის მეშვეობით ჩვენ უხეანესს ვუახლოვდებით ლოცვისას და ჩვენი რწმენისა და ლოცვის პასუხად ხატი, ეს გრძნობითი ნიშანი — ფიგური, რომელზედაც სადგებია წასმული — უხეანესისაგან გამოძვავალი ცხოვრების „წვენი“ ივსება და მისი მადლის მეწინავე ტალღად გვეკლინება.

ყველა ძველი ხატი სასწაულმოქმედი, რადგან ხატის შექმნა ლოცვით იწყებოდა, კვლევის მიერ დადგენილი წესისამებრ, ლოცვით ხატავდნენ მას და ლოცვითვე ამთავრებდნენ ხატვას. პირველი ადამიანი, ვინც ხატის წინაშე ლოცულობდა, თვითონ მხატვარი იყო.

X X X

ზოგი თავგანს სცემს სილამაზეს და დეთაებრივად აცხადებს მხატვრულ ნაწარმოებს, მაგრამ ყოველი ესთეტი, რომელიც სილამაზეს სილამაზისთვის სცემს თავგანს, გარკვეული აზრით, კერძოთავგანისმცემელია. ხატის თავგანისცემას კი არასოდეს არ მივყავართ კერძოთავგანისმცემლობამდე, რადგან ეს თავგანისცემა ხატით არ შემოიფარგლება — იგი თითქოს კიბება, რომლითაც მლოცველის სული უხეანესს უახლოვდება.

ხატი წმიდაა და მის მიმართ ყოველგვარი უღირსი საქციელი მკრეხელობაა. ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ხატის ეს თავისებურება და უადრესი მორძალელებით იტყვოდნენ მის წინაშე, რცხვენოდნენ მისი და ეშინოდნენ, რაიმე უკადრისი საქციელი არ ჩაედინათ იმ შენობაში, სადაც ხატები ესვენა.

რაც შეეხება ხატის მხატვარს, ზემოთქმულიდან შეიძლება ვინმემ დაასკვნას, თითქოს ხატის მოხატვის უნარი მხოლოდ წმიდა მამებს შესწევდეთ.

მონასტრებთან არსებულ სახელოსნოებში ყოველთვის ჰყავდათ სხვადასხვა ასაკისა და სულიერი დონის ბერები, რომლებიც ხატების ასლს იღებდნენ. ამისათვის არ არის აუცილებელი წმიდა მამობა — საჭიროა უადრესი მორჩილება.

ხატის მხატვარი, რომელსაც ლოცვა არ ძალუძს, სულიერად მკვდარია და, სავსებითაც რომ ფლობდეს ხატვის ტექნიკას, მისი ნახატი ყოველთვის უსულგულო იქნება.


მ. სოკოლოვა

მოსკოვის სასულიერო აკადემიაში 1982 წ. წაკითხული ლექციიდან



სოფელი ნინოწმიდა

დედის ღვთისა მიერ ქუეყანასა აგას
ჩუენსა მოვლინებულმან და წმიდათა
ხელთა მისთა მიერ ჯვარისა ვახისა მიმ-
ღებულმან, უნათლისმცემლუ ცხოვართა
განგნულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან,
შეპრიბუ და მიკვპვარუ ქართველნი ღმერთსა
მართალსა, დედაო წმიდაო, ნინო, ევედრე
ქრისტუსა ღმერთსა შეწყალებაჲ სულთა
ჩვენთათვის.



ქ ა ლ ა ბ ე ბ ა ნ ი

ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს წმიდა კკლე-სია აღნიშნავს 30 ნოემბერს. სწორედ მის სახელს მიაწერს ძველი საეკლესიო გადმოცემა მიმოსვლას ჩვენს მხარეში და ქართველთა ახალი აღთქმის რჯულზე მოქცევას. მან მოვლო „ქუეყანა ქართლისაჲ — დიდ აჭარა. ბერძნულ თხზულებაში „მიმოსვლა წმიდათა მოციქულთა“, ეფრემ მცირეს მოწმობით ნახსენები ყოფილა „ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადა-გებაჲ შორი ავაზგიაისა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წას-ვლაჲ ოსეთად“. ხოლო გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პა-ტრიარქთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამო დავის დროს ასე მიმართავდა მას: „წმინდაო მეუფეო, შენ იტყვი ვი-თარმელ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და მის ძმისა თვისისა მწო-ღებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი, მის მიერ მოქცეუ-ლნი და განათლებულნი“. გადმოცემის მიხედვით ანდრიას სა-მხრეთიდან, პონტოდან ჩრდილოეთის მიმართულებით გაუ-ვლია ჩვენი ქვეყანა ნიკოფსიამდე, სადაც დაუტოვებია მოცი-ქული სიმონ კანანელი. ანდრიას სამოციქულო გზაზე ასევე ნახსენებია ტრაპიზონი, „რომელ არს სოფელი მეგრეთა“,

სწორედ აქედან წასულა იგი ქართლის ქვეყანაში, „რომელსა დიდ—აჭარა ეწოდების“. ყოფილა კლარჯეთსა და სამცხეშიც, რომლის საზღვარზე, მთაზე აღუმართავს რკინის ჯვარი, და-მდგარა ჭოფელ ზადენ-გორაში, სადაც ხატის ძალით შეუმუ-სრავს ყრუ კერანი. აქ, სამცხეში მოუმოქმედებია მას მკვდრე-თით აღდგინების სასწაული. გაუცოცხლებია ვინმე დიდებული ქვრივი ქალის, სამძივრის ვაჟი და მოუქცევია სამძივარი ქრი-სტეს სჯულზე. მესხებისათვის უჩვენებია ძალი ღვთისშობ-ლის ხატისა, რომლის წყალობითაც გაუცამტკვრებია არტემი-სისა და აპოლოს კერპები... ყოფილა სვანეთშიც, გაუვლია მთელი აფხაზეთი და გადასულა ჯიქეთს. როგორც მოციქულთა უმრავლესობამ, ანდრიამაც მოწამებრივად დაასრულა სიცო-ცხლე. ისიც ჯვარზე ყოფილა გაკრული თავის ძმასავით /პე-ტრესავით/, ოღონდ განსხვავებული სახე ჰქონდა მის ჯვარს. გადმოცემით, იგი ჯვარზეც არ დადუმებულა. იქიდანაც ქადა-გებდა ოთხ დღეს და ოთხ ღამეს. იგი მთლურსმული არ ყოფი-ლა და ტანჯვაც გახანგრძლივებულა: „ძლიერი იყო ხმა და სიტყვა მისი და მხიარულად ასწავებდა. ეს მომხდარა 60 წელს.

წმიდა მოციქულ ანდრის ხსენება

ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო და ძმანო!

დღეს ქრისტეს ეკლესია აღნიშნავს პირველი მოციქულის — წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენებას; ხსენებას იმ წმიდანისას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენში ქრისტიანობის პირველი ქადაგება და გავრცელება. ანდრია მოციქული საქართველოში ჩამოვიდა ღვთის განგებით, რასაც გარკვეული წანამძღვრები აქონდა. წარმართმა ქართველებმა საქართველოში მცხოვრებ ებრაელთაგან იცოდნენ ქვეყნად განხორციელებული ძე ღვთისას პალესტინაში მოღვაწეობისა და სასწავლებლის შესახებ. მაცხოვრის ჯვარცმისა და ქვეყნიური სიკვდილის შემდეგ ღვთის განგებით ჩვენთან ჩამოტანილ იქნა დიდი სიწმიდე — ხელთუქმელი კვართი უფლისა, რამაც კიდევ უფრო გაუღვივა ჩვენს ხალხს განკაცებული ღმერთის — იესო ქრისტეს სწავლა-მოდღვრების გაცნობის სურვილი. იერუსალიმიდან უკვე მოდიოდა ხმები ქრისტეს საქმის ბრწყინვალე გამგრძელებების — წმიდა მოციქულების საქვეყნო მოღვაწეობის შესახებ. უდაოა, ჩვენი წინაპრებიც მოელოდნენ თავიანთ მიწა-წყალზე ისეთ ვინმეს, ვინც მოუთხრობდა მათ იესო ქრისტეზე, მის მიერ ნაქადაგებ სჯულსა და მოღვაწეობაზე. და აი, დადგა ეს კურთხეული დღე. საქართველოში დ ი დ - ა ჭ ა რ ი ს მხრიდან გამოჩნდა კაცი ჯვრით ხელში. სითბოსა და სათნოებას დაესაღვრებინა იმის სახეზე. წარმოიდგინეთ ხალხთან შეხვედრა მისი; მას კითხებოდნენ, ვინ იყო იგი, ან რა უნდოდა... იგიც ხიყვარულით უპასუხებდა ყველას, რომ იყო ქრისტე მაცხოვრის მოციქული და სურდა მათთვის ეხარებინა ამაღლებული მოძღვრება მისი. განკვირვებულნი და გაცოცხლებულნი ჰკითხავდნენ: რა სურდა ეხარებინა მის მიერ ნაქადაგებ ღმერთს მათთვის? და ისიც მიუგებდა: ც ხ ო ვ რ ე ბ ა და უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი, მ ა რ თ ა ლ თ ა თ ვ ი ს ქ რ ი ს ტ ე ს მ ი ე რ და ფ უ ძ ნ ე ბ უ ლ ი. ღვთის მადლით აღვსილი და სული წმიდით განბრძნობილი მოციქულის საქართველოში შემოსვლა მანათობელი ვარსკვლავის აღმობრწყინებას ჰგავდა. უკვდავების მოსურნე ჩვენი ხალხი დაეწაფა მოციქულის ამაღლებულ ქადაგებას იესო ქრისტეზე, როგორც ქვეყნიერების მხსნელზე, — მესიაზე. და არა მარტო დაეწაფა, მიიღო და იწამა კიდევ ქვეყნად განხორციელებული ძე ღვთისა, რომელმაც თავი თვისი დასდო კაცთა მოღვრის გადასარჩენად. ანდრია მოციქულის თავდადებულმა ქადაგებამ ბევრს მიაღებინა ქრისტეს სჯული. მათ იცოდნენ, რომ ამისათვის ელოდათ მკაცრი სასჯელი წარმართული სარწმუნოების მესვეურთაგან, მაგრამ ჭეშმარიტების რწმენამ და სასოებამ სძლია ყოველგვარ ქვეყნიურ შიშსა და დაბრკოლებას და

ერთგულ ქრისტიანებად აქცია ისინი. თვით ქრისტეს დიდი მქადაგებელი, წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული აძლევდა მათ თავდადების, ურყევი რწმენისა და უსაზღვრო სიყვარულის მაგალითს ქრისტე ღმერთისადმი. ამიტომ იწამა ჩვენმა ხალხმა მისგან ნაქადაგები ღმერთი, ამიტომ შეისისხლხორცა სჯული ახალი აღთქმისა.

მოციქულის მიერ დაწვებული საქმე კეთილად ვითარდებოდა. ქრისტიანობა მტკიცედ იკიდებდა ფეხს ჩვენში. წარმართული რელიგიის მსახურნი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდნენ ამას და გამოუცხადებდნენ სასტიკ, დაუნდობელ ბრძოლას ჭეშმარიტი სარწმუნოების მიმდევართ. მართლაც, როგორც შემეტანე მოგვითხრობს, მეფე აღერეს, როცა გაუგია ქრისტიანობაზე მეგრელთა მოქცევა, წარუვლენია მხედრობა და ძალით, ცეცხლითა და მახვილით შეუმუსრავს ახალი რელიგიის მიმდევარი ზღვისპირეთში. მაგრამ სიკეთისა და ჭეშმარიტების მარცვლები ჩვენს ხალხში უკვე ჩათესილი იყო და მას ვეღარავითარი ძალა ვეღარ მოერეოდა; ადრე თუ გვიან, უნდა აღმოცენდებოდა იგი, ერთი ასად ქცეულიყო და აღევსო ქვეყანა.

დიახ ძმანო, ანდრია მოციქული იყო ის კეთილი მთესვარი, რომლის მიერ დათესილიც შემდგომში აღმოაცენა და განავითარა წმ. ნინომ — ქართველთ განმანათლებელმა. ამიტომ მოიხსენება ეს კურთხეული დედა „ანდრისა ქადაგებისა წარმმართველად“. ჭეშმარიტად, ანდრია მოციქულის მიერ ნაქადაგები გვიქადაგა განმანათლებელმა ჩვენმა და იგივეს გვასწავლის დღეს წმიდა ეკლესია.

ამიტომ, რომ დღევანდელი ჩვენი ზემო მარტო დიდი მოციქულის სახსენებელი როდია, ის ამავე დროს, არის ჩვენი მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარება, ქრისტე მაცხოვრის მოძღვრებისადმი ჩვენი ერთგულების გამოხატულება.

წმიდაო დიდო მოციქულო ანდრია, სიმონ კანანელთან ერთად, შენ დასთესე სიკეთისა და სიყვარულის მარცვლები ჩვენს კურთხეულ მიწა-წყალზე, რომელიც ჩვენმა ხალხმა დაიცვა და კეთილად აღმოაცენა. ჩვენს ერს წმიდაო მოციქულო, ძვირად დაუჯდა ამ სიკეთისა და სიყვარულის ნერგების გადარჩენა. ჩვენ სისხლის საფასურად შევინარჩუნეთ ეს ღვთიური მადლი, შევინარჩუნეთ დედაღვთისას შეწვევითა და ლოცვით, რათა საყოველთაო მკისას უკლებლოვ შენთვის დაგვებრუნებინა; შენ კი, როგორც კეთილი ნაღვაწი, კრძალვით მიგერთმია ღმერთისათვის.

ქრისტეს დიდო მხედარო ანდრია, შენს მიერ ქადა-

გებულები ღმერთის რწმენამა და სიყვარულმა წარსულში ჩვენი ერი ღმერთსა გადასწავლისა და მოსპობისაგან, ჩვენ გვწამს, რომ მომავალშიც ჩვენი ხსნა და გადარჩენა მხოლოდ იესო მაცხოვრის მადლითა და მის მცნებათა დაცვით მოხდება. ჩვენ ისევ იმ გზას მივყვებით, რომლის პირველი კვალი შენ გაიტანე და რომელსაც ჩვენმა განმანათლებელმა წმიდა ნინომ შეგვაყენა. ამ გზით მთარულთ აროდეს გვაკლდა შენი შეწყვენა და მეოხე-

ბა. გვწამს, მომავალშიც ჩვენთან იქნები და ყოვლად წმიდა ღმერთსმშობელთან ერთად, ღვთის მადლით განათლებული, წინ გაგვიძღვები აღთქმული ზეციური სასუფეველის დასამკვიდრებლად... სასუფეველისა, რომელიც განმზადებულია მართალთათვის, რომელსა შენის ყოველი ღმერთი და თაყვანისცემა, უკუნისამდე, ამინ!

ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შოშვილი)

ივანისათვის — „მაშინ მსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ძალწულთა“

„აღვადო საგალობელითა პირი ჩემი და ვიტყვოდი იგავთა დასაბამისათა“ — ამბობს ქე ღვთისა სულიწმიდისა და ღვთის პირით ჯერ კიდევ განკაცებამდის და, მართლაც, მოსული მიწაზე ხალხს იგავის ერთი მოუთხრობს სასუფეველზე, რჩეულთ კი, — მოციქულებს, — განუმარტავს ამ იგავთ. რად მოიქცა ასე უფალი?

ჯერ ერთი, მისთვის, რომ, როგორც თვითვე უბასუხებს მოწაფეებს მსგავსსავე კითხვაზე, მხოლოდ რჩეულთათვის იყო მოცემული სასუფეველის საიდუმლო, მეორედ — „იგავით ვეტყვ მათ, ჰხედვენ და არა ჰხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულის-გმა-ჰყვიან“... „რამეთუ განზრქა გული ერისაჲ ამის, და ყურითა ისმინონ და გულის-გმა-ყონ, და მოიქცენ, და მე განგუკუნნე ივანი“ (წმ.მათე 13,13, 15).

ღმერთისათვის განსამარტავი იგავიც ერთი იმ მრავალთაგანია, რომელთა მეშვეობითაც იესო ტკბილი ჩვენი გაქვავებული გულის განედლებასა ცდილობს და მოქცეულთ განკურნებას გვაპირდება. ეს იგავი ასე იწყება: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა...“ არ შეიძლებაოდა, უფალს შედარებისათვის ესმარა არა „ათი“, არამედ, ვთქვათ, რიცხვი 3,4,6,7,9, 12,40 ან 70?! ესენი ხომ საკრალური, საიდუმლო, რელიგიური მნიშვნელობის რიცხვებია?! ან სიტყვა „ქალწულის“ ნაცვლად ესმარა, ვთქვათ „ათი კაცი“, ან „ათი ქალი“, ან „ათი მოხუცი“!

ამ იგავში რიცხვი „ათის“ კონკრეტული მნიშვნელობა ჩვენთვის მიუწვდომელია, მაგრამ რაკი ღვთაებრივი მოძღვარი ცოტა ქვემოთ ამ რიცხვს შუაზე ჰყოფს, — „ხუთნი მათგანნი იყვნენ ბრძენნი“ და „ხუთნი სულელნი“, ანუ ჰყოფს ამ რიცხვს, ორ შესაძლო ადამიანურ ნებად, — ბოროტ და კეთილ ნებად, — მაშინ ჩანს, რომ იგი რიცხვ „ათის“ ქვეშ ყველა ადამიანს გულისხმობს, ე.ი. — კაცობრიობას. ამ აზრსავე აძლიერებს რიცხვ „ათთან“ ცნება „ქალწულის“ მოხმობა. „ქალწული“ აღნიშნავს: უბიწოს, შეურყენელს, ბუნებრივს, თავდაპირველს, წმიდას და ა.შ. ამგვარად მივიღებთ იგავის ამ პირველი ნაწილის ასეთ თარგმანს: მაშინ ემსგავსება სასუფეველი კაცობრიობის თავდაპირველ მდგომარეობას, „რო-

მელთა აღიხუნეს ლამპარნი თუხნი, და განვიდეს მიგებებად სიძისა. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი, და არა მიიღეს მათ თანა ზეთი, ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი, ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა“ (1,3,4). — რა უნდა ვიგულისხმობთ სიტყვა „ლამპარის“ ქვეშ და რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „ზეთის“ ხმარება? რაკი იგავში ნათქვამია, რომ ერთნაირად „ბრძენნიცა“ და „სულელნიცა“ განვიდეს მიგებებად სიძისა“ და სწორედ ამ მიზნით „აღიხუნეს ლამპარნი და ზეთი ბრძენთა“ და მხოლოდ „ლამპარნი“ სულელთა, მაშინ თუ განვმარტავთ აქ ხმარებული სიტყვა „სიძის“ მნიშვნელობას, თავისთავად ნათელი გახდება მნიშვნელობა სიტყვათა „ლამპარი“ და „ზეთი“.

ერთხელ, როგორც არაერთხელ, მოუხდნენ უფალ იესოს ფარისეველნი და წმ.იოანე ნათლისმცემლის მოწაფენიც, აყვედრებდნენ და ჰკითხვიდნენ: რატომ არის, რომ ჩვენ ვინახავთ მარხვას, შენი მოწაფეები კი არა; და მაშინ მაცხოვარმა მიუგო: ვინ იგლოვოს სიძეს, ვიდრე ის მათთან არის ქორწილზე, მაგრამ მოვა დრო და სიძე წაიყვანება მათგან, და მაშინ იგლოვენ სიძეს და ნიშნად ამისა დაწესდება მარხვა (გაიხსენეთ მართლაც, მძიმე მარხვა უფლის წმ. ვნებების მოსავლენებლად). რიგითი მორწმუნეც კი მიხვდება, რომ იესო ქრისტე „სიძის“ ქვეშ აქ თავის თავს გულისხმობს; ახალი აღთქმის არაერთ ადგილას ფიგურირებს სიტყვა „სიძე“ მაცხოვრის მნიშვნელობით, ასევე განმარტავენ ამ სიტყვას ღმერთშემოსილი მამებიც. ხოლო, რაკი „სიძის“ ქვეშ მაცხოვარი უნდა ვიგულისხმობთ, მაშინ „ქალწული“ განვიდეს მიგებებად სიძისა“ გამოხატავს კაცობრიობის მოლოდინს მესიის, ანუ მხსნელის მიწაზე მოვლინებისა, მაგრამ მისი არა პირველი, არამედ მეორედ მოსვლისა, რამეთუ ამ იგავის ბოლოში ნათქვამია: „განმზადებულნი (ანუ ხუთი ბრძენი ქალწული) შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას“, ხოლო ხუთთა სულელთა „დაეკმა კარი“. წმ. ოთხთავის სხვადასხვა ადგილებიდან და წმ. მამათა განმარტებებიდან ვიცით, რომ „ქორწილი“ ესქატოლოგიური სწავლებით სასუფეველის დაღვრამსა და სიხარულს მოასწავებს, შემდგომ საშინელი მოსვლისა,

საყოველთაო აღდგომისა და განკითხვისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მესიის პირველ და მეორე მოსვლაზე ლამპარაკი „სიბილათა წიგნებში“, ძვ. ტიპეტურ გადმოცემებში, მკვდარი ზღვის, ანუ ყუმრანის ხელნაწერებშიც. მე აღარ ვიტყვი იმას, რომ ქვეშეცნული შიშია თვითოეულ ადამიანში რაღაც ზეადამიანურის წინაშე, რომელიც მაშინ შეღავნდება განსაკუთრებით, როცა კაცი დიდად შესცოდებს, ან როცა აგონიაშია. ამ საყოველთაო შინაგანი მოლოდინის გამოა ნათქვამი იგავში, რომ „განვიდეს მიგებებად სიძისა“ არა მხოლოდ „ბრძენნი“, არამედ „სულელნიც“; ხოლო რაში მდგომარეობს ზოგთა სიბრძნე და სხვათა უგუნურება, ამას „ლამპარისა“ და „ზეთის“ მნიშვნელობა ცხადყოფს.

თუ „ქალწულის“ ქვეშ ადამიანი იგულისხმება, როგორც შევთანხმდით, ცოდვით დაცემამდე, თავის თავდაპირველ ყოფაში, ხოლო „სიძის“ ქვეშ მაცხოვარი, ადგილი იგავისა „ქალწულნი განვიდეს მიგებებად სიძისა“ პირდაპირი თარგმანით ასეა: კაცობრიობა აღდგა, მოელოდა რა, ქრისტე დემრთი მოვიდა საყოველთაო განკითხვისათვის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უფალი დემრთი ვიდრე მეორედ მოსვლამდე, პირველად უკვე მოვიდა (რადგან „თავთა წიგნთასა წერილი-იყო მისთუის“;

უნდა მოსულიყო განკაცებით), ძე ღვთისა განკაცდა ჩვენი ხსენისათვის და რაკი უკვე მოვიდა განკაცებული მოსვლით, მამასადაძემ, ცოდვით მანამდე უკვე დაცემულა კაცობრიობა (აღაშში ხომ პოტენციურად ყველა ადამიანმა სცოდა, რაც ისტორიულადაც ასე მოხდა.) ერთი სიტყვით, ეს ადგილი იგავისა ერთგვარი ხანმოკლე, მაგრამ ბევრისმომცველი ექსკურსია წმ. წერილში და განმარტება ამ ადგილისა ასეთი იქნება: ადამიანმა სცოდა, დაეცა, დაკარგა სამოთხე, მაგრამ სახიერმა დემრთმა აღუთქვა მხსნელის მოვლინება და, როცა დადგა აღროთა სისავესი, მესია მოვიდა, მოხდა აღდგომა.

„დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და ლაიძინეს“, ხოლო როცა დადადება იყო „სიძე“ მოდისო, „მაშინ აღსდგეს ყოველნი“. „სიძის“ მოლოდინში ჩაძინება პირველ სიკვდილს განასახიერებს, რომელსაც ჩვენ უბრალოდ სიკვდილსა და გარდაცვალებას ვუწოდებთ (მეორე სიკვდილს წმ.აპოკალიპსი არქმევს ადამიანის ხულის საბოლოოდ დადგინებას ჯოჯოხეთში, საშინელი განკითხვის შემდეგ; ამ სიკვდილისა გეშინოდეთო, — გვაფრთხილებს აპოკალიპსი).

იმისათვის, რომ „ქალწულებს“ მათთან მომავალი „სიძე“ დაენახათ და „სიძეს“ ისინი, ამისათვის ნათქვამია: „აღიხუნეს ლამპარნი“, ხოლო ბრძენთა, გარდა „ლამპარისა“ — „ზეთი“. ლამპარი რითი .ჰნათობს? — ზეთით. ჩვენ, ქრისტიანები, და საერთოდ ადამიანები, რითი განვმართდებით ქრისტეს მოსვლისას? — კეთილი საქმითა და რწმენით. სწორედ ამ ორი რამით გავხდებით ღირსნი დავინახოთ ჩვენთან მომავალი „სიძე“ და სწორედ ეს ორი რამე მოაქცევს ჩვენსკენ უფლის ყურადღებას. ხოლო ვის ეტყვის უფალი ამ მკაცრ სიტყვებს:


„ამას გეტყვ თქვენ, არა გიცნი თქვენ“? — ამას ეტყვის მათ, ვისაც არ ექნებათ ზემოხსენებული ორი სათნოება: რწმენა და კეთილი საქმე. როგორც ლამპარი ნათობს ზეთით, ასევე სული ნათობს, გაბრწყინდება რწმენითა და სიკეთით. იგავში ხმარებული „ლამპარი“ აღმნიშვნელია სულისა, ხოლო „ზეთი“ — სულის სათნოებისა. ერთნი აღმოჩნდებიან „ბრძენნი“ მისთვის, რომ სულს განიბრწყინებენ ამ სულიერი ზეთით და განმზადებულნი შეხვდებიან მაცხოვრის მოსვლას; მეორენი კი სამუდამოდ დაიპყიდრებენ „სულელის“ სახელს, რადგან არ აწვიეს სულს რწმენა და კეთილი საქმე.

უფლის საშინელი მოსვლის წინ „შუადამეს ოდენ დადადება“ იქნება — „ვითარმედ: აპა ესერა, სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა“ — ვინ იქნება „მდაღადებელი“, ან რატომ იქნება „დადადება“ „შუადამისას? ამაზე ნეტარი პავლე გვახსუხობს თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლეში: „...რამეთუ თავად უფლის ბრძანებითა და ჯმითა ანგელოსთა მთავრისათა და საყურითა ღუთისათა გარდმოხდეს ზეცით და მკუდარნი იგი ქრისტეს მიერნი აღსდგენ პირველად“. — მამასადაძემ, „მდაღადებელი“ იქნება თვით მთავარანგელოზი მიქაელი, ვის მიერაც „ღუთის საყვირის“ ბოლო ჩაბერვაზე, რაიც ბოლო ნიშანი იქნება უშუალოდ საშინელი მოსვლის წინ, მოხდება აღდგომა, პირველად ქრისტესმიერთა, შემდეგ — ყველა დანარჩენთა. ამასვე გვასწავლის და გვიდასტურებს წმ. აპოკალიპსიც. „შუადამე“ კი შედარებულია აღდგომის წინა დროსთან, იმიტომ, რომ ამ წინა დროს „შე დახნულდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თუისი და ვარსკულაანი დამოსცვივენ ზეცით, და ძალნი .ცათანი შეიძრნენ“, ხოლო, მეორეს მხრივ, შუადამეს როგორც ცისკარი მოჰყვება, ასე ქვეყნის დასასრულს — ქრისტეს დიდებით მოსვლა და ბრწყინვალე აღდგომა; ანუ როგორც ზეციური მამა მიმართავს დეთაებრივ ძეს, სულიწმიდითა და დავითის პირით — „საშოდ მთიებისა (ე. ი. განთიადის, ცისკრის ვარსკვლავისა) წინა გიშვე შენ“, მამასადაძემ შენ ხარო, ძეა, წყარო სხვათა აღდგომისა (მთიებისა), როგორც პირველად აღმდგარი და სხვათავის ამ აღდგომის მომნიჭებელი, რომელიც არის მარადიული სუფიერის დასაწყისი.

ჩვენი მსჯელობა რომ შევაჯამოთ, დასკვნა ასეთი იქნება: იგავში ათი ქალწულის შესახებ უფალი გვაძლევს სწავლებას თავის მეორედ მოსვლასა და საშინელ სამსჯავროზე და შეგვაგონებს და გვარწმუნებს, რომ მაშინ განმართდება მხოლოდ ის, ვინც სულთან („ლამპართან“) ერთად აღიხუამს სულიერს ზეთს, ანუ რწმენასა და კეთილ საქმეს.

„იღუძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ვამსა უფალი თქუენი მოვიდეს“. ამინ!

მღვდელი **არჩილ მინდიაშვილი**



**წმ. მოციქული და მახარებელი იოანე
ღვთისმეტყველი**

**მოციქულო, ქრისტეს ღვთისაო, საყუარელო,
მწრაფლ გვეწიე და გვიხსენ შეცოდებული ერი;
რამეთუ გვაქუს კანნიერებაჲ მისსა მიმართ,
რომლისა მკერდსა მივერდენ, რომელსაცა ევედრე;
ღვთისმეტყველო, რათა ნისლი ცოდუთა ჩუენთა
განაქარვოს და მოგუანიჭოს ჩუენ დიდი წვალობაჲ.**

წმიდა მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი იყო ძე ზებედესი და სალომესი — წმიდა იოსებ დამწმინდელის ასულისა. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მას უფროს ძმასთან, იაკობ მოციქულთან ერთად, მოუწოდა და თავის თორმეტ მოწაფეთა შორის შერაცხა. იკონოგრაფიაში მოციქული იოანე უმეტესწილად მშვიდ, ღიღბულ და ღრმად სულიერ მოხუცადაა გამოსახული; მის მაღალ შუბლზე სრული სიმშვიდეა აღბეჭდილი, თვალნი კი აღსავსენი არიან გამოუთქმელ გამოცხადებათა მჭკრეტელის გამომეტყველებით. სხვა და უმთავრესი თვისება მოციქულის სულიერი იერსახისა ვლინდება მის ღვთაებრივ მოძღვრებაში სიყვარულის შესახებ: რომელთა ძირითადი აზრი იმ მცნებადმე აიყვანება, რომ ღმერთი, თავისი არსით, არის სიყვარული: „რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, ღმერთი სიყუარული არს...“

(1 იოანე, 4,8).

მახარებელთა მოკლე მინიშნებიდან კარგად ჩანს, რომ იოანეს მეტად ფიცხელი ხასიათი ჰქონდა, რის გამოც ხშირად მისი სულიერი კვეთება იმ ზომამდე თავგამოდებული იყო, რომ თვით იესო ქრისტე მოუწოდებდა შეენელებინა იგი, როგორც შეუთავსებელი ახალი მოძღვრის სულთან (მარკოზი, 9,38 ლუკა, 9, 44-50; 54-56) ამავე დროს, წმიდა იოანე იშვიათი თავმდაბლობის განსახიერება იყო. იგი არ გამოირჩეოდა თავს მაცხოვრის სხვა მოწაფეთაგან. მისი ხასიათის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანთვისებებია დაკვირვებულობა და მოვლენათა არსში წვდომის უნარი, — ღვთის ნებისადმი მორჩილების მძაფრი გრძნობით გამსჭვალული. გარედან მიღებული შთაბეჭდილებანი იშვიათად თუ პოულობდნენ თავიანთ გამოხატულებას მის სიტყვებსა და მოქმედებაში; ყოველთვის მეტად გულისხმიერს სხვებისადმი, გული შესტკიოდა დაღუპვის გზაზე მდგარათათვის. მისი ღრმა რწმენით, სადაც სრული თავდადება არ არის, იქ არც არაფერია. ცოდვა მის მიერ განიხილება, არა როგორც ადამიანური ბუნების უძლეულება და გარდაქცევა, არამედ, როგორც ბოროტება, როგორც უარყოფითი საწყისი, სრულიად საწინააღმდეგო სიკეთისა (იოანე, 8,34. იოანე, 3,4

8,9) მისი თვალსაზრისით მხოლოდ ორია შესაძლებელი — ან ქრისტეს ეკუთვნოდე, ანდა ეშმაკისა იყო დაბადებითვე. სხვა საშუალო, გაურკვეველი მდგომარეობა არ შეიძლება არსებობდეს (1 ინ. 2,22, 4,3).

სწორედ წმიდა იოანე იყო, ვინც თავის მოძღვარს გოლგოთის გზაზე მისდევდა, მთელი არსებით დამწუხრებული. ჯვართან მაცხოვრისა იგი მის ღვდასთან ერთად ტიროდა. როცა იესომ „ვითარცა იხილა ღვდაჲ თუისი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, პრქუა ღვდასა თუისსა: ღვდაკაცო, აჰა ძე შენი!“ და მერმე მოწაფესა მას რქუა: აჰა ღვდაჲ შენი!“ (იოანე 19, 26-27). ამ დროიდან მოყოლებული მოციქული იოანე შვილივით ზრუნავდა ყოვლადწმიდა მარიამზე და ერთხელაც არ მოსცილებია მას. მხოლოდ ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ, იგი თავის წილხვდომილ ეფესოსა და მცირე აზიის სხვა ქალაქებში გაემართა სახარების საქადაგებლად. თან თავისი ერთგული მოწაფე — პროხოტე წაიყვანა. მის ქადაგებებს მრავალრიცხოვანი, ღიღბული სასწაული ახლდა თან. მის მიერ მოქცეულთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

იმპერატორ ნერონის (56-68) დევნილობისას წმიდა მოციქული იოანე შეიპყრეს და განსასჯელად რომს წაიყვანეს. იესო ქრისტეს რწმენისა და მისი მოძღვრების ქადაგებისათვის მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ უფალმა დაიფარა თავისი რჩეული და საყვარელი მოწაფე: მოციქულმა იოანემ მორჩილად დალია მტარვალის მიერ მოწოდებული სასიკვდილო საწამლაკი და ცოცხალი დარჩა; ცეცხლზე შემდგარი მღუღარე ქვაბიდანაც უვნებლად ამოვიდა. ბოლოს წმიდა მოციქული კუნძულ პატმოსზე გადაასახლეს, სადაც მან მრავალი წარმართი განანათლა.

კუნძულ პატმოსზე დაწერა იოანე მოციქულმა, დაახლოებით 67-ე წელს, **გამოცხადების** წიგნი (აპოკალიპსი). ამ წიგნში დამარხულია კაცობრიობის მოძავლის, ეკლესიის ბედისა და ქვეყნის დასასრულის საიდუმლო.

პატმოსზე გადასახლების შემდეგ მოციქული იოანე ქალაქ ეფესოსში დაბრუნდა. დაახლოებით 95 წელს დაწერა თავისი სახარება. იგი მოუწოდებდა ყველა მორწმუნეს

უფლისა და ერთმანეთის სიყვარულისაკენ. უსიყვარულოდ ადამიანს არ ძალუძს მიუახლოვდეს ღმერთს. სიყვარულზევე ლაპარაკობს იგი თავის სამ კათოლიკე ეპისტოლეში; მათში განსაზღვრულია ის მნიშვნელობა, რომელიც ღმერთსა და მოყვასისადმი სიყვარულს ენიჭება ადამიანის სულის ხსნის საქმეში.

წმიდა მოციქული იოანე გარდაიცვალა ეფესოში, დაახლოებით 110 წლისა. მისი ხსენების დღეს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს 8 (21) მაისს (დაბადებას) და 26 სექტემბერს (9 ოქტომბერი)-(გარდაცვალებას).

8 მაისს მოიხსენიება მის საფლავზე უნაზესი ვარდის მტვერის ყოველწლიურად გამოჩენა, რომელსაც მორწმუნენი აპკრეფდნენ და ღებულობდნენ კურნებას.

როცა დადგა ჟამი მოციქულ იოანეს, განსვლისა ამა ქვეყნიდან, იგი თავის შვიდ მოწაფესთან ერთად გაშორდა ეფესოს და მიმართა მათ, განემზადებინათ მისთვის ჯვრისებრი საფლავი. წმიდა მოციქული თვითონ ჩაწვა საფლავში და უბრძანა მისთვის დაეყარათ მიწა. მოწაფენი მწუხარებით ეამბორნენ საყვარელ მოძღვარს, ურჩობა ვერ გაბედეს და ადასრულეს მისი ნება: საფარველით დაუფარეს სახე და საფლავი მიწით ამოავსეს.

უფალმა იესო ქრისტემ თავის საყვარელ მოწაფეს და მის ძმას იაკობს მიანიჭა სახელწოდება „ძენი ქუხილისანი“ (ბანერგოს) — მაუწყებლად და მატარებლად გახდა ისინი ზეციური ცეცხლისა, საშინელისა თავისი განმშემდეგი ძალით. იკონოგრაფიულ სიმბოლოს წმიდა მახარებლისა წარმოადგენს არწივი — ეს მაღალი სახე საღვთისმეტყველო აზრის აღმაფრენისა. ღვთისმეტყველის სახელწოდება წმიდა ეკლესიამ მოწაფეთაგან მხოლოდ ამ ერთს მიანიჭა.

დეკანოზი **ამირან შენგელია**

დიდებულებანი შენნი, ქალწულო, ვინმე მოუთხრნეს, რამეთუ აღმოადინებ საკვირველებათა, და აღმოაცნებ კურნებათა, და მეოხ ხარ სულთა ჩუენთათჳს, ვითარცა ღვთისმეტყველი და მეგობარი ქრისტესი.

წირვა თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში



თბილისში წმიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარი მდებარეობს ვერის უბანში. იგი აგებულია 1901 წელს. ტაძარში არის ორი ტრაპეზი: წმიდა იოანე ღვთისმეტყველისა და ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა — „მოულოდნელი სიხარული“.

ტაძრის სიწმიდა მაცხოვრის საფლავის ქვის ნატეხი იერუსალიმიდან, რომელიც საკურთხეველშია.

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანე



ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული სიონში





ჯვარზე მოხვევა



წმიდა ხიარება



ახალციხე. წირვა წმ. მარინეს ეკლესიაში

სტუდენტური ცენტრები



ჯილდოები, კურთხევანი.

XXX.

ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში სტუდენტების ჯამს უწმიდესმა ილია II ამ ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი კონსტანტინე დააჯილდოვა წმიდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით.

მან ბრძანა: „მეუფე კონსტანტინე ერთერთი ყველაზე დამსახურებული მღვდელმთავარი გახლავთ საქართველოს ეკლესიისა. ის ბევრს შრომობს. მე მასში ვაფასებ დიდ რწმენას, აგრეთვე, სიყვარულს. საოცრად ღმობიერი და კეთილია იგი. ეს ორი ძალა მუდამ

დამამშვიდებლად ეფინება მის გარშემო მყოფთ. როდესაც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა აქ მიტროპოლიტად განვაწესეთ, ჩვენ გვეკუროდა, რომ მისი გულმხურვალე ლოცვა და ღვაწლი სასიკეთოდ მოეფინებოდა ამ კუთხესაც. დღეს ვხედავთ, რომ იღვიძებს აჭარა. უფრო მეტად, უფრო სათუთად მოვეუშათ ჩვენს გულებთან ჩვენი მრავალნაბაჯი ძმები და ვუნწვენთ მათ თბილი, სიყვარულით სავსე გული. ამ რწმენით იღვწის მეუფე კონსტანტინეც“.

XXX

19 მაისს (1.6) სულის შაბათს, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად აკურთხა: ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმთავრად დავით სალაძე. დიაკონი დავითი მცხეთის სასულიერო სემინარიის 1984 სასწავლო წლის კურსდამთავრებულია; 20 მაისს (2.6), სულთმოფენობის დღეს – ნოდარ შილაშვილი. ახალ ნაკურთხ დიაკონს სახელად ეწოდა დავითი. დიაკონმა დავითმა 1982 წელს დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია; ამჟამად იგი მოსკოვის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტია.

ამავე დღეს, მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II სიონის ტაძრის დეკანოზები ზურაბ სირაძე და რევაზ ტომარაძე დააჯილდოვა მიტრის ტარების უფლებით.

XXX

15 (28) აგვისტოს, მარიამობა დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში, დიაკონი დავით დათუაშვილი აიყვანა მღვდლის ხარისხში. მღვდელ დავითს აქვს უმაღლესი საერო განათლე-

ბა. ამჟამად იგი მცხეთის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტია.

XXX

2 (15) სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, დიაკვნად კურთხა მცხეთის სასულიერო სემინარიის 1985 წლის კურსდამთავრებული იუზა კობახიძე, ეწოდა მას სახელად იონანე და დადგენილ იქნა სვეტიცხოვლის ტაძრის ღვთისმსახურად.

XXX

30 სექტემბერს (13. 10) სიონის საპატრიარქო ტაძარში, ამავე ტაძრის დიაკონი გიორგი ვორგინძე კურთხა მღვდლად. მღვდელი გიორგი მცხეთის სასულიერო სემინარიის 1985 წლის კურსდამთავრებულია.

XXX

1 (14) ოქტომბერს, სვეტიცხოვლობა დღეს, სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტაძარში, დიაკვნის ხარისხში კურთხა დიდუბის ღვთის-


მშობლის სახელობის ეკლესიის მღვდელმთავრად მალხაზ კუჭელაშვილი. ახლად ნაკურთხი დიაკონი მცხეთის სასულიერო სემინარიის 1984 სასწავლო წლის კურსდამთავრებულია.

XXX

7 (20) ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში, დიაკვნად კურთხა მცხეთის სასულიერო სემინარიის მე-3 კურსის სტუდენტი ავთანდილ ბურდული.

XXX

10 (23) ნოემბერს, გიორგობა დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, ამავე ტაძრის დიაკონი დავით სალაძე აიყვანა მღვდლის ხარისხში.



მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლოცვა-კურთხევით 25, 26, 27 ივნისს (8, 9 და 10. 6) მცხეთის სასულიერო სემინარიის შენობაში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურთა სამღვდლიანი სემინარი, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა წარმომადგენლები — მღვდლები, დიაკვნები და წიგნის მკითხველნი. სემინარი მიზნად ისახავდა სამღვდლო პირთა თეორიული მომზადების ღონის ამაღლებას. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, ლექციების წასაკითხად სასულიერო სემინარიის პედაგოგ-მასწავლებლებთან ერთად მოწვეულნი იყვნენ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები.

სემინარი გახსნა და ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. მისმა უწმიდესობამ ბრძანა, რომ მსგავსი ღონისძიებების ჩატარების სურვილი კარგა ხანია მომწიფდა ქართულ ეკლესიაში. დალოცა სემინარი, მისი ორგანიზატორები და წარმატება უსურვა მუშაობაში.

პირველი ლექცია თემაზე: „ეკლესია და თანამედროვეობა“, წაიკითხა მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. იგი ვრცლად შეეხო ქრისტიანული ეკლესიის ადგილს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. საგანგებოდ იქნა აღნიშნული ეკლესიის როლი საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

მეორე ლექცია: „საეკლესიო ტიპიკონი და ღვთისმსახურება“, წაიკითხა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა წილენლ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ. მომხსენებელი შეეხო ქართული საეკლესიო ტიპიკონის განვითარებასა და ღვთისმსახურებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს. სემინარიის მონაწილეებმა დასვეს კითხვები, რომლებიც იქნა ახსნილი და განმარტებული.

შესაძებ საათი დაეთმო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს, საერთაშორისო მიმომხილველს, დოცენტ ამირან ავალიანს. მან ისაუბრა თემაზე: „საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი მშვიდობის საქმის განმტკიცებისა და ბირთვული ომის თავიდან აცილების საქმეში“.

დღის მეორე ნახევარში სემინარიის მონაწილენი ეწვივნენ დიდი ქართველი მწერლის — ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს საგურამოში.

გზად წიწამურში, ილიას ობელისკთან წუთიერი ღუმილით პატივი სცეს მის ნათელ ხსოვნას.

სადამოს, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, სემინარიის მონაწილენი დაესწრნენ საშვილობო პარაკლის სინონის საპატრიარქო ტაძარში.

26 ივნისს (9.7) წაკითხულ იქნა ლექციები საეკლესიო სამართლის (ლექტორი ილია ჭეიშვილი), ქრისტიანული ეთიკისა (ლექტორი — არქიმანდრიტი რაფაელი) და საქართველოს ეკონომიკის (ლექტორი — დოცენტი ილია ბაქრაძე) საკითხების ირგვლივ.

შესვენების შემდეგ სემინარიის მონაწილეებმა მოილოცეს შიომღვიმისა და ჯვრის მონასტრები.

28 ივნისს (10. 7) მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, ეპისკოპოსმა ზოსიმემ ისაუბრა თემაზე: „ღვთის სიტყვის განმარტება და ქადაგება ეკლესიაში“.

პროფესორმა ვალერი ლორიამ და მიხეილ კეკელიამ წაკითხეს ლექციები, რომელიც ეხებოდა „სინდისის თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპებსა და ცხოვრებაში მათი გატარების მოთხოვნებს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მიხედვით“.

დღის მეორე ნახევარში შედგა შემაჯამებელი სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში ანზორ წიკლაური. სემინარიის ლექტორმა, წილენლ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ მოკლედ შეაჯამა სემინარიის მუშაობა და გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი მთლიანად შესრულდა.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში, ანზორ წიკლაური. მან ისაუბრა რელიგიური კულტების დარგში არსებული კანონმდებლობის საკითხებზე, დაღებით შეფასება მისცა ეკლესიის მსახურთა სემინარს და გამოთქვა მომავალში მსგავსი მეცადინეობების კვლავ მოწყობის სურვილი.

საბოლოო, შემაჯამებელი სიტყვა წარმოსთქვა მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

გამოითქვა საერთო სურვილი, იმის შესახებ, რომ მსგავსი შეკრებები კვლავაც მოეწიოს.

არქიმანდრიტი **რაფაელი**.



სემინარიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი შიომღვიმის მონასტერში

საეკლესიო ცხოვრების ფოტომატიანი



სიონი. ერის პარაკლისი



სიონი.
დიდი პარასკევი. გარდამოსნის წინ



ქუთაისის პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარი.
წირვის შემდეგ

სიონი, დიდი პარასკევი. გარდამოსნის გამოსვენება ტაძარში





ს ტ უ მ რ ე მ ბ ი ს ა ხ ლ ვ ა რ გ ა რ ე თ ი დ ა ნ

ამა წლის 2-5 (15-18) აპრილს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ლენინგრადის სასულიერო აკადემიის უცხოელ სტუდენტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიის პედაგოგი ბერი ინოკენტი (პავლოვი).

სტუმრები გაეცნენ ქართული ეკლესიის ცხოვრებას, მონახულეს თბილისისა და მცხეთის ეკლესია-მონასტრები, დაათვალიერეს საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმების საგანძურები.

28 მაისს (10.6) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო სინდესმოსის* გენერალური მდივანი მარკ სტოკი, რომელსაც ახლდნენ მისი თანაშემწენი: ჯონათან პროქტორი და სინდესმოსის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ვიკო პურშონენი. მისმა უწმიდესობამ ილია II გულთბილად ისაუბრა სინდესმოსზე, როგორც შხარდ და საკირო ორგანიზაციაზე.

სინდესმოსის გენერალურმა მდივანმა მარკ სტოკმა მის უწმიდესობას მოუთხრო თავიანთ მიმდინარე საქმიანობაზე, გააცნო ორგანიზაციის მომავალი გეგმები. ესაუბრა ახალგაზრდა მართლმადიდებელთა მომავალი საერთაშორისო ფესტივალის შესახებ და მიიწვია ქართული ეკლესია მასში მონაწილეობის მისაღებად.

სტუმრებმა უწმიდეს ილია II მიმართეს წინადადებით, რათა საქართველოს ეკლესია გახდეს სინდესმოსის წევრი.

14/27/სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო მასაჩუსეტსის შტატის /აშშ/ ქრისტიანთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პასტორი დონალდ სმიტი. ჯგუფის ყველა

* თანამედროვე რელიგიური ახალგაზრდობის მკვლევარ ბრძოლის ორგანიზაცია ფინეთში.

წევრი აქტიურადა ჩაბმული შვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში. საუბრისას გამოითქვა აზრი, რომ ჩვენს ქვეყნებსა და ეკლესიებს შორის არსებული მძერი კონტაქტები კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს, რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო შვიდობის შენარჩუნებისათვის.

19(2.10) სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო ჰამბურგის (გფრ) კათოლიკური აკადემიის წევრთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პასტორი ვილმ სანდერსი.

2 (15) ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო საქართველოში სტუმრად მყოფი ქ. ატლანტის (აშშ) მერი ბატონი ენდრიუ იანგი, რომელსაც თან ახლდნენ: მუულლე — ქალბატონი მერი იანგი, თანაშემწე — ბატონი დუარტი და ატლანტის ტელევიზიის კორესპონდენტი ჯონ ჩირკი.

მისი უწმიდესობა სტუმრებს ესაუბრა საქართველოს ეკლესიის წარსულსა და მის დღევანდელ მდგომარეობაზე.

ილია II აღნიშნა, რომ ჩვენს ეკლესიას თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიოს აქტუალური საკითხების განხილვასა და განსჯაში.

3 (16) ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო ჟურნალ „პორიზონტის“ (გღრ) კორესპონდენტი ბატონი პერპარდ ზახვარკა.

გულთბილი მისაღების შემდეგ მისმა უწმიდესობამ უცხოელ სტუმარს წარუდგინა შეხვედრაზე დამსწრე ქართული ეკლესიის წევრები: ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, საქართველოს ეკლესიის სავარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა, ამავე განყოფილების თარჯიმანი დარეჯან ცხადაძე და საპატ-

რიარქოს რეფერენტი ვლადიმერ საბიაშვილი. დიალოგი, რომელიც მის უწმიდესობასა და ბატონ პერპარტ ზახვარკას შორის გაიმართა, დაახლოებით ასეთი იყო:

ბატონი პ. ზახვარკა — მე ვწერ სტატიებს სხვადასხვა ეკლესიების შესახებ. მსურს დაწერო სტატია საქართველოს ეკლესიაზეც. ამიტომ, ნება მიბოძეთ, დავისვათ შემდეგი კითხვა: რა როლს ასრულებდა და ასრულებს ქართული ეკლესია ოქცენი ერის ცხოვრებაში?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — მინდა დავიწყო იმით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესია მსოფლიოში, ხოლო საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყანათა მცირე რიცხვს, რომლებშიც მოციქულებს უქადაგაოთ, კერძოდ, ჩვენთან ქრისტიანობა იქადაგა I საუკუნეში, მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა. საქართველოს გაქრისტიანების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა წმ. ნინომ, რომლის დროსაც 326 წელს ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ქვეყნის პირველი ქრისტიანი მმართველები იყვნენ მეფე მირიანი და დედოფალი ნანა.

ქართული ეკლესია თავდაპირველად ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო 466-468 წლებში მან მიიღო ავტოკეფალია, რომლითაც იგი ამჟამადაც სარგებლობს. უყოფილური საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ჩვენი ეკლესია თავიდანვე სახელმწიფოს გვერდით დადგა, რითაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს გაერთიანება-გამატიერების საქმეს. მთელი ჩვენი კულტურა /არქიტექტურა, ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა და სხვა/ განვითარდა და გაღრმავდა ქრისტიანობის ნიადაგზე. ქრისტიანულმა ეკლესიამ ჩვენს ერს მისცა ისეთი გამომწინილი მოდგაწენი, როგორებიც იყვნენ: პეტრე იბერი, გრიგოლ ხანძთელი, ეფრემ მცირე, ქვეთიმე და გიორგი მთაწმიდელები, იოანე პეტრიწი, არსენ ივალთოელი და მრავალი სხვანი. შეიქ-

მნა ქართული ფილოსოფიური სკოლა და საღვთისმეტყველო აკადემიები; საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული (იერუსალიმი, სინა, ათონი, შაი მთა და სხვა) — ასობით მონასტრები ზრდინდნენ ქართული კულტურის თავდაცვლად მსახურთ. ამ კულტურულ კერებს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ჰქონდა მნიშვნელობა.

საქართველოს ირგვლივ არსებულმა მამადიანურმა გარემოცვამ, მუდმივმა თავდასხმებმა და ომებმა თავისი დადი დასავა ჩვენს ისტორიას. ასეთ რთულ პირობებში ქართული ეკლესია მუდამ გვერდში ედგა თავის ერს და მის სულიერ ძალად გველენებოდა.

დღევანდელ პერიოდში ჩვენი ეკლესია საპატრიო მოვალეობას ასრულებს. იგი ემსახურება ერის სულიერ და მორალურ ამაღლებას. დიდ საქმეს აკეთებს ქართული ეკლესია შვიდობის დაცვის საქმეშიც. ის არის წვერი ისეთი საქართველოს რელიგიური სამშვიდობო ორგანიზაციებისა, როგორებიცაა: ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენცია და ევროპის ეკლესიათა კონფერენცია. გარდა ამისა, ჩვენ ვმონაწილეობთ შვიდობის დაცვის საქმეში და რესპუბლიკურ კომიტეტებში. ხშირად ვხვდებით საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს, სადაც განვიხილავთ იმ აქტუალურ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც ყველა კეთილი ნების ადამიანის ვალია.

2 (15) ნომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო იტალიის ჟურნალისტთა ორდენის ეროვნული საბჭოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ჟონს-ის პრეზიდენტი, გაზეთ „ჯორნალე ნუოვოს“ რედაქტორი ბატონი გვიდო გვიდო, ჟონს-ის ვიცე პრეზიდენტი ჯანი კამპი, იტალიის სახტელერადის კორესპონდენტი ჯუსეპე მორელი, გაზეთ „პაიზა სერას“ პოლიტიკური მიმომხილველი კარლო ბენდელი, ჟონს-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ევროპელ ჟურნალისტთა ასოციაციის იტალიური სექციის გენერალური მდივანი ბრუნო ოლინი, ჟონსის ხელმძღვანელების წევრი, პუბლიცისტი ანტონიო გარბარინი, ჟონს-ის იურიდიული კომისიის პრეზიდენტი, გაზეთ „მასაჯეროს“ კორესპონდენტი გენუაში უ გო პალმიზანო, გაზეთ „მასაჯეროს“ კორესპონდენტი მოსკოვში გვიდო კოლომბა. დელეგაციას თან ახლდნენ: სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე რ. მოსივევი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუ-

ბატონი პ. ზაზვარკა — საზღვარგარეთის რომელ ქვეყნებთან გაქვთ კავშირი?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — პირველყოვლისა, მართლმადიდებელ ქვეყნებთან. მით გარდა — ვატიკანთან, შვეიცარიის, კანადისა და აშშ-ის ეკლესიებთან.

ბატონი პ. ზაზვარკა — ესპანეთის ეკლესიასთან?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ნაკლებად. ჩვენი ურთიერთობა ესპანეთთან ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებშია უფრო ინტენსიური.

ბატონი პ. ზაზვარკა — რამდენი მორწმუნე გყავთ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — საქართველოს მთლიანად საქართველოში 5 მილიონამდე. ჩვენი ერთი მხრივად მართლმადიდებელია. თუმცა გვხვდებიან კათოლიკეებიც და მუსლიმანებიც. ზუსტი ციფრის დასახელება არ შემიძლია. საბჭოთა კავშირში არ არსებობს ასეთი სტატისტიკა.

ბატონი პ. ზაზვარკა — გახსნილია თუ არა ეკლესიები საქართველოს მთიან რაიონებში?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ, ჩვენთან ეკლესიები გახსნილია, როგორც ბარში, ისევე მთაში.

ბატონი პ. ზაზვარკა — რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ზედა სართულზე მდებარე მსახურებს ასრულებენ ქართულ ენაზე, ხილო ქვედა სართულზე —

სლავერ ენაზე. გთხოვთ ამიხსნათ, ეს ეკლესია ქართულია თუ რუსული?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესია ქართულია და საქართველოში, რაც საქართველოში ეკლესიებია, ყველა ჩვენი საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფება, მაგრამ ზოგიერთ ეკლესიებში, სადაც რუსებიც დადიან, სრულდება შერეული წირვა-ლოცვა. ე.ი. ქართულ და ძველ სლავერ ენებზე მიმდინარეობს წირვა-ლოცვა.

ბატონი პ. ზაზვარკა — არის თუ არა თბილისში კათოლიკური ეკლესია?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ, არის.

ბატონი პ. ზაზვარკა — აქვს თუ არა საქართველოს ეკლესიას სასულიერო სასწავლებელი?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ. ქ. მცხეთაში ფუნქციონირებს სასულიერო სემინარია. სწავლის ვიღა სამი წელია. წარჩინებულ სტუდენტებს ვაგზავნი რუსეთში, ან უცხოეთის რომელიმე უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში. ახლო მომავალში ვფიქრობთ სასულიერო აკადემიის გახსნას.

ბატონი პ. ზაზვარკა — დიდ მადლობას მოვახსენებთ გულთბილი და სიკეთით სავსე მიღებისათვის, აგრეთვე, საინტერესო და შინაარსიანი საუბრისათვის, რომელსაც მე აუცილებლად გამოვაქვეყნებ.

ნისტი რედაქტორი გ. ბენდინიშვილი და თარჯიმანი ვ. კუზმენკო.

საქართველოს ეკლესიის მხრიდან მიღებას ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, დეკანოზი ზურაბ სირაძე და კათოლიკოს-პატრიარქის რევერენტი, საინფორმაციო ბიულეტენის რედაქტორი გლადიმერ საბიაშვილი. მიღებას ესწრებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ წიკლაური.

გულთბილი მისალმების შემდეგ მისმა უწმიდესობამ თქვა: „მოხარული ვარ, რომ თქვენ ჩამობრძანდით საქართველოში და საშუალება გაქვთ გაეცნოთ ჩვენი ქვეყნისა და მისი ეკლესიის ცხოვრებას. სანამ საქართველოს ეკლესიის შენახვა მოვაწვდიდეთ ცნობებს, მინდა შევეხო იტალია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას. რომელთა და ქართველთა ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, და შემდგომ დაბადებიდან აქო-

მამდე. ამაზე მეტყველებს, როგორც არქეოლოგიური ძეგლები, ისე შემორჩენილი წერილობითი წყაროები, რომლებიც სხვათა შორის, საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება, როგორც ჩვენს წიგნსაცავებში, ისე რომისა და ვატიკანის არქივებში...“

შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მოკლედ გააცნო სტუმრებს საქართველოს ეკლესიის ისტორია, ისაუბრა მის დღევანდელ მდგომარეობაზე. ბოლოს თქვა:

„კიდევ ერთხელ გამოვთქვამ კმაყოფილებას თქვენი საქართველოში ჩამობრძანების გამო. პრესას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შვიდობისა და სახელმწიფოების შორის მეგობრული კავშირ-ურთიერთობის დამყარების საქმეში. გისურვებთ წარმატებებს თქვენს მსვლე, მაგრამ საპასუხისმგებლო მოღვაწეობაში.“

შემდეგ მისმა უწმიდესობამ უპასუხა სტუმართა მიერ დასმულ კითხვებს, რომელთაც მირითადად აინტერესებდათ ეკუმენური საკითხები.





სამეგრელოს დედოფალი კატერინე ჭავჭავაძე და-
ლიანისა

წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და
სრულიად კალესტინის კატრიარქის,
კირილუს წერილები ეკატერინე
ჭავჭავაძისადმი¹

მსოფლიო ქრისტიანული სამყაროსათვის პალესტინა და ქალაქი იერუსალიმი ოდიტგანვე წარმოადგენდა წმიდათაწმიდას. იგი ქრისტიანობის აკვანი იყო და ამიტომ, ამ დღის მიერ კურთხეულ მხარეში მოღვაწეობა ამა თუ იმ ერის წარმომადგენელათათვის ზეციით მონიჭებული წვალობას წარმოადგენდა.

ქართველ ერს შესანიშნავად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა მისი სულიერი ცხოვრებისათვის ქალაქი, სადაც მაცხოვრის წმიდა საფლავისა და სხვა სიწმიდეებისათვის მიეჩინა ადგილი უზენაეს შემოქმედს. ამიტომაც იერუსალიმის სიწმიდეებს „საქართველოში ქრისტიანობის გაურცელების დროიდან“² საუკუნეების მანძილზე არ მოკლებია ქართველთა მხრიდან ზრუნვა და ყურადღება — როგორც სულიერი, ისე მატერიალური.

ქართველ საეკლესიო თუ საერო პირებს სულიერი საქმიანობა აერთიანებდათ სხვა ქრისტიანული ქვეყნებიდან რელიგიური სიწმიდეების მოხილვად თუ პალესტინის (იერუსალიმის) ეკლესია-მონასტრებში³ სამოღვაწეოდ წამოსულ ადამიანებთან.

ასეთი კავშირ-ურთიერთობანი XIX საუკუნეშიაც გრძელდებოდა⁴. ამაზე მეტყველებს ეს ორი წერილი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველსაზოგადოებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ წარმოდგენილი მასალა მცირეა მრავალთაგან, რომელნიც ელიან სამსჯავროზე გამოტანას და რომელთა შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია ქართული ეკლესიის ისტორიისათვის.

¹ ეკატერინე ჭავჭავაძე (1816-1882), დიდი ქართველი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის (1787-1846) ასული, სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის მეუღლე.

² დაწვრ. ამის შესახებ იხ. ტომოთე გაბაშვილი, „მიმოსვლა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო აკად. ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956 წ.

³ ქართველთა მიერ აგებულ ეკლესია-მონასტრებზე იხ. ტომოთე გაბაშვილის და სხვა ქართველ მოგზაურთა ნაწერები.

⁴ ამ ბოლო ხანს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ისევ იბრუნებს იმ ძველ სახელსა და პატივს, რასაც მას მიაგებდნენ მრავალი საუკუნის მანძილზე იერუსალიმის, ანტიოქიის, საბერძნეთის, ალექსანდრიისა და სხვა ეკლესიები.

„წავიდა ესეცა წარსულის დროის საქართველოს მშვენება, დედოფლად დაბადებული. ვინცა შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა... ბნელდება საქართველო“.

ბრ. ორაგულიანი.

თქვენი უგანათლებლესობაჲ,
დედოფალი ეკატერინე ალექსანდრის
ასული!



თქვენი უგანათლებლესობის მიერ ჩვენი უმორჩილესობისათვის გამოგზავნილი წერილი, დაწერილი გასული წლის 12 მაისს, წავიკითხეთ ღრმა სულიერი ტკივილით. მან დიდი მწუხარება მოგვიტანა და ცხარე ცრემლი მოგვგვარა, რამეთუ მისგან შევიტყვეთ თქვენი უსაყვარლესი მეუღლის, მისი უგანათლებლესობის, ნეტარხსენებულ დავით ლევანის ძის⁵ გარდაცვალება. თქვენს მიერ მოწერილმა, ვაებით აღვსილმა სიტყვებმა გვამცნო ის უნუგეშო მწუხარება, რაც განგაცდევინათ აუნახლაურებელმა დანაკლისმა — ამ ქვეყნიდან თქვენი მეუღლის წასვლამ. ეჭვი არაა, რომ განსვენებულის სიცოცხლე ძალზე აუცილებელი იყო თქვენთვის და თქვენი ობლებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ, თუ რამდენ უბოვარსა და ბეჩავ სულს მოაკლდა მისი მამობრივი კეთილსმყოფელობა და მფარველობა. მაგრამ რამდენადაც ყოვლისშემძლე შემოქმედმა ისურვა მისი განრიდება ამქვეყნიური ამოებებიდან კეთილსა და ნეტარ ცხოვრებაში, დროებითიდან მარადიულში, იმდენად თქვენმა უგანათლებლესობამ უნდა ინუგეშოს თავი, გაამხნევოს თავისი ობოლი ჭაბუკები მით, რომ თუმცა მამა მათი არ იმყოფება მისთვის ძვირფას ოჯახურ წრეში, იგი ღმერთთანაა და ნეტართა შორის.

მაგრამ განსვენებული მთლად არ განშორებია ამქვეყნიურობას, არამედ ცოცხალთა შორის დარჩა იმით, რომ მისმა ფრიად სანაქებო საქმეებმა, მიმართულმა საერთო კეთილდღეობისაკენ, მხურვალე გულმოდგინებამ, მფარველობამ და ხრუნვამ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, მისმა შესანიშნავმა თვისებებმა, კაცთმოყვარეობამ, გულმოწყალებამ, თვინიერებამ და, რაც მთავარია, სიყვარულმა თავისი კეთილშობილი და დიდებული სახლულისადმი — ყველა ამ თვისებამ, აქცია დაუვიწყარად და უკვდავად სახელი მისი უდიდებულესობისა.

მით უფრო ხელეწიფება თქვენს უგანათლებლესობას თავი ინუგეშოს ღრმა რწმენით, რომ განსვენებული შეს-

თხოვს უხენაეს მსაჯულს, მისი ტახტის წინაშე მდგომი, რათა მან მრავალჟამიერ სიცოცხლე და ღვთაებობა არ მოგაკლოთ თქვენ-გარდაცვლილის უპატივცემულეს მეუღლეს და საყვარელ შვილებს თქვენსას, რომლებიც ნეტარხსენებულმა დავით ლევანის ძემ დატოვა თქვენი დედობრივი მზრუნველობისა და ყურადღების ქვეშე. დედის სიცოცხლე და ჯანმრთელობა განსაკუთრებით ახლა არის აუცილებელი მათთვის. ჩვენ გვახსოვს ის კეთილსმყოფელობა, რასაც იჩენდნენ თვით განსვენებული და მისი კეთილსახსოვარი წინაპრები⁶ მაცხოვრის წმიდა საფლავისადმი. განსაკუთრებული მადლიერებით მივიდეთ უგანასკნელი მდიდარი შემოწირულობა, გადმოცემული ჩვენთვის გარდაცვლილის ანდერძის მიხედვით. თქვენი მწუხარებით აღსავსე წერილის წაკითხვისთანავე აღვასრულეთ ის, რაც უპირველესი და უწმიდესი ვალი იყო ჩვენი. მთელმა იერუსალიმის სამღვდელეობამ პატრიარქის მითითებით პანაშვიდი გადაიხადა მაცხოვრის წმიდა საფლავისა და საშინელი გოლგოთის წინაშე ნეტარი სულის მოსახსენებლად განსვენებული-სა. მისი დაუვიწყარი სახელი შეტანილია საკურთხეველში, მის ნეტარხსენებულ წინაპრებსა და სხვა შემომწირველთა შორის.

განსაკუთრებით მოვიხსენიებთ განსვენებულს წმიდა ამბიონზე ყოველი ჩვენი მსახურებისას.

ამასთან, უწმიდეს ვალად მიგვაჩნია ვაცნობოთ თქვენს უგანათლებლესობას, რომ თქვენს წერილთან ერთად გამოგზავნილი 6.700 მანეთი ვერცხლით, გულუხვად შემოწირული განსვენებულის მიერ, მივიდეთ და გადავცეთ კუთვნილებისდა მიხედვით, ვისთვის სად და რამდენი იყო განსაზღვრული, მიმდებთა ხელწერილის ქვეშე: პატრიარქებს — კონსტანტინეპოლისას, ალექსანდრიისას

⁵ დავით დადიანი, სამეგრელოს მთავარი (1816-1853), ლევან V დადიანის ძე.

⁶ 1643 წელს ლევან II დადიანმა ადგიანი და მოახატინა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ამასთან მასვე შესწირა სოფ. კაცხერი ასი კომლითურთ (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სამხრეთის კედლის წარწერა). ეს არის მეტად მცირელი იმ დიდი ღვაწლისა, რასაც სრულიად საქართველოს მეფეები, ქართულ სამთავროთა მმართველები და ქართველი საეკლესიო მოღვაწეები ისტორიულად იჩენდნენ იერუსალიმის სიწმიდეთა დაცვა-განახლება-აღდგენის საქმეში.

და ანტიოქიისას. მონასტრებს წმიდა ათონის მთისას და კიკის მონასტრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარს.

უფროის ამისა, მივიღეთ ჩვენ კილობანი ნეტარხსენებული ეპისკოპოსის, ანტონ მინგრელსკის⁷ მიერ შემოწერილი ვერცხლის ნივთებით. მისი დაუფიწყარი სახელი ასევე შესულია მარადიული ცხოვრების წიგნში.

მარადსახსოვარმა განსვენებულმა მეუღლემ თქვენმა მიიღო ხოტბა-დიდება და მაღლიერი ლოცვა-კურთხევა მთელი ბერძნული სამღვდლოებისა, რაიც არ მოაკლდება არც ბრწყინვალე სახლეულს მისას და არც მის შთამომავლობას.

ჩვენ დიდი სიამოვნებითა და სიხარულით წავიკითხეთ თქვენი უგანათლებულებობის წერილში სტრიქონები, სადაც თქვენ საქებარი სიტყვებით გამოხატეთ დამოკიდებულება ჩვენი ქრისტესმიერი ძმის, არქიმანდრიტ კესარიოსის საქმიანობაზე. სულითა და გულით გვსურდა კიდევ რამდენიმე ხნით დაგვეტოვებინა იგი ამიერკავკასიის მხარეში, მაცხოვრის წმიდა საფლავისათვის შემოწირული მამულების მმართველად. მაგრამ რამდენადაც მისი მაღალყოვლადუსამღვდლოესობა ნამდვილად ავად არის, რაც მას ძლიერ აწუხებს და რის გამოც დაბეჯითებით გვთხოვს სავანეში დაბრუნებას მოსასვენებლად, ჩვენ ყურად ვიღეთ მისი თხოვნა. გაავითვალისწინეთ ასევე არქიმანდრიტ კესარიოსის გულმოდგინე და უმწიკლო

სამსახური მაცხოვრის წმიდა საფლავის წინაშე, მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა ამიერკავკასიის მხარეში. ასე რომ, დავაკმაყოფილეთ ყოვლადუსამღვდლოეს კესარიოსის თხოვნა და დავრთეთ მას ჩვენთან დაბრუნების ნება. მის ნაცვლად დავნიშნეთ მისი მაღალყოვლადუსამღვდლოესობა, იერუსალიმის მონასტრის არქიმანდრიტი პროკოფიოსი, — ადამიანი ღირსეული, განსწავლული, პატივისცემის ღირსი და სასულიერო საქმეში გამოცდილი, რომლის პიროვნებას ვშუამდგომლობთ თქვენი უგანათლებულებობის წინაშე. უმორჩილესად გვედრებით თქვენ, კეთილისმყოფელ დედოფალ, მიიღოთ იგი თქვენი მფარველობის ქვეშე, აღმოუჩინოთ მას შეძლებისდაგვარი დახმარება და თანადგომა მმართველობით საქმიანობაში, სასარგებლოდ და ხელსაყრელად წმიდისა საფლავისა მაცხოვრისა ჩვენისა, რომლის წინაშეც მრავალი მლოცველი სული, სამღვდლოთა სახით, შესთხოვს უზენაესს ზეციურ მაღლს თქვენი უგანათლებულებობისათვის, თქვენი მეძვედრის ნიკოლოზ დავითის ძისათვის და მთელი თქვენი სახლეულისათვის.

თქვენი უგანათლებულებობისათვის ქრისტესადმი გულმზურვალე მლოცველი და მამა

კირილე

იერუსალიმის კატრიარქი.

**თ ქ ვ ე ნ ე უ გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა ვ, ე კ ა ტ ი რ ი ნ ე
ა ლ მ ქ ს ა ნ დ რ ე ს ა ს უ ლ ი!**

ცხოველმყოფელი გრძნობითა და უღრმესი მოწიწებით ვლოცავ თქვენი უგანათლებულებობის დიდებულ სახელს, რომელიც სამუდამოდ ცოცხლობს ჩვენს მეხსიერებაში. გივზავნით ჩვენს, გულისხმიერებით აღსავსე პატრიარქულ ლოცვა-კურთხევას და მარჯნის კრიალოსანს, ნიშნად წმიდა, გულწრფელი, მამობრივი სიყვარულისა და დაუფიწყარი მეგობრობისა, ხოლო მის უგანათლებულებობას, თქვენს უსაყვარლეს ვაჟს, ნიკოლოზ დავითის ძეს ვუძღვნი წმიდა ჯვარს, ნაკურთხს ძელიცხოვლის ნაწილით.

ჩვენი პატრიარქული ლოცვა-კურთხევის დასასრულად, შევსთხოვ უზენაეს შემოქმედს, რათა მან ამქვეყნიურ

ცხოვრებაში დალოცოს თქვენი ყოველი საქმიანობა და განაზრახი, დაგიფაროთ თქვენ და თქვენი საყვარელი ვაჟი ყოველგვარი ცხოვრებისეული გასაჭირისაგან, ხოლო მარადიულში მოგანიჭოთ სასუფვეელი ცათა შინა და ნეტარება.

თქვენი უგანათლებულებობისათვის ღვთისადმი

**გულმზურვალე მლოცველი და მამა,
იერუსალიმის კატრიარქი კირილე**

კონსტანტინოპოლი, 1857 წლის 24 აპრილი.

X X X

ორივე წერილი დაცულია ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში: ლიტერატურული ფონდი, ხელნ. №№ 962-963. დედანთან ერთად, რომელიც ბერძნულ ენაზეა დაწერილი, ინახება წერილების რუსული თარგმანი,

მთარგმნელის გვარი გარკვევით არ იკითხება. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია რუსული ტექსტიდან.

ი. შენგელია.

⁷ ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი (დადიანი), XVIII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, ქართული სამქადაგებლო სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი.



ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ემილიო კასტრო სპარტველოში





ბატის ოთხთავის ყლის მოჭედლობა. ზურაბი



თბილისი. შეტეხის ტაძარი. XI ს.




მ ე ზ ე ს ა ღ ა ვ ი თ ს *

სიბრძნის მოყუარებ შენ, — უფრო-
დასად ბრწყინვალეო, თუალო ყოვლისა
სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რო-
მელი-ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყა-
როჲ ხილულსა სოფელსა შორის; საჩი-
ნო, ვითარცა შხე, ვარსკულაფთა შორის;
ბრწყინულე, ვითარცა ეთერი ნივთა
შორის; ნათლისფერ, ვითარცა ელვაჲ
ღრუბელთა შორის; ცისკროვან, ვითარცა
აღმოსავალი კერძოთა შორის; ტკბილ,
ვითარცა არე ჟამთა შორის; ღმრთის
სახე, ვითარცა საყუარელი სათნოებათა
შორის; გულის-სათქუმელ, ვითარცა ოქ-
როჲ მიწათა შორის; ელვარე, ვითარცა
იაკინთი ქვათა შორის; მაღალ ვითარცა
ფინიკი ნერგთა შორის; შუენიერ, ვი-
თარცა ვარდი ყუავილთა შორის; აღმა-
ტებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანასა
შორის; ძლიერ, ვითარცა ლომი მკეცთა
შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი გან-
უკუთხუელთა შორის; სახელგანთქმულ,
ვითარცა ნებროთ გმირთა შორის; ახო-
ვან, ვითარცა იესო წინამბრძოლთა შო-
რის; მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღვდელ-
ლთა შორის; მხნე, ვითარცა სამფსონ

* ღავით აღმაშენებელი

მსაჯულთა შორის; უბრძოლველ, ვითარცა აქილლე ელლინთა შორის; ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშუდ, ვითარცა ღავით ცხებულთა შორის; შურისმძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის; უხარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის; კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მადლი ღმერთ-ქმნილთა შორის; მჭურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის; სახისდასაბამ უცთომელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევოდოსი სკიპტრისმპყრობელთა შორის... ყოველთა კედრებაჲ, ყოველთა ლიტანიობაჲ, ყოველთა ერთგობაჲ, ვითარმედ ღავით კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცულისა მეფისა ჩუენისა მრავალმცა არიან წელიწადნი!...

ა რ ს ე ნ ი ბ ე რ ი



ძველი შუამთა. VII ს.



ატენის სიონის მოხატულობა XI ს.

(«КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ»)
ЖУРНАЛ ГРУЗИНСКОЙ ПАТРИАРХИИ

В журнале печатается отрывок из древней грузинской летописи «Картлис цховреба», в которой повествуется о том, что в Грузию, являющейся уделом Пресвятой Богородицы по воле Божией в первом же веке был направлен для внесения христианства апостол Андрей. Пресвятая Богородица вручила ему своё нерукотворное изображение, которая апостолом Андреем была принесена в Ацкури, именно поэтому икону назвали Ацкурской чудотворной.

Апостол Андрей вступил на землю Иверскую в местности, называемой «Дид-ачара», проповедовал Евангелие, крестил народ, поставил священников и диаконов, дал основы истинного вероисповедования.

Телеграммы, послания предстоятелей церквей из разных стран мира.

Читатели также могут ознакомиться с посланием к Католикосу Патриарху всея Грузии Илие II об итогах VI Всехристианской Мирной Ассамблеи, подписанной от лица представителей Мирной Христианской Конференции президентом К. Тотом, генеральным секретарём Л. Миржеевским и митрополитом Киевским Филаретом.

В этой же рубрике печатается письмо заведующего отделения психотерапии интернациональной больницы в Париже доктора Т. Абдушли к Святейшему Илие II.

В июле текущего года Католикос-Патриарх всея Грузии Илия II посетил Батумо-Шемокмедскую Епархию. Эта та часть грузинской земли, где исторический впервые было проповедано апостолом Андреем христианство. В ранние века тут существовали первые Епархии, строились церкви, возносились молитвы. А затем орды Турков-Селджуков захватили этот край Грузии, на триста лет отторгнув её от родины. О былой славе этого края говорят дошедшие до нас некоторые письменные сведения, руины церквей и монастырей, выявленные археологами кресты и орнаменты. Они повествуют о том, что здесь творили известные святые отцы, осветившие своим духовным подвигом небосвод Грузии немеркнувшей славой. Ими написаны труды, песнопения, являющиеся достоянием грузинской религиозно-философской мысли. Затем всё угасло. Враг безжалостно уничтожил всё, что создавалось веками, но родной язык, беспредельную любовь к Отечеству и веру не смогли уничтожить.

Трагическая судьба южной Грузии, и в частности Аджарии кровотокащей раной зияла в душе народа. Только триста лет спустя Аджария частично была возвращена к родине.

Сегодня на этой многострадальной земле опять слышен колокольный звон, чудом уцелевших и вновь отстроенных в церквах приходят молящиеся.

Большим событием для них явилось прибытие Католикоса-Патриарха всея Грузии Илие II.



В Батуми, в храме св. Николая была проведена торжественная служба на которой присутствовали многие верующие. По окончании службы Католикос-Патриарх обратился к многочисленным собравшимся с проповедью, напомнил о славе христианской Аджарии, о том тяжёлом и трудном пути, которую человек должен пройти для спасения души своей. Затем состоялось крещение, Католикос-Патриарх сам крестил не только детей, но и взрослых. На другой день состоялось молебен.

Его святейшество посетил горную Аджарию, храм в селе Схалта, беседуя и наставляя народ. Так же посетил Гурию, где побывал в церквах Шемокмеди, Ачи, в Джихетском монастыре.

В связи с этим многозначительным событием в журнале напечатано несколько статей: обширная информация о прибытии Католикоса-Патриарха в Батум-Шемокмедскую епархию, статья Аслана Инаишвили о выявленной при археологических раскопках в Цихисдзире епископской кафедры, печатаются сведения об известном писателе XII века Тбел Абусеридзе и отрывок из его сочинения «Житие Басила зодчего», также статья Т. Кобаладзе «Прошлое, хранимое в душе народа». В ней рассказано о легендах и преданиях христианского прошлого Аджарии.

«Путиами дружбы»

Официальный визит в Грузию 1981 года Папы и Патриарха Александрии и всей Африки укрепил дружеские связи между нашими Церквами. Блаженный Николай VI несколько раз посещал Грузию. А в 1984 году по Его приглашению Католикос-Патриарх всея Грузии побывал в Александрии, молился на Синайской горе.

В мае 1985 года Патриарх Николай VI вновь посетил Грузию. В статье Т. Месхи рассказывается о Его визите в Грузинскую Церковь.

«Мир всем»

4-5 (17-18) апреля т. г. в Москве состоялась встреча руководителей и представителей Церквей и религиозных объединений Советского союза. Встреча была посвящена 40-тию победы советского народа над фашистской Германией. В журнале публикуется информация об этой встрече. В этой же рубрике печатается статья Д. Велишвили, в которой рассказывается о VI Всехристианской Мирной Ассамблее состоявшейся в июне т. года в Праге.

«Богословие»

В рубрике «Богословие» читателям предлагается статья епископа Зосимы «Обет Крещения». Печатается перевод письма М. Соколовой «Картина и Икона».

В журнале публикуются проповеди: епископа Зосимы, священника Арчила Миндиашвили и протоиерея Амирана Шенгелия. В этом году Грузинскую Патриархию посетили много гостей из разных стран мира. В Журнале даётся информация об этих визитах.

В рубрике «Церковная жизнь» рассказывается о событиях и фактах, происшедших в Грузинской Церкви за прошедший год.

В рубрике «Из прошлого»

В журнале печатается два письма Патриарха Священного города Иерусалима и всей Палестины Кирилла в адрес царицы Мингрелии Екатерины Чавчавадзе Дадiani (XIX в.).

В первом письме Патриарх Кирилл выражает соболезнование Екатерине по случаю кончины её супруга Давида Левановича Даднаи, благодарит за щедрые пожертвования, благословляет её и её детей. Во втором письме сообщает царице, что её сыну Николаю посылает святой крест, частицей от животворящего древа.

Оба письма хранятся в Зугдиди в государственном этнографическом музее.

«Из классики»

В журнале печатается восхваление летописца царя Давида Строителя монаха Арсения — под заглавием «Царю Давиду».



DJVARI VAZISA

(CROSS OF VINE)

The journal opens with the extract from the chronicles «Life of Georgia», presenting the history of sending to Georgia the Apostles — St. Andrew the First-Called and St. Simon the Canaanite by the Mother of God in Her own stead.

«Letters and Epistles» — The section acquaints us with some letters and epistles sent to the Catholicos-Patriarch of all Georgia.

In June, Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II visited Batumi Shemokmedi Diocese. This part of Georgia was the cradle of Christianity with its early churches and monasteries. In the middle centuries it was torn from the Motherland during the Turkish invasion, lasting for three hundred years. Only ancient ruins with their beautiful ornaments and crosses, excavated here and there, remind us of those glorious days, enlightening minds and faith of Georgians in that troubled time... Today, the bells again are ringing, proclaiming the glory of Christian faith and love of Georgian people towards their motherland... the festal Liturgy was conducted by His Holiness and Beatitude Ilia II, in St. Nicholas Church... after the Liturgy lots of people listened to the preaching of the Catholicos-Patriarch, who spoke about the difficult and thorny path which the people of this region had to walk for saving their souls... then His Holiness himself baptized children... the next day a special service for the well-being of the nation was conducted... The Catholicos-Patriarch visited several churches and Djikheti monastery during his stay in Ajaria.

In this section the journal presents the articles about the Cathedral of Petra and the writer of 12th century Tbel Abuseridze by Aslan Inaishvili, as well as the extract from his book «Life of Mason Baselius». «The Past Cherished in Memory of People» — by T. Kobaladze covers the different information, legends and traditions of the Christian Past of Ajara.

«Fraternal Roads» — The official visit of the Patriarch of Alexandria and Pope of All Africa to Georgia in 1981 was the foundation of real spiritual and great friendship between the Churches of Alexandria and Georgia, deepening and strengthening the ties between them. His Beatitude Nicholas IV visited Georgia several times... In 1984 by His cordial invitation the Catholicos-Patriarch of All Georgia paid Him the official visit in Alexandria... after, both visited Cairo and

St. Catherine Monastery on Mt. Sinai... In May of 1985 His Beatitude Nicholas VI came again to Georgia and this visit is Described by T. Meskhi in her article «Born From Soul Is the Soul Itself».

«Peace to All» — The meeting of the Heads of Churches and Religious Associations in the USSR, dedicated to the 40th anniversary of the Soviet Peoples' Victory in the Great World War II was held in Moscow April 4-5 (17-19). The information about the meeting is printed in the journal.

The section acquaints us as well with the article by D. Veliashvili about the VI General Assembly of Christian Peace Conference in Prague, giving the impressions of the author.

«Theology» — The Article 'Oath of Baptizing' by H. E. Zosime (Shioshvili) and the georgian translation of the letter «Picture and Icon» by M. Sokolova are printed under this title together with the preachings of Rev. Archil Mindiasvili, and Rev. Amiran Shengelia «St. Apostle John the Theologian».

Many guests from abroad visited Georgian Patriarchate this year and the journal gives the information and some details of these visits.

«Church Life» — The journal delivers the information about the examination period at the Mtskheta Theological Seminary, about granting diplomas to the graduates and receiving awards and consecrations.

«From the Past» — Two letters of Patriarch of Jerusalem and All Palestine, Cyril to Queen of Megrelia Ekaterine Chavchavadze-Dadiani are printed here. In his letters the Patriarch presents the condolences because of her departed husband David L. Dadiani...blesses the Queen and her children for the generous donations...and informs of dedicating to her son Nicholas the Holy Cross, blessed by the piece of Life Giving Pillar. Both letters, written in Greek, are preserved in Zugdidi State Museum of History and Ethnography.

«Treasures of Literary Works» — The journal presents the work of Monk Arsen, the Chronicler of King David the Builder.



შ ი ნ ა ა რ ს ი

და შექმდგომად ამაღლები ს ა 3

დეკემბერი, ეპისტოლენი 6

სამეგობრო გზები

შობილი იგი სულისაგან სული არს. თ.მესხი. 9

ლოცვა დედა ღვთისმშობლისადმი 11

მშვიდობა ყოველთა

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების
40 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა მოსკოვში 12

კონსტანტინეპოლის ეკლესიის ოფიციალური წარმომადგენელი ჟენევაში –
მიტროპოლიტი დამასკინოსი თბილისში 12

მართლმადიდებელ-ლუთერანულ ეკლესიათა გაერთიანებული კომისიის სხდომა
ქ. ალენტაუნში (აშშ) 12

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ემილიო კასტრო
საქართველოს ეკლესიის სტუმარი 13

VI სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო ასამბლეა პრაღაში. დ.ველიაშვილი 14

ბათუმი-შემოქმედის ეპარქიაში

ინფორმაცია. ცნობილ მოღვაწეთა გამონათქვამები 16

პეტრას საეპისკოპოსო კათედრა და ციხისძირის გათხრების შედეგები.
ა.ინაიშვილი 20

ტბელ აბუსერისძე. ბერი ნიკოლოზი (ღღონტი)
ცხოვრება ქვითხურომსა ბასილისა. ნაწვეტი 25

ხალხის ხსოვნაში შენახული წარსული. თ.კობალაძე 27

ღვთისმეტყველება

აღთქმა ნათლობისა. ეპისკოპოსი ზოსიმე (შოიშვილი) 35

სურათი და ხატი. მ.სოკოლოვა 38

ქადაგებანი

ივანესათვის „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა“ 40

მღვდელი ა.მინდიაშვილი 42

წმ. მოციქული და მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი 44

დეკანოზი ა.შენგელია 44

საკლესიო ცხოვრება

ჯილდოები, კურთხევანი 48

მცხეთის სასულიერო სემინარიაში 49

სტუმრები საზღვარგარეთიდან 52

წარსულიდან

წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის, კირილეს
წერილები ეკატერინე ტავტავაძისადმი 54

ნაშრომი განმად დაშთების

მეფესა დავითს. არსენი ბერი 58

რეზიუმე რუსულ ენაზე 61

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 63

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე – ეპისკოპოსი **ზოსიმე** /შოიშვილი/
ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**
საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1985 წ.
სიონის ქ. №4. ტ. 72. 04. 53.
ტირაჟი 1000.
საქართველოს სსრ, მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19.

Грузинская Патриархия
Джвари Вазиса /лозовый крест/ №2, 1985 г.
Тираж 1000
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.
Набрано способом фотонабора

